

3-6



კვლკმობი

DRC DANISH
REFUGEE
COUNCIL

სოციალური და ფინანსური განათლების პროგრამა
სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის



კვლასობი



სოციალური და ფინანსური განათლების პროგრამა
სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის

DRC DANISH
REFUGEE
COUNCIL



სამადლოპელი:

პროგრამა „აფლატოტი“ (Aflatot) 2012 წელს აფლატუნის საერთაშორისო შეხვედრის დროს, კენიაში დაიწყო. აღნიშნული იმ პროცესების შედეგი იყო, რომლებსაც ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები უძღვებოდნენ და რაც მათ ცოდნასა და გამოცდილებებზე დაყრდნობით იქნა მიღწეული. განსაკუთრებული მადლობა მათ, ვინც ხელი შეუწყო აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნას: ბავშვებს, ფასილიტატორებს, მშობლებს, ტრენერებს, ჩვენს ერთგულ პარტნიორებს, სამთავრობო უწყებებს, დონორებს, თარგმნებებს, დიზაინერებს, ილუსტრატორებს, აფლატუნის თანამშრომლებს, მოხალისეებს, მეგობრებსა და ოჯახებს.

აფლატუნის გუნდი მადლობას უხდის პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს Aflatot-ის ახალი სახელმძღვანელოს შემუშავებაში: Paniamor (კოსტა რიკა), ChildFund (ჰონდურასი), Awareness Center (საუდის არაბეთი), SEBC (სირია), SOS Kenya (კენია), გონა სანანა (მობამბიკი), Pomoc Deci (სერბეთი), Partnere per Femijet (ალბანეთი), SOS Kyrgyzstan (ყირგიზეთი), CWBF (უკრაინა), Yinthway Foundation (მიანმარი), Children International Quezon City Agency (ფილიპინები), MelJol (ინდოეთი), სასწავლო გეგმების შემუშავების ეროვნული ცენტრი „კამპალა“ (უგანდა), განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის დეპარტამენტი (ბელორუსია), Dirección Nacional de Centros de Educación y Nutrición y de Centros Infantiles de Atención Integral (კოსტა რიკა), კენიის სასწავლო გეგმების შემუშავების ინსტიტუტი (კენია), ეროვნული სასწავლო ცენტრის მიმართულება - განათლების სამინისტრო (სენეგალი), განათლების ეროვნული ორგანიზაციის ფედრაცია (ტოგო), Secretaría de Educación (ჰონდურასი), ICDI, ISSA, RTI International (კენია), Citi-NIE ფინანსური წიგნიერების ცენტრი მასწავლებლებისთვის (სინგაპური), LEGO შვიცარია, ევროპის მშობელთა ასოციაცია, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების საბჭო, განათლების სამინისტრო (ბანგლადეში), New Dawn (განა).

ცნობები გამოყენებული მოთხრობების შესახებ:

“ბავშვი კალათაში”, ოგი დ. რივერას (უმეროსი) (Augie D. Rivera Jr) ორიგინალური მოთხრობიდან ავტორიზებული თარგმანი; გაეროს ბავშვთა ფონდი ფილიპინები. “აფლატუნის ისტორია”, კიარა მასარონის (Chiara Massaroni) ორიგინალური იდეა. “ლომი და თავი” ადაპტირებულია ეზოპეს იგავის მიხედვით კიარა მასარონის (Chiara Massaroni) მიერ. „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ ადაპტირებულია ეზოპეს იგავის მიხედვით კიარა მასარონის (Chiara Massaroni) მიერ. „ბაჭია და კუ“ ადაპტირებულია ეზოპეს იგავის მიხედვით კიარა მასარონის (Chiara Massaroni) მიერ. „მონეტის ისტორია“, ალოდია სანტოს (Alodia Santos) ორიგინალური იდეა. „გრძობების ქალაქი“ ანა როდრიგესის (Ana Rodrigues) ორიგინალური იდეა. „აფლატუნი ატარებს დროს თავის მეგობრებთან ერთად“, ლანა ჯელენჯევის (Lana Jelenjev) ორიგინალური იდეა.

დამატებითი ცნობები:

აფლატუნი არის მოძრაობა, რომლის შექმნა წარმოუდგენელი იქნებოდა დონორების მხარდაჭერისა და განუვლი შრომის გარეშე. პარტნიორების, მოხალისეების, საბჭოს წევრების, სამდივნოს გუნდის ამჟამინდელი და ყოფილი წევრების, ოჯახებისა და მეგობრების გარეშე - ვინც აფლატუნის ბავშვებამდე მიტანას შეუწყო ხელი. ჩვენ მადლობას ვუხდით პროექტის დონორ ორგანიზაციებს, რომელთა გარეშეც ამ სახელმძღვანელოს შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. Auridis Nationale Postcode Loterij (ნიდერლანდები).

დაეინკური ცნობები:

Aflatoun™ 2005 Jeroo Billimoria

შესაძლებელია აღნიშნული ნაშრომის რეპროდუქცია და გავრცელება მთლიანად ან ნაწილობრივ, მისი სახეცვლილებისა და წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ არაკომერციული ადმინისტრაციული ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ყველა ასლი უნდა შეიცავდეს შემდეგ განცხადებას:

სავტორო უფლებები 2013, Aflatoun Child Savings International. აღნიშნული ნაშრომის რეპროდუქცია და გავრცელება ხდება აფლატუნისა და Child Savings International-ის ნებართვით.

აფლატუნისა და Child Savings International-ის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნაშრომის სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია. ნებართვის მისაღებად დაუკავშირდით info@afatoun.org.

ბავშური ვერსიები:

პირველი გამოცემა: 2013 წლის მარტი

ფასი: საფასურის გარეშე

პირველი გამოცემა: 2013 წლის მარტი

კონცეპტუალიზებულია: აფლატუნის სამდივნოს მიერ შექმნილია: მარგარეტ კერნარისა (ICDI) და ლანა ჯელენჯერის მიერ ილუსტრატორი და დიზაინერი: ელენორა სპანგუოლო (Wondrous Nora) კოპირაიტერი: ჯულია გოროდეკი საკონტაქტო ინფორმაცია: Aflatoun International, საფოსტო მისამართი 15991, 1001 NL, ამსტერდამი, ნიდერლანდები. ტელეფონი: +31 20 760 13 40 ელ-ფოსტა: info@afatoun.org ვებგვერდი: www.afatoun.org.

სახელმძღვანელოს ქართული ვერსია:

სახელმძღვანელოს თარგმანი რუსული ენიდან ქართულ ენაზე განხორციელდა ასოციაცია „ათინათის“ გუნდის მიერ ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის“. პროექტი ხორციელდება გერმანიის მთავრობისა და KfW გერმანიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში.



თარგმანი:

„ათინათის“ გუნდი - რუსულად ყალიბავა, მაკა გოგობია, ხათუნა გადელია, ივეტა როდონია

სახელმძღვანელოს ბექდვა:

განხორციელებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს მხარდაჭერით პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის“ ფარგლებში

სახელმძღვანელოში მოცემული შინაარსი არის Aflatoun Child Savings International-ის პასუხისმგებლობა, და იგი არ გამოხატავს გერმანიის მთავრობის, KfW გერმანიის განვითარების ბანკის, ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობისა და ასოციაცია „ათინათის“ შეხედულებებს.

1

შენ, მე და აფლატუნი: საკუთარი პიროვნების პოზიტიურად აღქმის განვითარება 8



2

მე და ოჯახი: ზრუნვა ადამიანებზე, ვინც გვიყვარს

41



3

მე და ჩემი მეგობრები: დავებმართოთ ერთმანეთს

59



4

მე და საზოგადოება: ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ერთად

78



5

მე და ფული: ვხარჯავთ, ვაგროვებთ და ვუნაწილებთ

96



და რა არის აფლატუნი და რა არის აფლატოტი?

აფლატუნი - ბავშვებისა და მოზარდების სოციალური და ფინანსური განათლების პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს ბავშვებს გაეცნონ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, განავითარონ კრიტიკული აზროვნება, ფინანსური ცოდნა და უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ გამოიყენონ რესურსები.

სოციალური განათლება ასწავლის ბავშვებს პასუხისმგებლობას, მოქალაქეობას, სოციალური საკითხების ცოდნისა და მათში ჩართვის აუცილებლობას, ხოლო ფინანსური განათლება გულისხმობს ბავშვებისთვის დაზოგვის, ბიუჯეტის შედგენისა და მენარმეობაში ჩართვისათვის მნიშვნელოვანი უნარების სწავლებას.

აფლატუნი ეხმარება ბავშვებსა და მოზარდებს გაიაზრონ თავიანთი პოტენციალი, რათა განათლების დახმარებით უკეთესი ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. ბოლო წლებში ფინანსური განათლების მნიშვნელობა

განსაკუთრებულად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სწრაფად განვითარებად ეკონომიკურ გარემოში ვცხოვრობთ, ახალგაზრდებსა და მოზარდებს ფინანსური ცოდნის დაბალი დონე აქვთ, სკოლებსა და პედაგოგებს ხშირად არ აქვთ ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა. ფინანსური ცოდნის ნაკლებობის გარდა, ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად უხდებათ სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად არამდგრად გარემოში ცხოვრება და ხშირად ამ გარემოს მსხვერპლნიც არიან. აფლატუნი აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ცდილობს ბავშვებისა და მოზარდებისთვის სპეციალურად შექმნილი სოციალური და ფინანსური საგანმანათლებლო პროგრამით, რაც მათ ამგვარი გამოწვევების გადალახვაში დაეხმარება. პროგრამა ისწავლება მსოფლიოს 102 – ზე მეტ ქვეყანაში 192 პარტნიორი ორგანიზაციის საშუალებით, ამ პროგრამით სარგებელი მიიღო 5,4 მილიონზე მეტმა მოზარდმა (მათ შორის 51% გოგონაა). აფლატუნის პარტნიორ ორგანიზაციებს აერთიანებს მისი სამდივნო ნიდერლანდების სამეფოში.

6 და რა არის აფლატუნი და რა არის აფლატოტი?

აფლატუნის ძირითადი კონცეფციის საშუალებით უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება

აფლატუნის პროგრამის 5 საკვანძო ელემენტი, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვებისა და მოზარდების სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას

პირველი საკვანძო ელემენტი: თვითშეცნობა და ძიება

▶ პროგრამა ცდილობს ბავშვებს მოუწოდოს საკუთარ თავში განავითარონ მეტი თვითშეგნება და თავდაჯერებულობა.

მეორე საკვანძო ელემენტი: უფლებები და მოვალეობები

▶ აფლატუნი ახდენს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის პრინციპების (1990) ხორცშესხმას.

მესამე საკვანძო ელემენტი: დაზოგვა და ხარჯები

▶ ბავშვები სწავლობენ დააფასონ, დაზოგონ და დაიცვან როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსები.

მეოთხე საკვანძო ელემენტი: დაგეგმვა და ბიუჯეტირება

▶ ბავშვები იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ მათი იმედები და ოცნებები რეალიზდება.

მეხუთე საკვანძო ელემენტი: ბავშვების სოციალური და ფინანსური ინიციატივა

აფლატუნი მოიცავს 4 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის შექმნილი პროგრამებს:

- აფლატოტი - საგანმანათლებლო პროგრამა 3-6 წლის ბავშვებისთვის
- აფლატუნი - საგანმანათლებლო პროგრამა 6-14 წლის მოზარდებისთვის
- აფლატინი - საგანმანათლებლო პროგრამა 15-18 წლის თინეიჯერებისთვის
- აფლაიუსი - საგანმანათლებლო პროგრამა 16-24 წლის ახალგაზრდებისთვის

რა არის აფლატოტი?


პროგრამა **აფლატოტი** განკუთვნილია სამიდან ექვს წლამდე ბავშვებისთვის და მიზნად ისახავს მათში სოციალური და ფინანსური წიგნიერების საფუძვლების განვითარებას და წარმოადგენს დიდი პროგრამის **აფლატუნის** პირველ ნაწილს. **აფლატოტის** პროგრამა არის დამატებითი სასწავლო პროგრამა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც ფოკუსირდება სოციალურ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ უნარებსა და მიდგომებზე.

რატომ არის ადრეული ბავშვობა იდეალური დრო სოციალური და ფინანსური სწავლის დასაწყებად?

ადრეული ბავშვობა ყველაზე მგრძობიარე პერიოდია დადებითი ზეგავლენისთვის. ამ პერიოდში ბავშვების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოზე, სწავლის მეთოდოლოგიაზე და სწორ მიდგომებზე.

სოციალური და ფინანსური განათლების კონცეფცია

ბავშვები თავიანთ პირველ სოციალურ და ფინანსურ განათლებას იღებენ სკოლაში წასვლამდე გაცილებით ადრე. ცოდნის ძირითადი ნაწილი ბიუჯეტის დაგეგმვის, დანაზოგების, ნარჩენების და ფულის გამოყენების შესახებ ეფუძნება ყოველდღიურ ცხოვრებას. მანამ სანამ, ჩამოყალიბდება ფულადი კონცეფციები, უნდა მოხდეს მარტივი გაგება იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ხელმისაწვდომი რესურსები, ან, მაგალითად, „დამთავრდა შაქარი/პური/კარაქი“, „შევიძინოთ მხოლოდ ის, რაც საჭიროა“ - ეს არის ფინანსური განათლების ყოველდღიური რეალობა, რომელსაც ბავშვები აწყდებიან. სკოლამდელი ასაკის მოსწავლეებს ასევე აქვთ დროის ჩარჩო, მათ ესმით, რომ ზოგჯერ, როცა რაღაც უნდათ ჭობია დაელოდონ, ვიდრე ახლა მიიღონ. 3 წლის ასაკის ბავშვებს უკვე უწევთ ერთმანეთთან ურთიერთობები, გაიაზრონ მატერიალური ღირებულებები, გასცენ და/ან გააზიარონ მათთვის ძვირფასი ნივთები და ასევე სხვა უნარები, რომელსაც აფლატუნის პროგრამა მოიცავს: გადანყვეტილების, მიღება მიზნების დასახვა და სხვა.





ნაწილი

შენ, მე და აფლატუნი:

საკუთარი პიროვნების პოზიტიურად
აღქმის განვითარება

მეცადინეობა 1. „აფლატუნის მოგზაურობა“



მეცადინეობა 1. „აფლატუნის მოგზაურობა“

მეცადინეობის მიზანი:
მეცადინეობის დროს ბავშვები
გაიცნობენ აფლატუნის
პერსონაჟს



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ სურათი აფლატუნის
გამოსახულებით
- ▶ დაფა/ფლიპჩარტი
- ▶ ზღაპარი აფლატუნის
შესახებ
- ▶ ქაღალდი
- ▶ მაკრატელი
- ▶ ფანქრები
- ▶ წებო
- ▶ სკოჩი



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი

ეს ნაწილი მოიცავს ძირითად ფინანსურ კონცეფციებს, რომლის საშუალებითაც ბავშვებს შეუძლიათ გადადგან პირველი ნაბიჯები სოციალური და ფინანსური განათლებისკენ. განყოფილება ისეა სტრუქტურირებული, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, ჯერ გაიგონ, რა არის ფული, შემდეგ კი გააცნობიერონ მისი ღირებულება. ასევე გაიგონ რას ნიშნავს დახარჯვა, დაზოგვა და გაზიარება.

იმის გათვალისწინებით, რომ აფლატუნის პროგრამის სამიზნე აუდიტორია სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვები არიან, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული შემდეგზე:

- თვითაღქმის ფორმირება;
- საკუთარი სხეულის შესწავლა და როგორ მოვექცეთ მას;
- სხვადასხვა ტიპის ემოციების გაცნობა, როგორ გამოვიცნოთ და როგორ გამოვხატოთ ისინი.

შესავალი:

10 წუთი

აღნიშნული სავარჯიშოს შესასრულებლად ბავშვებს თხოვეთ ფეხზე წამოდგნენ და წარმოიდგინონ, რომ ახლა არის საღამო და იწყებს დაღამებას.

- რას აკეთებთ, მაშინ როცა იწყება დაღამება?
- რას აკეთებთ, მაშინ როცა დაღამდება?

თხოვეთ ბავშვებს გაითამაშონ რას აკეთებენ ძილის წინ (მაგალითად: იხეხავენ კბილებს, მშობლებს უსურვებენ მშვიდ ძილს და ა.შ.)

გათამაშების შემდეგ კითხეთ ბავშვებს: რა მოქმედება შეასრულეთ პირველად? მეორედ? .. შემდეგში?

თხოვეთ ისევ თავიდან გაითამაშონ, ოღონდ ახლა იმოდროს ზოგჯერ ჩქარა, ზოგჯერ ნელა (მაგალითად, კბილები გაიხეხონ ჯერ სწრაფად, ხოლო შემდეგ ნელა) შემდეგ, თხოვეთ ბავშვებს წარმოიდგინონ, რომ საძინებლის ფანჯრიდან უყურებენ მთვარეს. მოუყევით ბავშვებს, რომ ღამით ცაზე



მეცადინეობა 1. „აფლატუნის მოგზაურობა“

საოცრებები ხდება. თხოვეთ ბავშვებს აღწერონ რას ხედავენ ისინი წარმოსახვითი ფანჯრიდან.

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

გააცანით ბავშვებს აფლატუნი და მოუყევით, რომ ის არის განსაკუთრებული მეგობარი, რომელიც ჩამოფრინდა კოსმოსიდან და ითამაშებს მათთან ერთად. აჩვენეთ მათ აფლატუნის სურათი ან დახატეთ ის დაფაზე ან ფლიპჩარტზე. კითხეთ ბავშვებს:

- რას ხედავთ სურათზე?
- გამოიცანით რა არის ეს?
- როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს ის აქ?
- გინდათ მასზე გაიგოთ მეტი?

აუხსენით, რომ წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტს გაიგებენ აფლატუნზე.

წაუკითხეთ ზღაპარი აფლატუნზე, ხოლო დასრულების შემდეგ დაუსვით შემდეგი კითხვები:

- გინდათ თუ არა გაეცნოთ ყველა თამაშს, ზღაპარს და სიმღერას, რომელიც აფლატუნმა მოისმინა და გაიგო თავისი მოგზაურობების დროს?
- გინდათ დაუმეგობრდეთ აფლატუნს?

- უთხარით ბავშვებს, რომ ისინი ბევრ სიახლეს გაიგებენ ერთმანეთზე და დროს ხალისიანად გაატარებენ. მიეცით ბავშვებს ამობეჭდილი აფლატუნის სურათი და თხოვეთ, რომ დაუხატონ მას სახე და შეაფერადონ ის. შემდეგ დაანებონ ქაღალდის მოგრძო ზოლზე და შემოიხვიონ თავზე, როგორც გვირგვინი.


უკუკავშირი:

10 წუთი

- ხელმეორედ წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი აფლატუნზე. წაკითხვის დროს თხოვეთ გაითამაშონ ზღაპარში წითლად მონიშნული ადგილები. წინასწარ აუხსენით, რომ ნებისმიერს შეუძლია შეასრულოს აფლატუნის როლი, და როცა მიმართავთ რომელიმეს, მან უნდა შეასრულოს ზღაპარში აღნიშნული მოქმედება (მაგალითად, როცა თქვენ ზღაპარში კითხულობთ „აფლატუნი თამაშობს, მღერის და ცეკვავს მეგობრებთან“, თხოვეთ ყველა ბავშვს, რომ წარმოიდგინოს, რომ ის არის აფლატუნი და ასევე ითამაშონ, იმღერონ და იცეკვონ ერთად).

დაამატებითი მეცადინეობა:

- ბავშვებს დაუსვით შეკითხვა „რა მოხდებოდა, რომ თქვენ აფლატუნი იყოთ? რას ისწავლიდი და სად მოძებნიდი თავგადასავლებს?“. ბავშვებმა დახატონ თავიანთი სურვილები ქაღალდზე. ნახატის ქვემოთ მიაწერეთ მათი პასუხები და დააწერეთ სათაური „მე რომ აფლატუნი ვყოფილიყავი“. როცა ყველა დაასრულებს მუშაობას შეინახეთ ნამუშევრები, რათა შემდეგ განათავსოთ ისინი აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.





ზღაპარი „აფლატუნის მოგზაურობა“

გამარჯობა, მე მქვია აფლატუნი. ჯერ კიდევ წოჭა ხნის ნინ ვიყავი პატარა ვარსკვლავი იმ ვარსკვლავებიდან, რომლებსაც მილიონობითაა ყოველლამე რაზე. არ გჯერათ? მაშინ მოუსმინეთ ჩემს ისტორიას თუ როგორ ვრეზობოდი მანამ, სანამ თქვენ შეგხვდებოდით!

როცა მე ვრეზობოდი ზეცაში, ძალიან ზევრ დროს ვაჭარებდი მეგობრებთან. ჩვენ ერთად ვთამაშობდით, ვრეკავდით და ვმღეროდით. ერთი იტყოდან: „მოდით ვითამაშოთ დამალოზანა“. ჩვენ ყველანი გავრბოდით და ვიძალღებოდით ღრუბლებში. მე ვიყრი ძალიან ზევრი თამაში! შენ თუ ვიყვარს ისე როგორც მე, მაშინ გასწავლით როგორ ითამაშოთ.

სირბილის, თამაშისა და დაღლის შემდეგ უფროსი ვარსკვლავები შეგვკრებდნენ და გვიყვებოდნენ სხვადასხვა ზღაპრებს ზეცაზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე და მზეზე.

მაგრამ მე ყველაზე მეტად მომეწონა ზღაპარი ღედამინაზე.

„შორიდან ხედავთ ლურჯ ლაქებს?“ – მკითხა მამამ და ღედამინისკენ მიმიითითა.

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე მე აღჭარბულმა
- რა არის ეს?

„ეს ზღვებია. ვილაწამ მითხრა, რომ ზღვა ისეთი დიდი, რბილი საზნებია, რისფერი, როგორც რა“, - განაგრძო მამამ, „ისინი ღედამინას სჭირდებან სიყვინისგან თავის დასაწვად“.

- არა! - საუბარში სხვა ვარსკვლავი ჩაერია- „სიმართლე არ არის! ზღვა დიდი, რისფერი ღრუბელია, რომელიც ღედამინაზეა ჩარჩენილი“.

„და რისთვის არის ზღვა?“ შევკითხე მე, მაგრამ არავინ მიპასუხა.

ზოგჯერ მათ არ იყოფდნენ რა უნდა ეთქვათ. ზევრი დრო იყო გასული მას შემდეგ, რა ვილაწამ ზეცადან მოინახულა ღედამინა, ამიტომ ზღაპრები აირია. ოჰ, ძალიან მიყვარდა ღედამინის ზღაპრები, მასზე მრეზობრები ხაღხის შესახებ! ყოველთვის მიწოდდა რამე გამეგო მასზე.

ერთხელ გადავწყვიტე წავსულიყავი და თვითონ მენახა ყველა ის საორრება, რასაყ გვიყვებოდნენ უფროსი ვარსკვლავები. „ღედა, - ვუთხარი მე - მე მიწდა გავფრინდე ღედამინაზე და გავიწნო ადამიანები, რომლებიც იქ რეზობობენ!“

მან გამიღიმა და მითხრა: „კარგი ჩემო პატარა აფლატუნო! იყი? ერთხელ შენი დიდი ზაზუარ იყო ღედამინაზე. რამდენი ახალი რამ გავიგეთ მისი მონათხრობიდან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ძალიან სასარგებლო მოგზაურობა შენთვისაყ და ჩვენთვისაყ“


„მადლობა, მადლობა დედიყო“ - წამოვიყვირე მე. მან მაკოყა ლოყაზე და მითხრა: „მე შენ გაჩუქებ ჭადოსნურ შესაძღებლობას ყოველთვის იყო კავშირზე ოჯახთან და მეგო-“

ზღაპარი „აფლატუნის მოგზაურობა“

ზრებთან. ყოველთვის როცა დახუჯავ თვალეზს შენ ნახავ პაჭარა ვარსკვლავებს. ჩვენ ვიქნებით სულ შენს გვერდით“. შემდეგ მან მიმიყვანა ზეერის კიდეძდე: „ნახვამდის ძვირფასო – მითხ-რა დეღამ-ნადი, დაინყე შენი ჯადოსნური მოგზაურობა, მო-ძენე შენი ახალი მეგობრები და შეისწავლე ყველა საორრება, რომელიერ ხდება დეღამინაზე. იყავი რნობისმოყვარე, ისწავლე შენი მეგობრებისგან და მოყუევი მათ შენს რხოვრებაზე ზერაში“. მე ჩავეხუტე და ვაკორე დეღას. დავხუჯე თვალეზი, გადავხტი და გავფრინდი.


თავიდან დავფრინდი ინდოეთში, სადაერ ვიპოვე ჩემი პირველი მეგობრები, ახლა ვმოგზაურობ მთელს დეღამინაზე. ვიმოგზაურე ინდოეთიდან ჩინეთამდე, რუსეთიდან სამხრეთ აფრიკამდე. ამერ-იკიდან კოლუმბიამდე და სადაერ არ ვიყავი, ყველგან შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებიერ სულ სიახლეებს მასწავლიდნენ. რამდენიმე წლის ნინ კი საქართველოში ჩამოვედი.

თქვენ იერთ რამე ამ ქვეყნებისა და კონტინენტების შესახებ? გინდათ გასწავლოთ თამაშები, ზღაპრები და სიმღერები, რომ-ლებიერ მე ვისწავლე საპაერო ზურთით ჩემი დიდი მოგზაურობის დროს? მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ კარგად გავერთობით და ზევრს ვისწავლით ერთმანეთისგან. შენ გინდა გახდე ჩემი მეგობარი?





ამოჭერი აფლატუნის გამოსახულება



მეცადინეობა 2. „აფლატუნის სიმღერა“

მეცადინეობა 1.
 „აფლატუნის მოგზაურობა“
მეცადინეობის მიზანი:
 მეცადინეობის დროს ბავშვები:
 • კარგად გაიცნობენ აფლატუნს
 • იმღერებენ აფლატუნის სიმღერას

უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური

საჭირო მასალები:

- ▶ აფლატუნის სიმღერა წებო
- ▶ ფურცლები (ან წინასწარ მომზადებული ფურცლები ხელის ანაბეჭდებით)
- ▶ კალამი და ფანქრები
- ▶ პლაკატი აფლატუნის გამოსახულებით
- ▶ ხის ჩხირები
- ▶ მაკრატლები

ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი

შესავალი: 15 წუთი

თითოეულ ბავშვს მიეცით ფურცელი და კალამი. თხოვეთ დადონ გაშლილი ხელი ფურცელზე და შემოხაზონ (თუკი ფიქრობთ, რომ ჭგუფში უმეტესობა ვერ შეძლებს ამას, მაშინ დაურიგეთ წინასწარ მომზადებული ფურცლები ხელის ანაბეჭდებით). აჩვენეთ ბავშვებს პლაკატი აფლატუნის გამოსახულებით და კითხეთ:

- რა ფერისაა აფლატუნი?
- შეხედეთ მის თმებს, რას გავს ის? ხეს გავს? ცეცხლს გავს?
- გავს ის ხელის ანაბეჭდს, რომელიც ახლახანს გავაკეთეთ? მოდით გავაკეთოთ ჩვენი ნახატი ისე, რომ კიდევ უფრო დავამსგავსოთ აფლატუნს?
- როგორ გავაკეთოთ ეს?
- რა არ არის საკმარისი? ხომ არ გაუკეთოთ ჩარჩო? თვალები? ხელები? ასევე გაუკეთოთ ღიმილი.

ასაკით უფრო დიდ ბავშვებს თვითონ შეუძლიათ ამოჭრან აფლატუნი. დააწებონ სქელ ქაღალდზე და დააწებონ ჩხირები მეორე მხარეზე. აუხსენით ბავშვებს, რომ მეცადინეობის ბოლოს ყველაფერი მოაგროვონ ერთად, რომ შემდეგი მეცადინეობისთვის ისევ გამოიყენონ.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

თხოვეთ ბავშვებს დადგენ წრეში. უთხარით, რომ ახლა ყველა ერთად იმღერებს აფლატუნის განსაკუთრებულ სიმღერას. პირველ ჯერზე სათითაოდ იმღერონ და ხელში აიღონ მათ მიერ გაკეთებული თოჭინები და აქნიონ და თან სიმღერაში სადაც სიტყვა „აფლატუნი“ შეხვდებათ ყველამ ერთად შესძახოს. ამღერეთ ისევ თავიდან და უთხარით ბავშვებს, ჩასჭიდონ ხელები ერთმანეთს და ყოველ ჯერზე, როცა სიტყვა „ვიბრწყინო“ შეხვდებათ ხელები მაღლა ასწიონ. ამღერეთ მესამეჯერ, თხოვეთ აიღონ თოჭინები ხელში და ასწიონ მაღლა. გაამეორებინეთ კიდევ ორჯერ.

უკუკავშირი: 5 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და დაუსვით შემდეგი კითხვები:

- ახლა როცა უკეთ გაიცანით აფლატუნი, გინდათ გახდეთ მისი მეგობარი?
- რა მოგწონთ აფლატუნში?
- რისი გაკეთება გინდათ მასთან ერთად?

დაეხმარეთ ბავშვებს გაიხსენონ აფლატუნის ისტორია და აუხსენით რაზეა სიმღერა. უთხარით, რომ ისინი აფლატუნთან ერთად იმოგზაურებენ და ბევრ ახალს და საინტერესოს ისწავლიან, ითამაშებენ ახალ თამაშებს და დროს მხიარულად გაატარებენ.



მეცადინეობა 2. „აფლატუნის სიმღერა“

ღამათაბითი მეცადინეობა:
 როცა უფროსი ბავშვები შეისწავლიან სიმღერას თხოვეთ სიტყვა „ვიზრწყინო“ შეცვალონ „ვმღეროდე, ვცეკვავდე, და ა.შ.“ შეგიძლიათ ასევე მოაფიქრებინოთ სიტყვები.

მისამღარი

აფლატუნი, აფლატუნი მინდა რომ ვიზრწყინო
 სულ რომ ვიყო აფლატუნი მაგარია, ჰეი!
 აფლატუნი, აფლატუნი მინდა რომ ვიზრწყინო
 სულ რომ ვიყო აფლატუნი მაგარია, ჰეი!

პირველი კუკლავთი

აფლატუნი ანათემს აქაჲ და იქაჲ
 ზედნიერებას ვჩუქნი ყველა მეგობარს
 აფლატუნი ნათელი და მხურვალეა
 ვმხიარულომ მთელი დღე, ვერ მნახავ მჭირაღოს.

მისამღარი

აფლატუნი, აფლატუნი მინდა რომ ვიზრწყინო
 სულ რომ ვიყო აფლატუნი მაგარია, ჰეი!
 აფლატუნი, აფლატუნი მინდა რომ ვიზრწყინო
 სულ რომ ვიყო აფლატუნი მაგარია, ჰეი!

მეორე კუკლავთი

თუკი მარტო ხარ, და მოინწყინე
 სიხარულით მე დაგეხმარები
 გვერი მეგობარი შემოიკრიბე
 მოდი და იმღერე: გვიყვარს აფლატუნი

მეცადინეობა 3. „ჩიტი სინტა“



მეცადინეობა 3. „ჩიტი სინტა“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
 - გაიგებენ აფლატუნის ისტორიებს
 - ისწავლიან ნივთების დახარისხებას. რომელს ვინახავთ, ვუფრთხილდებით.



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ზღაპარი „ჩიტი სინტა“
- ▶ თოჭინები ჯოხზე
- ▶ ქალაღლი



ხანგრძლივობა:

- ▶ 35 წუთი



შესავალი:

5 წუთი

ბავშვები დასვით წრეში და კითხეთ: აფლატუნით ფრენა კიდევ რომელ არსებას შეუძლია? ბავშვების უმრავლესობა დაასახელებს „ჩიტს“, უთხარით მათ, რომ დღეს ისინი მოისმენენ ზღაპარს ჩიტზე, რომელიც აგროვებდა და ინახავდა ყლორტებს.

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

*****სანამ დაიწყებთ ზღაპრის წაკითხვას ბავშვებს თხოვეთ, რომ მოგისმინონ ყურადღებით. ეს შესთავაზეთ შემდეგნაირად: მოდით მოვისმინოთ თუ რას აგროვებდა და რას ინახავდა ჩიტი სინტა და რატომ აკეთებდა ამას?**

წაკითხეთ ბავშვებს ზღაპარი, ხოლო შემდეგ დაუსვით კითხვები:

- რას აკეთებდა სინტა?
- რას აგროვებდა ის?
- თქვენი აზრით რატომ აგროვებდა და ინახავდა ის სხვადასხვა საგნებს?
- აგროვებდა თუ არა ის ეკლიან ტოტებსა და ფოთლებს? რატომ?

გაყავით ჯგუფი ორად და უთხარით რომ ისინი შეძლებისდაგვარად გააკეთებენ

- ჩიტ სინტას და მის ბუდეს. ბავშვებმა დამოუკიდებლად მოიძიონ ეზოში ტოტები და გამხმარი ფოთლები. თუკი ფიქრობთ, რომ ამის შესაძლებლობა არ გექნებათ მაშინ წინასწარ მოამზადეთ ისინი.

- ერთმა ჯგუფმა იმუშაოს ჩიტი სინტას ბუდის გაკეთებაზე ტოტებიდან და ფოთლებიდან, ხოლო მეორემ იმუშაოს ჩიტზე და დაანებოს გამხმარი ფოთლები წინასწარ ამოჭრილ ფიგურაზე. როცა ყველა მორჩება მუშაობას ბუდე და ჩიტი დადეთ გვერდიგვერდ.


უკუკავშირი:

10 წუთი

შეკრიბეთ ბავშვები წრეში და კითხეთ:

- თქვენ, როგორც სინტა, აგროვებთ და ინახავთ ნივთებს?
- რას აგროვებთ?
- რა გინდათ რომ შეაგროვოთ?

- თხოვეთ ბავშვებს დახატონ ის, რისი შეგროვების სურვილიც აქვთ. აუხსენით, რომ აფლატუნის დახმარებით ისინი შეძლებენ მის შეგროვებას. თხოვეთ ბავშვებს რომ შემდეგი შეხვედრისთვის სახლიდან მოიტანონ ყუთი, რომლისგანაც ისინი გააკეთებენ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთს.



ზღაპარი „ჩიტი სინტა“


ჩიტი სინტა აპირებდა კვერჩხების დადუნას. ის დიდი ხანია ოჯენობდა პატარა ზარტყებზე და სურდა, სანამ ისინი გამოიჩეკებოდნენ აქმენებინა ლამაზი, რბილი და კომფორტული ზუფე.

სინტა გაფრინდა ზუფისთვის ცოტებისა და ფოთლების მოსაძებნად. მან ძალიან ფრთხილად შეარჩია თითოეული ყლორტი და ფოთოლი.

იგი ნახდა, რომ ზარტყები არ დაზიანებულიყვნენ ან არ დაეზიანებინათ ლამაზი ზუმბული. სინტას სურდა მალე შეეგროვებინა საკმარისი ცოტები, რათა დროზე დაეწყო ზუფის მშენებლობა.

გავიდა დრო და სინტამ მოაგროვა ზევრი ცოტი და ფოთოლი. ის შეუსვენებლივ შრომობდა, თან გზადაგზა ამონებდა ყველა ცოცს და ფოთოლს, იყო თუ არა სწორად დადებული. მალე ზუფე მზად იყო. სინტა ჩაჯდა ზუფეში.

რამოდენიმე დღის ლოდინის შემდეგ სინტამ დადო კვერჩხები. ის ძალიან უფრთხილდებოდა, ათბობდა და იწავდა მათ. ურტა ხანში კვერჩხებიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოიჩეკნენ ზარტყები. როგორ გაიხარა სინტამ, როცა ნახა სამი ჯანმრთელი და არაჩვეულებრივი ზარტყი.



მეცადინეობა 4. „ყუთი აფლატუნთან ერთად მოგზაურობისთვის“



მეცადინეობა 4.
„ყუთი აფლატუნთან ერთად მოგზაურობისთვის“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიაზრებენ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი
- შემოქმედებითად გააფორმებენ ყუთს



უნარები:

- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ყუთი, რომელსაც ბავშვები მოიტანენ სახლიდან
- ▶ ძველი ჟურნალები
- ▶ სხვადასხვა მასალები გაფორმებისთვის: ფოთლები, ლენტები და ა.შ
- ▶ ქაღალდები
- ▶ ნებო
- ▶ ფანქრები



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი

***** მეცადინეობის დაწყების წინ დარწმუნდით, რომ ყველას აქვს ყუთი.**

შესავალი: 5 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და გაახსენეთ ზღაპარი „ჩიტი სინტა“ და კითხეთ, რატომ აგროვებდა და ინახავდა ტოტებს სინტა? შეახსენეთ რომ სინტა ტოტებს იმიტომ აგროვებდა, რომ ის მისთვის იყო ღირებული. ისინი მას სჭირდებოდა ბუდის ასაშენებლად.

ძირითადი ნაწილი: 30 წუთი

- ა) დაიწყეთ კითხვებით:
- რა გიყვართ ყველაზე მეტად?
 - რის გარეშე/ვის გარეშე არ შეგიძლია ცხოვრება?
 - რა არის შენთვის ღირებული?

შემდეგ აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაალაგონ ნივთები მათი ღირებულების შესაბამისად. მოიყვანეთ მაგალითები ძველი ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ამოჭრილი სურათების მიხედვით. კითხეთ მათ:

- საჭიროა ჰაერი? რატომ?
- წყალი? რატომ?
- კანფეტები? რატომ?

- ბ) სურათები განათავსეთ ოთახის სხვადასხვა კუთხეში და ბავშვებს თხოვეთ მივიდნენ იმ კუთხესთან, სადაც კიდია მეტნაკლებად მათთვის მნიშვნელოვანი სურათი.
- გ) როცა ბავშვები დაბრუნდებიან წრეში დაიწყეთ გარჩევა: რა მოხდება თუკი ჩვენ დავრჩებით ამა თუ იმ ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთის გარეშე?

აფლატუნის მოგზაურობის ყუთის

დამზადება:

- თხოვეთ ბავშვებს გაჩვენონ ყუთი, რომელიც მათ მოიტანეს სახლიდან.
- დ) აუხსენით ბავშვებს, რომ მათი ყუთებიც ისეთივე ღირებული ნივთია, როგორც ჩიტი სინტის ბუდე.
 - ე) უთხარით, რომ აფლატუნის მოგზაურობის ყუთი დაიმასხოვრებს ყველაფერს, რასაც აკეთებდით შეხვედრების დროს.
 - ვ) დასაწყისში თხოვეთ ბავშვებს აფლატუნის თოჯინები, რომლებიც ჯოხზეა დაწებებული, მოათავსონ ყუთში.

მეცადინეობა 4. „ყუთი აფლატუნთან ერთად მოგზაურობისთვის“

- ბ) თხოვეთ ბავშვებს გააფერადონ მოგზაურობის ყუთი, რომ ის კიდევ უფრო განსაკუთრებული გახდეს. შეიძლება დააწებონ ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები ან სხვა ნებისმიერი მასალა, როგორცაა ფოთლები, თოკები, ლენტები, გირჩები და სხვა.
- თ) პატარებს შეუძლიათ დახატონ აფლატუნის ნაპერწკალი, თავიანთი ხელების ანაბეჭდის გამოყენებით.
- ი) უფროსებს შეუძლიათ იპოვონ ასო „ა“ და ის დააწებონ.
- კ) მოამზადეთ ბარათები ბავშვებისთვის, რომ დააწერონ თავიანთი სახელები და მიაწებონ ყუთს გარედან.


უკუკავშირი:

10 წუთი

როცა ყუთზე მუშაობა მორჩება კითხეთ ბავშვებს: რის გარეშე/ვის გარეშე არ შეგიძლიათ იცხოვროთ?

თხოვეთ თავიანთი პასუხები დახატონ ფურცელზე, უკანა მხარეს დააწერეთ მათი სახელები.

თხოვეთ ბავშვებს ნახატები ჩადონ ყუთში, რადგანაც ეს არის საიმედო ადგილი მოგონებებისა და ძვირფასი ნივთების შესანახად.



მეცადინეობა 5. „მე ვიცი ჩემი სახელი“



მეცადინეობა 5. „მე ვიცი ჩემი სახელი“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
- გაიგებენ რომელი ასოებისგან შედგება სიტყვა აფლატუნი
 - ისწავლიან ჯგუფულების სახელებს, ასევე სახელის წარმოშობას და პირველ ასოებს



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ კოგნიტური
- ▶ ემოციური



საჭირო მასალები:

- ▶ აფლატუნის სიმღერა
- ▶ ამოჭრილი ასოები (აფლატუნი)
- ▶ სკოჩი
- ▶ დაფა/ფლიპჩარტი
- ▶ 8 ყუთი



ხანგრძლივობა:

- ▶ 25 წუთი

*****სანამ დაიწყებთ მეცადინეობას ამოჭრილი ასოები დამალეთ ოთახის სხვადასხვა ადგილას.**

შესავალი: 5 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და კითხეთ: რა ქვია პესროსონაჟ - ნაპერწკალს, რომელთანაც ვმოგზაურობთ? (თუ არ ახსოვთ შეგიძლიათ მიანიშნოთ, მაგ: „მსუქანია“, „ღია ფერისაა“ და ა.შ.) როცა ბავშვები იტყვიან „აფლატუნი“, უთხარით მათ რომ მისი პირველი ასოა „ა“, მიაქციეთ ყურადღება როგორ გამოითქმის. თხოვეთ ბავშვებს გაიხსენონ სიტყვები/დასახელებები, რომლებიც იწყება ასო „ა“-ზე. მაგ: ანბანი, ატამი, ავტობუსი, ალუბალი და ა.შ.

უთხარით ბავშვებს, რომ „ა“ განსაკუთრებული ასოა, რადგანაც ის არის ანბანის პირველი ასო.

ძირითადი ნაწილი: 10 წუთი

აცნობეთ ბავშვებს, რომ დღევანდელ მეცადინეობაზე მათ უნდა იპოვონ აფლატუნის ყველა ასო. ყუთებს მაღლიდან დააწერეთ „აფლატუნი“ დიდი ასოებით და კითხეთ ბავშვებს: ვისი სახელია ეს?

რომელია პირველი ასო? როგორ ჟღერს ის? უთხარით მათ რომ ყუთზე დაწერილი ასოების მსგავსი ყველა ასო დამალულია ოთახში და მათ ისინი უნდა იპოვონ. უჩვენეთ ბავშვებს 8 ყუთი, სადაც, თითო ასო თითო ყუთზე აწერია, რომ მიხვდნენ რა ასოებს ეძებენ. აუხსენით მათ, რომ უნდა მოძებნონ შესაბამისი ასოები. ამისთვის მიეცით 5 წუთი.

როცა ასოებზე „ნადირობა“ დამთავრდება ბავშვები დასვით წრეში.

უკუკავშირი: 10 წუთი

კითხეთ ბავშვებს: რა იქნებოდა თუკი ყველას სახელი იქნებოდა მაგალითად საქართველო (ანუ ერთიდაიგივე სახელი ჰქონდეს ყველას)? როგორ ფიქრობთ რა მოხდებოდა?

ხაზი გაუსვით იმას, რომ საჭიროა ვიცოდეთ ყველას სახელი და ასევე პატივისცემით მოვეპყროთ ყველას, რადგანაც სახელი ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გვინდა ვინმეს ან რამეს მივმართოთ.

შეიძლება გამოიყენოთ ალტერნატიული კითხვები: რა გინდათ თქვენ რომ გერქვათ? რას გინდა გეძახდნენ? რატომ?

მეცადინეობა 5. „მე ვიცი ჩემი სახელი“

ბავშვებს უთხარით, რომ მათ თუნდაც ჰქონდეთ ერთიდაიგივე სახელი და გვარი მაინც სხვა პიროვნებები არიან, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანი უნიკალურია. თხოვეთ დაასახელონ საყვარელი გმირი მულტფილმიდან ან მეგობარი/ოჯახის წევრი, რომელიც მათ ძალიან მოსწონთ. ეს მათ დაანახებს არსებული სახელების განსხვავებას.



საპარჯიშო ოჯახთან ერთად:

კითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა თავიანთი სახელების წარმომავლობა. თუკი არ იციან უთხარით კითხონ მშობლებს თავიანთი სახელის ისტორია. გააკეთეთ სამახსოვრო და გადაეცით ის მშობლებს (იხილეთ ნიმუში). შემდეგი შეხვედრა შეგიძლიათ დაიწყოთ იმით, რომ ბავშვებმა მოყვნენ თუ რა გაიგეს მათ მშობლებისგან.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს ჩვენ ვსწავლობდით სახელების წარმომავლობას და მივხვდით რომ მეტი გვირდა გავიგოთ თქვენი შვილის სახელზე. გთხოვთ მოუყვეთ თქვენს შვილს, თუ რატომ დაარქვით მას ეს სახელი.

ჩვენ ამას შემდეგ შეხვედრაზე განვიხილავთ.

პატივისცემით _____

მეცადინეობა 6. „მე სულიერი ვარ“



მეცადინეობა 6. „მე სულიერი ვარ“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
- გაიგებენ რა არის სულიერი და უსულო საგნები.
 - შეძლებენ სხეულის სხვადასხვა ნაწილის სახელის დასახელებას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური



საჭირო მასალები:

- ▶ კლასში დამალული საგნები
- ▶ ქვა
- ▶ პლასტმასის ბოთლები
- ▶ ყვავილი
- ▶ ფოთლები
- ▶ შუშა
- ▶ ბალახი
- ▶ სარკე
- ▶ ორი ვედრო/კალათი/კონტეინერი
- ▶ ძველი ჟურნალები
- ▶ დიდი ფორმატის ქაღალდი
- ▶ ნებო



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი

****მეცადინეობის დაწყებამდე საგნები დამალეთ ოთახის სხვადასხვა ადგილას.*

შესავალი: 10 წუთი

დაიწყეთ წინა მეცადინეობის საშინაო დავალებით, მსურველ(ებ)ს მოაყოლოთ, რა გაიგ(ეს)ო მან/მათ მშობლებისგან საკუთარი სახელ(ებ)ის შესახებ. ბავშვებს შესთავაზეთ სხვადასხვა საგნების ჩამონათვალი (რომელიც ოთახშია დამალული), წაუკითხეთ ის. შემდეგ კი უთხარით, რომ ეს საგნები დამალულია ოთახში სხვადასხვა ადგილას და მათი დავალებაა იპოვონ ისინი.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

ოთახში გაავლე სწორი ხაზი ცარცის ან ლენტის დახმარებით. ხაზის დასაწყისში დახატეთ ღიმილიანი სახე და ბოლოში კი სევდიანი. თავში და ბოლოში მოათავსეთ ერთი კალათა/სათლი/კონტეინერი. ახსენით, რომ გაღიმებული სახე ნიშნავს „სულიერ ნივთებს“ და რომ მოწყენილი სახე ნიშნავს „ის რაც არ არის სულიერი“.

თხოვეთ ერთ ბავშვს აიღოს საგანი და თქვენ დაუსვით კითხვა:

- ეს საგანი სულიერია თუ უსულო?
- რას ნიშნავს იყო სულიერი?
- როგორ შეგვიძლია მივხვდეთ რომ სულიერია?

დაასახელეთ სულიერი საგნების მახასიათებლები:

- შეუძლია იმოძრაოს (თხოვეთ გააქანონ ხელით)
- სჭირდება ჰაერი ან ჟანგბადი (ცხვირთან მიუტანეთ სარკე)
- რეაგირებს (დაუკარით ტაში)
- იზრდება (კითხეთ ბავშვებს სულ ერთიდაიგივე ზომის ტანსაცმელს ატარებენ?)
- სჭირდება საკვები

აჩვენეთ მას სულიერი და უსულო საგნებისთვის განკუთვნილი ხაზი იატაკზე და უთხარით დადგეს ხაზზე იმ მხარეს, სადაც თვლის რომ იმ საგნის ადგილია, რომელიც უჭირავს ხელში. შემდეგ ისევ აურიეთ საგნები კალათაში და ახლა მეორე მონაწილემ აირჩიოს ახალი საგანი, რომლებსაც ისევ უსვამთ კითხვას სულიერია თუ უსულო? და შემდეგ თხოვეთ ბავშვს მიუჩინოს ნივთს ადგილი შესაბამის კალათაში. როცა ყველა ნივთი დაიკავებს თავიანთ ადგილს კალათებში,

მეცადინეობა 6. „მე სულიერი ვარ“

ბავშვებს თხოვეთ დაჯდნენ წრეში. ერთ მსურველს თხოვეთ მივიდეს „სულიერ“ კალათასთან და ერთს „უსულოსთან“ და თხოვეთ დაითვალონ რამდენი საგანია თითოეულ კალათაში. კითხეთ ჭგუფს, უკვირთ შედეგი? კიდევ ერთხელ შეასხენეთ თუ რას ნიშნავს სულიერი/უსულო, რათა დაიმახსოვრონ განსხვავება. ხაზი გაუსვით იმას, რომ ჩვენ ადამიანები ვართ სულიერები, შემდეგ ჩამოატარეთ სარკე და თხოვეთ ყველამ მიიტანოს ცხვირთან და ნახავენ როგორ დაიორთქლება.

უკუკავშირი:

10 წუთი

დააყენეთ ბავშვები წრეში, იარონ ადგილზე და გიპასუხონ კითხვებზე:

წამყვანი: თქვენ ხართ სულიერი?

ბავშვები: დიახ, დიახ

წამყვანი: მოდი დავამტკიცოთ

ბავშვები: დიახ, დავამტკიცოთ

წამყვანი: მოდით, დავამტკიცოთ ეს ჩვენი ----(დავასახელოთ სხეულის ნაწილები) ბავშვები ამოძრავებენ დასახელებულ ნაწილს, ისე რომ აგრძელებენ ადგილზე სიარულს და ამბობენ „ერთი-ორი მარცხენა, მარცხენა ერთი-ორი მარცხენა“ გაიმეორეთ თავიდან სამჯერ და ბოლოს გააგრძელეთ: ახლა კი ყველას დაუმტკიცოთ ჩვენი სხეულით“



მეცადინეობა 7. „მე შემიძლია ვიმოძრაო ჩემი სხეულით“

მეცადინეობა 7. „მე შემიძლია ვიმოძრაო ჩემი სხეულით“

მეცადინეობის მიზანი:
მეცადინეობის დროს ბავშვები:

- შეისწავლიან საკუთარი სხეული ნაწილების დასახელებებს
- მოახდენენ მათ იდენტიფიცირებას

უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური

საჭირო მასალები:

- ▶ წითელი და მწვანე „ნიშნები“ (წითელი და მწვანე წრეები დაწებებული მუყაოზე და ჭოხზე, ისე რომ ხელში დაიკაონ)
- ▶ ზღაპარი: ზღაპარი აფლატუნზე

ხანგრძლივობა:

- ▶ 30 წუთი

შესავალი: გაკვეთილი დაიწყეთ წინა გაკვეთილით და გაახსენეთ ბავშვებს რომ ყველა სულიერს შეუძლია მოძრაობა ისე, როგორც მოძრაობს ჩვენი სხეული, შემდეგ კითხეთ ბავშვებს:

- კიდევ რისი გაკეთება შეგიძლიათ თქვენი სხეულით?
- რომელი ნაწილები მოძრაობს როცა ამას აკეთებ?

უთხარით ბავშვებს, რომ ჩვენ ასევე ვაკონტროლებთ ჩვენს სხეულს. ჩვენ შეგვიძლია მოძრაობა როგორც ჩქარა, ისე ნელა. დააბუსტეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია სხეულის სხვადასხვა ნაწილების მოძრაობა. კითხეთ მათ: რომელი ნაწილით შეგიძლიათ მოძრაობა? შეგიძლიათ დააბაკუნოთ? ამოძრაოთ ტუჩები? ხელები?

ძირითადი ნაწილი: **20 წუთი**
ერთ ბავშვს თხოვეთ დაასახელოს სხეულის ნებისმიერი ნაწილი, რისი ამოძრაობა შეუძლია. მთელ ჯგუფს თხოვეთ გაჩვენონ ამ ნაწილით სხვადასხვა მოძრაობა. ამის შემდეგ აჩვენეთ მათ წითელი და მწვანე

„ნიშნები“. ჰკითხეთ რა ფერისაა ისინი და რა ფორმა აქვთ. უთხარით, რომ წითელი ნიშნავს „სდექ“, მწვანე კი - „წინ“.

აუხსენით, რომ თქვენ დაასახელებთ სხეულის ნაწილს, ხოლო ბავშვებმა ის ნაწილი უნდა აამოძრაონ, შეუძლიათ შეასრულონ ნებისმიერი მოძრაობა. როცა აწვეთ მწვანე ნიშანს შეუძლიათ დაიწყონ მოძრაობა, როცა აწვეთ წითელს უნდა გაჩერდნენ.

ამ სავარჯიშოს უფრო რთული ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ შეიძლება ააჩქაროთ მოძრაობები-ზოგჯერ ააჩქარეთ, ზოგჯერ შეანელებთ. აუხსენით რომ თუ ნელა დაასახელებთ მაშინ ნელა მოძრაობენ, როცა ჩქარა დაასახელებთ - მოძრაობენ ჩქარა.

უკუკავშირი: **5 წუთი**
წაუკითხეთ ბავშვებს აფლატუნის ზღაპარი. წაკითხვის დროს ხაზი გაუსვით მოძრაობებს, რომელსაც ასრულებს აფლატუნი და შეასრულებთ მოძრაობები (ზღაპარში ხაზგასმული სიტყვები) და სთხოვეთ ბავშვებს გაიმეორონ ის თქვენთან ერთად.

მეცადინეობა 7. „მე შემიძლია ვიმოძრაო ჩემი სხეულით“

გამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ აფლატუნი იყენებს სხეულს სხვადასხვა საქმეების შესასრულებლად: შეისწავლოს სამყარო, ჩაეხუტოს მშობლებს, ითამაშოს მეგობრებთან და ა. შ. თხოვეთ ბავშვებს მოგიყვეთ რა კარგი საქმეების გაკეთება შეუძლიათ თავიანთი სხეულით.


ასევე თხოვეთ, შეუძლიათ თუ არა მოიფიქრონ ცუდი მოძრაობები, რომლის შესრულებაც შეუძლიათ თავიანთი სხეულის ნაწილებით. მაგ: დაუჭიკაო მეგობარს, მოწინკნო თმა. გამართეთ დისკუსია იმაზე, რომ სხეულის ნაწილები ჯობია გამოვიყენოთ კარგი საქმეებისთვის, ვიდრე ვანყენინოთ მეგობრებს. ერთად შეადგინეთ მეცადინეობების ქცევის წესები.

ღამათებითი მეცადინეობა:

დასვით ბავშვები წრეში. გაითამაშეთ თამაში „აფლატუნი ამბობს. . .“. ბავშვებს აუხსენით, რომ მათ მოძრაობა უნდა შეასრულონ მაშინ, როცა მათ ესმით „აფლატუნი ამბობს. . .“. თუკი ისმის მითითება სიტყვების „აფლატუნი ამბობს. . .“ გარეშე, მაშინ არ ასრულებთ.

მაგ. წამყვანი: „აფლატუნი ამბობს: „შეეხეთ ყურს!“ (ბავშვები ეხებიან თავიანთ ყურებს)

„შეეხეთ იდაყვს“ (ვინც იდაყვს შეეხება გადის თამაშიდან) გასართულებლად შეგიძლიათ სხეულის ნაწილის მაგივრად დაასახელოთ რა ფუნქციას ასრულებს ის ნაწილი (მაგ: „აფლატუნი ამბობს, შეეხე სხეულის იმ ნაწილს, რითაც შეიძლება ბურთს დაარტყა).



მეცადინეობა 8. „მე შემოძლია ვნახო და გავიგონო“

მეცადინეობა 8.
„მე შემოძლია ვნახო და გავიგონო“

მეცადინეობის მიზანი:
 მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან ფერებს და საგნებს, რომელსაც ისინი ხედავენ და ესმით
- დაასახელებენ მათ
- განსაზღვრავენ რომელია მათი საყვარელი ფერი
- ისწავლიან დააფასონ შეგრძნების ორგანოები

უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური

ხანგრძლივობა:

- ▶ 60 წუთი

შესავალი: უთხარით ბავშვებს, რომ გარეთ აპირებთ გასვლას, რათა ერთად მოიკვლიოთ რისი დანახვა და მოსმენა შეიძლება ქუჩაში. კითხეთ მათ, იციან თუ არა ქუჩაში მოძრაობის წესები. მას შემდეგ, რაც ისინი გაიხსენებენ ზოგიერთ მათგანს, დარწმუნდით იყო თუ არა დასახელებული შემდეგი: ხელი ჩაკიდე მეგობარს, არ ჩამორჩეთ ჯგუფს, ფრთხილად იყავი ისეთ ადგილებთან გავლისას, როგორიცაა: არხები, სანაგვე ურნები, გადატვირთული გზები.

მიეცით ბავშვებს დავალება სეირნობის დროს ყურადღებით მოუსმინონ და შეხედონ ყველაფერს, რაც ხდება მათ ირგვლივ. ბავშვებმა იმოძრაონ მწკრივში და ჩასჭიდონ ერთმანეთს ხელები. თუ ბაღის ტერიტორიის დატოვებას აპირებთ დარწმუნდით, რომ გყავთ საკმარისი თანმხლები პირი. თუ არა, შეგიძლიათ სთხოვოთ მშობლებს, დაგეხმარონ.

- სეირნობის დროს კითხეთ ბავშვებს:
- რას ხედავთ ირგვლივ?
 - რა გესმით?
 - რა ფერებს და ფორმებს ხედავთ?
 - რა საგნებს ხედავთ?
- დანვრილებით მოაყოლეთ რას ხედავენ და რა ესმით.
- ძირითადი ნაწილი:** **15 წუთი**
- სუფთა ჰაერზე გასეირნების შემდეგ დასვით ბავშვები წრეში, ფლიპჩარტის ერთ მხარეს მიაწებეთ თვალის სურათი, მეორე მხარეს კი ყურის. შემდეგ ერთ ბავშვს თხოვეთ დადგეს ერთ-ერთი სურათის ქვეშ და მოყვეს რა ნახა და გაიგო. შემდეგ დანარჩენებს თხოვეთ დადგნენ მასთან თუკი მათაც იგივე ნახეს და გაიგონეს.
- უთხარით მათ, რომ საბავშვო ბაღის გარეთ თითოეულმა მათგანმა დაინახა და მოისმინა ძალიან საინტერესო საგნები/

მეცადინეობა 8. „მე შემიძლია ვნახო და გავიგონო“

ადამიანები/მოვლენები. კითხეთ რაში ჭირდება ადამიანს გრძნობების ორგანოები: მხედველობა და სმენა? აუხსენით, რომ მხედველობის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივაა, შეგვიძლია სმენის ორგანოებით მოვისმინოთ ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ. ამ ორგანოებით ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რა მოხდება მომავალში.

კითხეთ ბავშვებს:

- როგორ შეგიძლიათ მიხვდეთ რომ მალე წვიმა წამოვა? და რომ დაეხმაროთ აზროვნების განვითარებაში კითხეთ:
- როგორ გამოიყურება ღრუბელი?
- რა ფერებს ხედავთ?
- რა გესმით?
- რა საგნები ნახეთ?

ახლა კი კითხეთ მათ:

- როგორ შეიძლება გამოიცნო, რომ მალე წვიმა იქნება?

დაეხმარეთ მათ განავითარონ თავიანთი წარმოსახვა დამატებითი კითხვებით.

შეახსენეთ ბავშვებს, რომ მხედველობისა და სმენის ორგანოების დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, გავიგოთ და წარმოვიდგინოთ რა ხდება ირგვლივ. როცა ვიცით რა მოხდება,

შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ქმედებები. მაგალითად: თუკი ვიცით რომ იქნება წვიმა, რას გავაკეთებთ? ამაზე იმსჯელეთ ბავშვებთან შემდეგი დამატებითი კითხვების გამოყენებით:

- წავალთ სასეირნოდ?
- დავრჩებით სახლში?
- წავიღებთ ქოლგას?

უკუკავშირი:

15 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს რომ მხედველობის ორგანოს წყალობით შეგვიძლია ფერების გარჩევა. თხოვეთ ბავშვებს დახატონ აფლატუნი დიდ ფურცელზე ხელების გამოყენებით. შეარჩიონ საყვარელი ფერი და შეაფერადონ ის. შეფერადების დროს მიდით ბავშვებთან და კითხეთ: „რატომ მოგწონს ეს ფერი?“, ასევე თხოვეთ დახატონ რამე ამ ფერით და შემდეგ კი გაუზიარონ მეგობარს, შემდეგ ერთად იმღერონ აფლატუნის სიმღერა და ნახატი მოათავსონ აფლატუნის ყუთში.

დამატებითი მეცადინეობა:

გამოიყვანეთ მსურველი, შეუხვით თავლები. დანარჩენ ბავშვებს თხოვეთ დადგინონ ერთ ხაზზე. თვალდახუჭულმა სახეზე შეხებით უნდა გამოიცნოს ვინ დგას მის წინ. თუ გამოიცნო მაშინ იმას უხვევ თვალს. მრავალფეროვნებისთვის შეიძლება ანალოგიური გააკეთოთ ხმით - ვის წინაც დგას თვალახვეული მან ხმამალა უნდა თქვას „აფლატუნი“.

მეცადინეობა 9. „მე შემიძლია დავყნოსო და გემო გავსინჯო“

მეცადინეობა 9. „მე შემიძლია დავყნოსო და გემო გავსინჯო“
მეცადინეობის მიზანი:
 მეცადინეობის დროს ბავშვები:
 • გასინჯავენ სხვადასხვა გემოს და სუნს • გაერკვევიან რა შეიძლება და რა არ შეიძლება • აღწერენ თავიანთ საყვარელ საქმელს

უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებითი

საჭირო მასალები:

- ▶ გემოს განსაზღვრისთვის საჭირო მასალა
- ▶ ლენტი
- ▶ შემდეგი სურათები: ენა, ცხვირი, მომღიმარი სახე, მოწყენილი სახე, სასიამოვნო სუნის მქონე რამე (მაგ: ხილი), ცუდი სუნის მქონე რამე (გაფუჭებული ბოსტნეული)
- ▶ ძველი ჟურნალები და სურათები საკვებით
- ▶ ქაღალდის თეფშები
- ▶ წებო
- ▶ მაკრატელი
- ▶ ყუთი

ხანგრძლივობა:

- ▶ 35 წუთი

შესავალი: 10 წუთი
 იმღერეთ სიმღერა „მაშინ როცა გიხარია...“

მაშინ, როცა გიხარია, უკრავ ტაშს.
 მაშინ, როცა გიხარია, უკრავ ტაშს.
 წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია, იცინი და სიხარულით უკრავ ტაშს.

მაშინ, როცა ხარობ, აბაკუნებ ფეხს.
 მაშინ, როცა ხარობ, აბაკუნებ ფეხს.
 წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია, იცინი და ასე აბაკუნებ ფეხს.

მაშინ, როცა გიხარია, აქნევ თავს.
 მაშინ, როცა გიხარია, აქნევ თავს.
 წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია, იცინი და სიხარულით აქნევ თავს.

მაშინ, როცა გიხარია, ამბობ - უ.
 მაშინ, როცა გიხარია, ამბობ - უ.
 წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია, იცინი და სიხარულით ამბობ - უ.

შეცვალეთ შემდეგი სიტყვებით „მაშინ როცა გიხარია... ხუჭავ თვალს... დახუჭე თვალი ხელებით... შეეხე ცხვირს... აუხსენით ბავშვებს, რომ ამ სავარჯიშოს შესრულებისას მათ გამოიყენეს თვალები,

რომ ენახათ და ყურები, რომ გაეგონათ. და რას აკეთებდა თქვენი ცხვირი?

გაახსენეთ მათ გასეირნება გარეთ და ჰკითხეთ: „გახსოვთ სურნელები გასეირნების დროს?“ გაახსენეთ, სად ისეირნეთ (სად იდგა ნაგვის ყუთი, სად იყო ყვავილები). თუკი არ ახსოვთ, შეგიძლიათ შეახსენოთ სურნელი, რომელიც დილით ან გუშინ იგრძნეს. ჰკითხეთ სხეულის რომელ ნაწილს იყენებენ ადამიანები, რომ განასხვავონ სუნი. აუხსენით, რომ ცხვირი - სხეულის ნაწილია, რომლის დახმარებითაც ვყნოსავთ და ვახერხებთ სასიამოვნო სურნელისა და არასასიამოვნო სუნის გარჩევას.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი
 ოთახის ერთ კუთხეში მიამაგრეთ მომღიმარი სახე, ხოლო მეორე კუთხეში მოწყენილი. აუხსენით ბავშვებს, რომ მომღიმარი სახე არის სასიამოვნო სურნელი, მოწყენილი კი - არასასიამოვნო. სამ სხვადასხვა ყუთში მოათავსეთ სასიამოვნო და არასასიამოვნო სუნების მქონე ნივთების სურათები. დაყავით ბავშვები სამ ჯგუფად, თითო ჯგუფს მიეცით თითო ყუთი და თხოვეთ მიუჩინონ ყუთში მოთავსებული სურათებს შესაბამისი ადგილი კუთხეებში.

მეცადინეობა 9. „მე შემიძლია დავყნოსო და გემო გავსინჯო“

როცა შეასრულებენ დავალებას, აუხსენით მათ, რომ ცხვირი სხვა მნიშვნელოვან ორგანოსთან ერთად მუშაობს. მაგ: ენა გვეხმარება გავსინჯოთ საჭმელი.

ამოიღეთ საიდუმლო ინგრედიენტი, ისე რომ ბავშვებმა ვერ ნახონ რა ამოგაქვთ. მსურველს თხოვეთ გასინჯოს ის დახუჭული თვალებით. სთხოვეთ ამოიცნოს რა არის და უთხრას დანარჩენებს როგორი გემო აქვს მას-ტკბილი, მომჟავო, მარილიანი, მწარე და ა.შ.

შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ მხოლოდ ცხვირის მეშვეობით. როცა ყველა ბავშვი დაყნოსავს და გამოიცნობს, მერე აჩვენეთ ყველას საიდუმლო ინგრედიენტი. დასრულების შემდეგ კითხეთ ბავშვებს, რითი გაუადვლდათ გამოცნობა - ცხვირით თუ როცა გასინჯეს?

აუხსენით ბავშვებს, რომ როცა საჭმელს ვსინჯავთ, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ როგორია ის - ტკბილი, მომჟავო, მარილიანი, მწარე და ა.შ. და ჩვენი ენა მოქმედებს ცხვირთან ერთად, რომელიც გვეხმარება განვსაზღვროთ სასიამოვნო სურნელი აქვს თუ არასასიამოვნო.

უკუკავშირი:

5 წუთი

თხოვეთ ბავშვებს იფიქრონ რაიმე კერძზე, რომელიც იციან და კითხეთ როგორია ის გემოზე და როგორი სუნი აქვს. დაფიქრდნენ თავიანთ საყვარელ კერძზე, მარილიანია თუ არა, მწარეა, მჟავაა, ტკბილია და ა.შ.

მიეცით ბავშვებს ქალაქის თეფშები და ძველი ჟურნალები. სთხოვეთ ამოჭრან ის საკვები, რომელიც უყვართ და დაანებონ

- თეფშებზე. უფროს ბავშვებს შეგიძლიათ სთხოვოთ დახატონ
- თეფშზე თავიანთი საყვარელი კერძი. როცა ყველა მზად იქნება,
- სთხოვეთ ერთმანეთს აჩვენონ ნამუშევრები.
- ბოლოს, ისევ შეახსენეთ ბავშვებს მნიშვნელოვანი შეგრძნების
- ორგანოები, განსაკუთრებით გემოს შეგრძნების. მიუხედავად
- იმისა, რომ ყველა ინგრედიენტს აქვს სხვადასხვა გემო და სუნი,
- ჩვენ მაინც შეგვიძლია მივხვდეთ გემრიელია თუ არა ეს საკვები,
- ხოლო სუნის მეშვეობით შეგვიძლია განსაზღვროთ ვარგისია თუ არა ის.

- ბავშვებს ყველა თეფში შეუძლიათ შეინახონ აფლატუნის ყუთში
- და ყველა ერთად მღერის აფლატუნის სიმღერას.

წერილის ნიშანი:

ძვირფასო -----

- დღეს, მეცადინეობაზე, ჩვენ ვისაუბრეთ შეგრძნების ორგანოებზე,
- განსაკუთრებით გემოს შეგრძნებებზე. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ
- თქვენც მიიღოთ მონაწილეობა დავალების „ჩვენი საყვარელი
- საოჯახო ნამცხვარი“ შესრულებაში.
- აიღეთ ქალაქის თეფში, დაეხმარეთ ბავშვს გაყოს იმდენ ნაწილად
- რამდენი წევრიცაა ოჯახში და გამოჭერით ნაწილები. ყველა ოჯახის
- წევრმა დახატოს/დაწეროს მისი საყვარელი ნამცხვარი თეფშის
- გამოჭრილ ნაწილზე.
- გაახსენეთ ბავშვს, რომ არ დაავინყდეს ოჯახის წევრების „საყვარელი
- ნამცხვრის ნაჭრების“ ბაღში წამოღება, რათა აჩვენოს ის მის
- ჭგუფელებს.

პატივისცემით -----

მეცადინეობა 10. „მე შემიძლია ჩემი სხეულით გამოვხატო ჩემი თავი“

მეცადინეობა 10. „მე შემიძლია ჩემი სხეულით გამოვხატო ჩემი თავი“

მეცადინეობის მიზანი:
მეცადინეობის მსვლელობისას ბავშვები გაეცნობიან და დაასახელებენ სხვადასხვა ემოციებს



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ბარათები ემოციების ამსახველი სურათებით
- ▶ მუსიკალური ინსტრუმენტები
- ▶ ბურთი
- ▶ ზღაპარი: „გრძნობების ქალაქი“
- ▶ ქალაქის თეფშები
- ▶ მაკრატლები
- ▶ ნებო
- ▶ სანერკალმები/ფანქრები
- ▶ ძველი ჟურნალები
- ▶ თოკი
- ▶ ძაფის გორგალი
- ▶ ქალაქის სახვრეტი
- ▶ ჩხირები
- ▶ ლენტები
- ▶ სუფთა ფურცლები (დამატებითი მეცადინეობისთვის)



ხანგრძლივობა:

- ▶ 50 წუთი

შესავალი:

10 წუთი

მეცადინეობის დასაწყისში რამდენიმე მონაწილეს თხოვეთ გიჩვენონ „ჩემი ოჯახის წევრების საყვარელი ნამცხვარი“ და თუკი აქვთ სურვილი ისაუბრონ მასზე. შემდეგ დასვით ყველა წრეში და აჩვენეთ ბარათები - ემოციების ამსახველი სურათებით. თხოვეთ მათ გამოიციონ რა ემოციას ხედავენ სურათზე და სცადონ თვითონაც გამოსახონ.

უთხარით ბავშვებს, რომ აპირებთ ათამაშოთ ისინი თამაში „გაშეშობანა“. თქვენ დაუკრავთ მუსიკალური ინსტრუმენტზე, ხოლო ბავშვები ერთმანეთს გადასცემენ ბურთს. როცა მუსიკა შეწყდება, თქვენ უჩვენებთ ბარათს. ვის ხელშიც აღმოჩნდება ბურთი, ის შეშდება და სახით გვიჩვენებს ბარათზე მოცემულ ემოციას. თამაში გააგრძელეთ მანამ, სანამ უმრავლესობას არ მოუწევს გაშეშება.

თამაშის შემდეგ ბავშვებს უთხარით რომ, თქვენ მათ წაუკითხავთ ზღაპარს

„გრძნობების ქალაქი“, რომელიც სხვადასხვა გრძნობებზე მოუყვება მათ.

ძირითადი ნაწილი: 30 წუთი

ზღაპრის წაკითხვის შემდეგ ბავშვებს დაუსვით კითხვები, რომელიც მოცემულია ზღაპრის ბოლოს. საზი გაუსვით იმას, თუ რამდენად ბუნებრივია სხვადასხვა გრძნობების განცდა - შიში, მწუხარება, სირცხვილი და ა.შ და როგორი მნიშვნელოვანია მისი სხვისთვის გაზიარება. ჩვენ ასევე შეგვიძლია მივხვდეთ თუ რას გრძნობენ სხვები, მაგ: მათი ხმის მიხედვით, შეგვიძლია მივხვდეთ ადამიანი მოწყენილია თუ გახარებული, გაბრაზებულია თუ ბედნიერი.

სთხოვეთ ბავშვებს დაეღაპარაკონ ერთმანეთს ბედნიერი ხმით, შემდეგ მოწყენილით, მხიარულით, გაბრაზებულით, შეშინებულით. პატარებს სთხოვეთ სახეები განახონ აღნიშნული ემოციებით.

მეცადინეობა 10. „მე შემიძლია ჩემი სხეულით გამოვხატო ჩემი თავი“

ბავშვებს მიეცით ქალაქის თეფშები და უთხარით, რომ თითოეული გააკეთებს საკუთარი გრძნობების ნიღაბს. სთხოვეთ ბავშვებს, იფიქრონ იმ გრძნობებზე, რომლებიც ნახსენები იყო ზღაპარში და აირჩიონ რომელი გრძნობის გამოხატვას ისურვებენ. ცხვირი, ყური და პირი შეიძლება ამოჭრან ძველი ჟურნალებიდან. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად დახატონ სახეები პირდაპირ თეფშებზე. წაახალისეთ ბავშვები გამოიყენონ სხვადასხვა მასალები სახის ნაწილების შესაქმნელად (მაგალითად, ძაფის გორგალი შეგიძლიათ გამოიყენოთ თმის დასამზადებლად).

სთხოვეთ ასევე გაუკეთონ თვალები. გვერდებზე გაუკეთეთ თოკები, რომ ბავშვებმა შეძლონ ნიღბის მორგება. ასევე შეიძლება დაამაგრონ ჩხირები და ბავშვები შეძლებენ ხელით დაიკავონ ნიღაბი სახესთან ახლოს.

უკუკავშირი:

10 წუთი

ბავშვებმა რიგრიგობით აჩვენონ ჭგუფელებს თავიანთი ნიღბები. როდესაც ერთი ბავშვი აჩვენებს თავის ნიღაბს, კითხეთ დანარჩენებს:



რა სიტუაციაში შეიძლება გამოიყენოთ ეს ემოცია? (მაგალითად, გაბრაზებული სახის ნიღბის ჩვენების შემდეგ, იკითხეთ: რამ შეიძლება გაგაბრაზოთ? ოდესმე გამოგიცდია ასეთი ემოცია? როდის?


გაკვეთილის ბოლოს ყველა ერთად მღერის სიმღერას „მაშინ, როცა გიხარია...“

დამატებითი მეცადინეობა:

უფროსი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ შექმნან გრძნობების წიგნი. ძველ ჟურნალებში მოძებნეთ სხვადასხვა ემოციები და ამოჭერთ ისინი. მიეცით მათ თითო სურათი და სთხოვეთ, რომ დააწებონ ის ცარიელ ფურცელზე. ჰკითხეთ ბავშვს: „რა სიტუაციაში შეიძლება განიცადოთ თქვენ ეს ემოცია?“ და დაწერე მისი პასუხი ქალაქდზე. შეაგროვეთ ყველა ფურცელი ერთად და შექმენით გრძნობების წიგნი.

მეცადინეობა 10. „მე შემიძლია ჩემი სხეულით გამოვხატო ჩემი თაყვი“







ზღაპარი „ბრძნობების ქალაქი“

დიდხინის ნინ შორეულ ქალაქში ფერად სახლებში რბოვრობდა ხალხი. მათ ეზოებში იზრდებოდა პატარა და დიდი ხეები, ნითელი და მენამული ყვავილები. გარშემო უამრავი მწერი იყო: ჭიანჭველები, ფუტკრები, პატარა ობობები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მხიარულობდნენ და ერთობოდნენ. მაგრამ ალბათ გაინტერესებთ ვინ რბოვრობდა ფერად სახლებში?

მოკლედ ასე: ბაჭონი შიში რბოვრობდა ლურჯ სახლში, ქალბაჭონი სევდა ნითელში, ბაჭონი ზედნიერება - ყვითელ სახლში, ხოლო პატარა გოგონა სახელად მრდელიობა - კი მწვანეში.

ბაჭონი შიში ყოველთვის თავის რისფერ სახლში იყო, მას არ სურდა გარეთ გასვლა და ულამაზესი ხეებისა და ყვავილების დათვალიერება. სინამდვილეში, ის ფიქრობდა, რომ, სახლიდან თუ გავიღოდა, შეიძლება დაწებოდა ხე ან ყვავილეს დაეყრინათ. ბაჭონ შიშს ასევე ეგონა, რომ თუ იგი დატოვებდა თავის სახლს, მას ქარიშხალი წაიღებდა ან მუხი დაარტყამდა. ბაჭონ შიშს ყოველთვის ყველაფრის ეშინოდა. ნარმოგიდგენიათ, რა ძნელია რბოვრობა ისე, როგორც ის რბოვრობდა?

ქალბაჭონი სევდა, რომელიც ნითელ სახლში რბოვრობდა, სულ ტიროდა. იგი ხშირად დადიოდა თავის სახლის გარეშემო, მაგრამ შორს არ მიდიოდა, რადგან ყოველთვის, როცა ბაღახე ფეხი უნდა დაეღვა, ეგონა, რომ იგი თავისი ნაზივით განადგურებდა მას. სახლში დაბრუნებული გასეირნების შემდეგ სულ ტიროდა, რადგან დარდობდა, რომ ხეებს, ყვავილებს და მწერებს

დაემშვიდობა. ყველაფერი ასევეიანებდა მას და თვალები სულ რემღებოთ სავსე ჰქონდა, რადგანარ ის დღე და ღამე ტიროდა.

ბაჭონი ზედნიერება ყვითელ სახლში რბოვრობდა. ის ყოველთვის ილიმებოდა და ხუმრობდა. ის ისეთი ზედნიერი იყო, რომ არასდროს აქრეცდა ყურადღებებს სხვებს, უბრალოდ უყვარდა მთელი დღე სიწილი და ღიმილი. ის თვლიდა, რომ ზედნიერება და არავინ სჭირდება. ამიტომ, ის მთელი დღე მარტო დადიოდა ბაღში და ხუმრობებს უყვებოდა მწერებს, კურდღლებს, ხეებსა და ყვავილებს. თქვენც ფიქრობთ, რომ ბაჭონ ზედნიერებას მეგობრები არ სჭირდებათ?

ზოლო სახლში რბოვრობდა პატარა გოგონა სახელად მრდელიობა. იგი ახალი იყო ამ ქალაქში. მან ჩამოიჭანა სათამაშოებით სავსე ჩემოდანი, ფერადი ტანსაცმელი და ფუნთუშები, რომლებიც ბებია მასვლის ნინ მისთვის დაარხო.

რამდენიმე დღის შემდეგ, რარ ახალ სახლში დასახლდა, მან იფიქრა: „ალბათ უნდა ნავიდე და მეზობლებს შევხვდე. იქნებ ნვეულებს მოვანყო და ყველა დავაჭიყო? „მოამზადა მოსანვევები, დაახატა ღამაზი ნახატები და მოანერა ხელი: „მე მქვია მრდელიობა, მე ახალი ვარ თქვენს ქალაქში. ვისურვებდი ყველასთან შეხვედრას, ამიტომ შანათს 1 საათზე გემრიელ ლანჩს მოვამზადებ. გვატყუებით, შემომიერთდით. ჩვენ ძალიან გავერთობით!“





ზღაპარი „ბრძნობების ქალაქი“

მრდელობამ არ იყოფა რამდენი მეზობელი ჰყავდა, ამიტომ მან 15 მოსანვევის გაკეთება გადაწყვიტა. იგი ეზოში გავიდა და პირველი, ვისაუბრებდა, იყო საყვარელი ნარინჯისფერი ჩიტო გრძელი ფრთებით და სასიამოვნო ხმით. ჩიტმა კითხა: „ამ ქალაქში ახალი ხარ? მე რიკო მქვია და შენ?“ მრდელობას ძალიან გაუხარდა, რომ ამ ქალაქში მისი პირველი მეგობარი იპოვა და თავი გააჩნო: „მე მქვია მრდელობა და ახლახან მწვანე სახეში გადმოვედი საწოვრებლად. სხვათა შორის, მე ვაპირებ გავისეირნო და მეზობლები დავპატიყო, რომ ყველა გავიყნო.“

ჩიტო რიკო ძალიან შედნიერი იყო და მრდელობას ასწავლა ვინ სად უხოვრობდა: მისტერ შიში ლურჯ სახეშია, ქალბატონი მწუხარება ნიელში და მისტერ შედნიერება ყვირელში. რიკომარ მიიღო მონვევა მისთვის და მისი ოჯახის ნევრებისთვის, აგრეთვე სხვა უხოველებისა და მწერებისათვის და გაფრინდა მისი მყდრო შუდისკენ.

მრდელობამ გზა განაგრძო და მოინვია ყველა მეზობელი, ვისზე რიკო მოუყვა. ლანჩის დღე იყო შაბათი. მრდელობამ მოამზადა უგემრიელესი ნამწვრები, სხვადასხვა არომატის უკლები, ახალი ხილის ნვენები და სახლი ფრადი ზუშტებით მორთო.

დანისწყლი დღის მეორე ნახევარში დაინყეს სტუმრებმა შეკრება. ყველანი სიამოვნებას ლეზლობდნენ მასპინძლობითა და ურთიერთობით. გემრიელი საჭმლის შემდეგ, ყველანი შეიკრიბნენ

- სასაუბროდ. ჩიტო რიკო საუბრობდა ზუღეში მწოვრებ მის ოჯახზე და იმაზე, თუ რამდენად ამაყობს იგი მისი 10 შვილით. მწერებმა უთხრეს მრდელობას, რას აკეთებენ დღის განმავლობაში, როგორ აშენებენ თავშესაფრებს და პოულობენ საკვებს ოჯახისთვის.
- ბატონი შიშის ჯერი რომ მოვიდა, მან თქვა: „ძვირფასო მრდელობა, მე ჩვეულებრივ არ ვტოვებ სახლს, რადგან მეშინია რამე დამემართოს. დღეს მოვედი იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა შენი გაჩნობა, თუმცა დიდი ხანია გარეთ არ ვყოფილვარ“.
- მრდელობა ძალიან გაკვირვებული დარჩა, მაგრამ მაღლობა გადაუხადა ბატონ შიშს მოსვლისთვის და სხვა სტუმრების მოსმენა განაგრძო.
- ქალბატონმა მწუხარებამ თქვა: „მრდელობავ, მაღლობა მინდა გითხრა მონვევისთვის. მე ჩვეულებრივ მხოლოდ ჩემი სახლის ირგვლივ დავხეტიალობ. ძალიან მწუხარე ვარ და მთელი დღე ვჭირი, რომ ბაღას ფეხს ვაბიჯებ და ჩემს მეგობრებს – ყვავილებს და ხეებს – ვემშვიდობები. თავიდან მოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ისე დამაინტერესა შენმა გაჩნობამ გადავწყვიტე მოვსულიყავი“.
- მრდელობა ძალიან გააკვირვა, იმან რომ მეზობლები ასე შორისშორს უხოვრობდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ იგი მოემზადა ზოლო სტუმრის, მისტერ შედნიერების მოსასმენად. მან თქვა: „ძვირფასო მრდელობა, თავიდან ვიფიქრე, რატომ უნდა მოვსულიყავი ამ შესვედრაზე, მე ისედაც შედნიერი ვარ ...“





ზღაპარი „გრძნობების ქალაქი“

მაგრამ, წინა სტუმრების მსგავსად, დავინტერესდი თქვენთან შეხვედრით და გადავწყვიტე მოსვლა”.

როდესაც ყველამ ისაუბრა, მრდელოზამ გადანაცვიტა მოეყოლა საკუთარი თავის შესახებ. „როგორც უკვე იხილეთ, მე ქალაქში ახალი ვარ. ადრე სხვა ქალაქში ვცხოვრობდი და შემდეგ მივიღე მონვევა მეშუქავა მალაზიამი. იმდენად ზედნიერი ვიყავი, რომ თავს ვგრძნობდი როგორც მისტერ ზედნიერება. ვფიქრობდი, რომ არავინ არ მჭირდებოდა, რადგან ზედნიერებისთვის უკვე ყველაფერი მქონდა. ხალხი მოდიოდა მოსალოურად, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო“. მისტერ ზედნიერებამ გაკვირვებით შეხედა მრდელოზას. როგორ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს იგივე გრძნობები, როგორც მას?

მრდელოზა ავრძელებდა თავის ისტორიას: „როცა გავიგე რომ ასე შორს უნდა ნავსულიყავი, შემეშინდა და თავი ვიგრძენი, როგორც მისტერ შიშმა. არ მინდოდა გადასვლა და არ მოვამზადე ჩემოდანი. შემდეგ ზეზიარებამა მითხრა, რომ მე შეხვედრები ზევრ ახალი და კარგ მეგობარს და მამინ კი გადავწყვიტე გადმოვსულიყავი აქ“. მისტერ შიშიერ გაკვირვებული იყო, რომ მხოლოდ მას არ აქვს მსგავსი შეგრძნებები.

ბოლოს მრდელოზამ თქვა: „როცა მოვედი თქვენს ქალაქში, არავის ვიგრძობდი და ვიყავი მონყენილი. მთელი საღამო

- ვტიროდი, როგორც ქალბატონი სევდა. მაგრამ მერე გამახსენდა რას მეუბნებოდა ზეზი და გადავწყვიტე ყველანი მომენვიეთ.“
- ქალბატონი სევდა გაკვირვებული უსმენდა მრდელოზას და ხვდებოდა რომ მხოლოდ ის არაა მონყენილი და მხოლოდ ის არ ტირის.
- მრდელოზა მიუბრუნდა მეგობრებს: „ყველა გრძნობა, რომელსაც თქვენ განიერდით ზუნებრივია და თქვენ ამის გამო სახლში არ უნდა რჩებოდეთ. როგორც ხედავთ შეიძლება შევიკრიბოთ და ერთმანეთს გავუზიაროთ გრძნობები. როცა მონყენილი ხართ ან რაიმესი გეშინიათ, დამელაპარაკეთ მე ან მეზობლებს ან მეგობრებს და მამინათვე მოგეშვენათ, ისევე როგორც ახლა. მე ამ შეხვედრის შემდეგ არ მოვიწყენ, რადგანაც თქვენ მყავხართ“.
- როცა სტუმრებმა გადანაცვიტეს ნასვლა, მრდელოზამ მათ მაღლოზა გადაუხადა სტუმრობისთვის, ყველამ კი მრდელოზას გადაუხადა მაღლოზა მონვევისთვის და მეგობრობისთვის.
- ასევე ყველა შეპირდა ერთმანეთს, რომ ხშირად გაუზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შეგრძნებებს და პრობლემებს, რომ უკეთ იგრძნონ თავი.
- როცა მრდელოზა წვეზოდა დასაძინებლად ის ზედნიერი იყო იმით, რომ დღემ ზრნყინვალეუდ ჩაიარა და ამდენი მეგობარი შეიძინა, რომლებსაც მომავალშიერ გაუზიარებებს თავის შეგრძნებებს და ემოციებს.



ნაწილი

მე და ჩემი ოჯახი

ზრუნვა ადამიანებზე, რომლებიც გვიყვარს

მეცადინეობა 11. „ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები ჩემ ცხოვრებაში“



მეცადინეობა 11. „ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები ჩემ ცხოვრებაში“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
 - განსაზღვრავენ და დაასახელებენ მათი ოჯახის წევრებს
 - გაიგებენ ოჯახის ყველა წევრის მნიშვნელობას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციურ-შემოქმედებითი.



საჭირო მასალები:

- ▶ წებო/წებოვანი ლენტები
- ▶ თეთრი ქაღალდი, რომელიც დაჭრილია პატარა მრგვალ (3.8 სმ დიამეტრის) წრეებად
- ▶ საწერკალმები/ფანქრები
- ▶ მუყაოს ქაღალდები
- ▶ ხის პატარა ჯოხები (საწუნნი კანფეტის ჯოხების მსგავსი)



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი

წიგნის ეს ნაწილი ემსახურება ძირითადი ფინანსური საფუძვლების შესწავლას, რისი მეშვეობითაც ბავშვები პირველ ნაბიჯებს აკეთებენ სოციალური და ფინანსური განათლებისკენ. ეს ნაწილი სტრუქტურირებულია ისე, რომ თავდაპირველად ბავშვები არკვევენ თუ რა არის ფული, შემდეგ კი აცნობიერებენ მის მნიშვნელობას. ასევე მეცადინეობები ეხმარება ბავშვებს ისეთი ცნებების გაგებაში, როგორცაა ხარჯვა, დაზოგვა და გაზიარება. გარდა ამისა მათ გამოუმუშავდებათ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რომლებიც ეხება საბაზრო ურთიერთობებს.

მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ასევე ნებისმიერი სახის შრომის/პროფესიების მიმართ პატივისცემაზე, ასევე ოჯახის წევრების პატივისცემაზე და მათ დახმარებაზე. მეცადინეობები ისე არის დაგეგმილი, რომ მშობელიც აქტიურად არის ჩართული თითქმის ყველა აქტივობაში, რაც უფრო ეფექტიანს ხდის ბავშვის სოციალიზაციის, პასუხისმგებლობის გრძნობის უნარების განვითარების პროცესს.

შესავალი:

10 წუთი

ბავშვები გაიყვანეთ გარეთ და სთხოვეთ ორი დიდი და ორი პატარა ჯოხის პოვნა (თუ ეს არ არის შესაძლებელი, წინასწარ მოამზადეთ ჩხირები ან ყლორტები).

- დაბრუნებისას თითოეულ ბავშვს მიეცით მუყაოს ქაღალდი და სთხოვეთ გააკეთონ ჩარჩო შეგროვილი ყლორტების გამოყენებით შემდეგნაირად: ორი გრძელი ჯოხი მოათავსონ ვერტიკალურ მდგომარეობაში და ორი მოკლე - ჰორიზონტალურად ორ გრძელს შორის, რომ მართკუთხედი გამოვიდეს. როგორც კი ბავშვები გააკეთებენ ჩარჩოებს, მიეცით წებო და უთხარით, რომ მიანებონ ჯოხები მუყაოზე. უთხარით მათ, რომ ეს არის ჩარჩო ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანის სურათისთვის.

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

ჰკითხეთ ბავშვებს:

- ვინ არიან ყველაზე განსაკუთრებული ადამიანები თქვენ ცხოვრებაში? რატომ არის ისინი განსაკუთრებული?
- როგორ აჩვენებთ მათ, რას ნიშნავენ ისინი თქვენთვის?
- რისი გაკეთება გიყვარს მათთან ერთად?

აუხსენით ბავშვებს, რომ როდესაც ადამიანებს უყვართ ერთმანეთი ძალიან მნიშვნელოვანია:

- ერთმანეთზე ზრუნვა
- უთხრათ, თუ რამდენად გვიყვარს ისინი
- სიყვარულის გამოხატვა კეთილი საქმეებით

მეცადინეობა 11. „ყველაზე მნიშვნელოვანი აღაზიანები ჩემ ცხოვრებაში“

ჰკითხეთ ბავშვებს:

- ვინმეს ოდესმე გაუკეთებია თქვენთვის კარგი საქმე? მაგალითად, ჩაგეხუტა, მაღლობა გადაგიხადა რაიმესთვის, შემოგთავაზა რაიმეს გაკეთება ერთად?
- როგორ აჩვენებთ თქვენს ახლობლებს, რომ გიყვართ?

უფრო პატარა ასაკის ბავშვებთან უმჯობესია ყურადღება გაამახვილოთ იმაზე, თუ რას აკეთებენ ისინი ახლობლებთან. უფროს ბავშვებთან ერთად შეგვიძლიათ განვიხილოთ, თუ რას გვაძლევს ჩვენი ოჯახი, როგორ ზრუნავს თითოეული წევრი ოჯახის საჭიროებებზე, როგორიცაა საკვები, თავშესაფარი, ტანსაცმელი, ერთმანეთზე ზრუნვა და ა.შ.

თითოეულ ბავშვს დაურიგეთ რამდენიმე წინასწარ მომზადებული ქალაქის ფურცელი და სთხოვეთ, დახატონ მათთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების სახეები. როგორც კი მორჩებიან ხატვას, დაურიგეთ წინასწარ მომზადებული პატარა ჭოხები (საწუნნი კანფეტების ჭოხებივით), ისე, რომ თითოეული „პორტრეტისთვის“ იყოს თითო ჭოხი.

სთხოვეთ ბავშვებს მიანებონ ჭოხები და ასევე გააკეთებინეთ წარწერები (დაეხმარეთ საჭიროების შემთხვევაში) პორტრეტების უკანა მხარეზე.

უკუკავშირი:

15 წუთი

დასვით ბავშვები წრეში. რიგრიგობით სთხოვეთ მათ დაასახელონ მათთვის ახლობელი, ძვირფასი ადამიანების სახელები. შემდეგ სთხოვეთ მეცადინეობის პირველ ნაწილში დამზადებულ ჩარჩოებში ჩაანებონ მათი ახლობლების პორტრეტები და ბოლოს კი ჩაალაგონ აფლატუნის ყუთში.



სავარჯიშო ოჯახთან ერთად:

მომზადეთ წერილი მშობლებისთვის, რომელშიც სთხოვთ მათ შემდეგ მეცადინეობაზე გამოატანონ შვილებს თითო ნივთი მათი (მშობლების) ბავშვობიდან. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული წერილის ნიმუში.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს გაკვეთილზე ვისაუბრეთ ადამიანებზე, რომლებიც არიან ძალიან მნიშვნელოვანი ბავშვის ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ თქვენმა შვილმა უკეთ გააცნობიეროს ეს თემა, აჩვენეთ მას თქვენი ბავშვობის ფოტო ან რაიმე ბავშვობიდან - ტანსაცმელი, სათამაშოები ან რაიმე სხვა. ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ შეძლებთ მას ეს ნივთი გამოატანოთ შემდეგ მეცადინეობაზე, რათა შეძლოს აჩვენოს ის სხვა ბავშვებს. ასევე, მოუყევით, რატომ იყო ეს ნივთი მნიშვნელოვანი თქვენთვის ბავშვობაში.

თუ ვერ ატანთ ნივთს ბავშვს, გთხოვთ დახატოთ ის ბავშვთან ერთად ან გადაუღოთ სურათი და გამოატანოთ შემდეგ მეცადინეობაზე.

პატივისცემით _____

მეცადინეობა 12. „ჩვილი კალათაში“



მეცადინეობა 12. „ჩვილი კალათაში“

მეცადინეობის მიზანი:
მეცადინეობის დროს ბავშვები:
• ისწავლიან ოჯახის წევრთა როლის დაფასებას
• აითვისებენ საჭიროების ცნებას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციურ-შემოქმედებითი.



საჭირო მასალები:

- ▶ მომღიმარე „სმაილიკებიანი“ ნახატი
- ▶ სევდიანი „სმაილიკებიანი“ ნახატი
- ▶ ცარცი
- ▶ ზღაპარი „ჩვილი კალათაში“
- ▶ თოჭინა - ბავშვი/ჩვილი
- ▶ კალათა
- ▶ სხვადასხვა ტიპის ტანსაცმლის ნახატები
- ▶ ნებო
- ▶ ისეთი ზომის ფორმატი/ქაღალდი, რომელიც შეიძლება გადააფარო მთელ ჯგუფს
- ▶ ქაღალდის ფურცლები (დამატებითი მეცადინეობისთვის)
- ▶ სანერკალმები/ფანქრები (დამატებითი მეცადინეობისთვის)



ხანგრძლივობა:

▶ 50 წუთი



ღლის სიტყვა:
▶ საჭიროება

შესავალი:

5 წუთი

ახალი აქტივობის დაწყებამდე სთხოვეთ ბავშვებს, რომ ჯგუფს გაუზიარონ მათი მშობლების ბავშვობის დროინდელი ნივთები.

ჰკითხეთ ბავშვებს, თუ რა იციან ჩვილებზე. გამოიყენეთ შემდეგი კითხვები ჩვილებზე მათი ინფორმირების/ცოდნის შეფასებისთვის:

- რას აკეთებენ პატარები?
- რა სჭირდებათ ჩვილებს?
- შეუძლიათ ახალშობილებს მარტო ცხოვრება?

ძირითადი ნაწილი:

25 წუთი

წაკითხეთ ზღაპარი „ჩვილი კალათაში“. შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს მიბაძონ მოთხრობაში ნახსენები ცხოველების ბგერებს და მათ მოძრაობებს.

ზღაპრის კითხვის დამთავრებისას ჰკითხეთ ბავშვებს:

- ვის ეხებოდა ზღაპარი?
- რომელ ცხოველებს უნდოდათ ბავშვის წაყვანა?
- რატომ ვერ იზრუნეს ბავშვზე?
- რა საჭიროება ჰქონდა ჩვილს? („საჭიროებების“ ცნების გაცნობა)

- გაავლეთ ხაზი იატაკზე. ხაზის ერთ კიდებზე მოათავსეთ ნახატი, რომელზეც გაღიმებული სახეა გამოსახული, ხოლო მეორეზე - სევდიანი. აუხსენით ბავშვებს, რომ თქვენ იტყვიან სიტუაციას/აზრს და თუ ისინი თვლიან, რომ მართალი ხართ, მათ უნდა იმოძრაონ გაღიმებული სახისკენ, ხოლო თუ ისინი ფიქრობენ, რომ აზრი არასწორია, მაშინ უნდა გადაადგილდნენ სევდიანი სახისკენ.
- თუ შესაძლებელია, სთხოვეთ ბავშვებს ბაყაყებივით იხტუნაონ.
- ვინც პირველი მივა ამა თუ იმ სახის გამომეტყველებასთან, უნდა ახსნას რატომ ფიქრობს ის, რომ თქვენ სიმართლეს ამბობთ /არ ამბობთ სიმართლეს.

დებულებების მაგალითები:

- ჩვილებს სჭირდებათ რძე
- ჩვილებს სჭირდებათ უალკოჰოლო სასმელები
- ჩვილებს სჭირდებათ შოკოლადი
- ჩვილებს შეუძლიათ ქუჩაში დაიძინონ
- ჩვილებს სჭირდებათ მშობლების ზრუნვა
- ყველა ბავშვს სჭირდება იგივე, რაც სჭირდება ჩვილს.

შეახსენეთ, რომ თითოეულ ბავშვს სჭირდება მოსიყვარულე და მზრუნველი ოჯახი.

მეცადინეობა 12. „ჩვილი კალათაში“

უკუკავშირი:

20 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ როგორც შემოქმედებითი საქმიანობა, ისინი ეხლა „საბანს“/„პლედს“ დაამზადებენ მთელი ჭგუფისთვის. სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ ნახატები, რომელზეც არის გამოსახული ტანსაცმელი და დაანებონ დიდი ზომის ქალაღზე - „საბანზე“. „საბანი“ რომ კარგად გაშრება უთხარით ბავშვებს, რომ წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან თოჯინა-ჩვილის მშობლები. კითხეთ: „როგორ იზრუნებთ ჩვილზე?“ ამისთვის მათ უნდა გამოიყენონ საბანი, თოჯინა და კალათა. კიდევ ერთხელ შეახსენეთ საკვანძო მტკიცებულება - ყველა ბავშვს აქვს უფლება ჰყავდეს ოჯახი, რომელიც მისცემს სახლს, დააკმაყოფილებს მის საჭიროებებს, აჩუქებს სიყვარულს და ზრუნვას. ასევე ხაზი გაუსვით იმას, რომ ყველა ოჯახს უნდა უყვარდეს და მხარს უჭერდეს ერთმანეთს.

ღამათიანი მეცადინეობა:

სთხოვეთ ბავშვებს, გააკეთონ ერთგვარი წიგნი „ერთი დღე ჩემი ოჯახის ცხოვრებაში“ (მაგალითი იხილეთ ქვემოთ). ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ უნდა გამოიყენოთ დროის ინტერვალი, მაგალითად, „დილით მე ...“ დაეხმარეთ ბავშვებს დახატონ ის, რასაც აკეთებენ დღის განმავლობაში. დასრულების შემდეგ, ხელი მოაწერეთ ნახატებს და მოათავსეთ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.

წიგნი „ღე ჩემ ოჯახთან ერთად“

დახატა: _____ (ბავშვის სახელი, გვარი)

დილით მე ჩემს ოჯახთან...

დღისით მე ჩემს ოჯახთან

საღამოს მე ჩემს ოჯახთან...



საკარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ მშობლებს დაეხმარონ შვილებს „ოჯახური საბნის/პლედის“ გაკეთებაში, რომელსაც ისინი შემდეგ ანახებენ სხვა ბავშვებს. გამოიყენეთ მოცემული წერილის ნიმუში. საბანი შეინახეთ შემაჭამებელი აფლატუნის ბაზრობისთვის.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს კლასში კვლავ ვისაუბრეთ ოჯახზე და ვისწავლეთ ოჯახის თითოეული წევრის როლის შეფასება.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს შვილს ამ თემის ინტეგრირებაში ძველი ოჯახის სამოსის გამოყენებით „ოჯახის საბნის/ პლედის“ გაკეთებით. შეაგროვეთ ძველი ქსოვილის ნაჭრები, რომელთა დაჭრაც შეგიძლიათ.

აი, როგორ უნდა გააკეთოთ საოჯახო პლედი:

- დაჭერით ქსოვილი 10x10 სმ კვადრატებად
- მიაკერეთ ქსოვილების ნაჭრები ერთმანეთზე, რომ გამოვიდეს დიდი მართკუთხა საბანი/პლედი.

პატივისცემით, _____



ზღაპარი „ჩვილი კალათაში“

*****კითხვის დროს სთხოვეთ ბავშვებს გაიმეორონ ცხოველების ბგერები და მიბაძონ მათ მოძრაობებს.**

შორეულ ტყეში სამი ზაყაყი იწხოვრობდა. ყველას უყვარდა სიმღერა.

ერთ დღეს მათ გადანყვიტეს დამჭდარიყვნენ და მდინარის პირას ეძღერათ.

„ყი-ყი-ყი! ყი-ყი-ყი!“ – ნამოინყო პირველმა ზაყაყმა. „ყი-ყი-ყი-ყი“ – შეუერთდა მეორე.

„ყი-ყი-ყი-ყი-ყი-ყი-ყი“ – განაგრძო მესამემ. მაგრამ სამივე უჩვენებდა მას მერე, რაჯ მათ მოესმათ..... „უაააა! უაააა! უაააა!“

მათ მდინარეზე დაინახეს კალათი. ზაყაყები უფრო ახლოს გადახტდნენ და ძალიან გაუკვირდათ – კალათში ზავში იწვა.

„პატარავ! რა გაჭირებ?“ – კითხა პირველმა ზაყაყმა.

„როგორ აღმოჩნდი ამ კალათაში?“ – დაინტერესდა მეორე.

„სად არის შენი ოჯახი?“ – დაამატა მესამემ.

„უაააა! უაააა! უაააა!“ – ტიროდა ზავში საპასუხოდ.

„ეგებ მას არ ყავს ოჯახი?“ – დაფიქრდა პირველი ზაყაყი.

„მას სჭირდებოდა ოჯახი, რომელიც იზრუნებდეს მასზე“ – ამოიხსრა მეორემ.

„არა უშავს! ჩვენ ვიპოვით ოჯახს ჩვილისთვის!“ – ხმამაღლა დაიყვირა მესამემ.

• ასე გადანყვიტეს ნასულიყვნენ ზავშისთვის ოჯახის საპოვნელად. პირველად მათ ორი თხა შეხვდა.

• „მეუე ... მეუე ... ჩვენ ახალი ზალახი გვაქვს თქვენი ზიჯისთვის“, – თქვეს თხებმა.

• „მაგრამ ზავშევი ზალახს არ ჭამენ“, – უპასუხეს ზაყაყებმა.

• „ყვავა! ყვავა! ზავში ნამდვილად კომფორტულად იწხოვრებენ ჩემთან, ჩემ უსაფრთხო ზუღეში“, – ნამოიძახა ყვავმა.

• „მაგრამ ზავში ვერ იწხოვრებენ ზუღეში“, – გააპროტესტეს ზაყაყებმა

• „ღრღღრღ! ღრღღღრღ! ეს ზავში ჩემთან სრულიად უსაფრთხოდ იქნება!“ – თქვა მოხურმა ლომმა, – „მე არავისი მემინია ამ ტყეში და ის უსაფრთხოდ იქნება ჩემთან!“

• „თუ მას ჩვენთან ნავიყვანთ, ის ისეთივე ჭკვიანი გაიზრდება, როგორც ჩვენ“, – თქვეს ზუგებმა, „ჩვენ მას ყველა ნიგნს ნავიყვითავთ!“

• „სსსსს, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.....“ – თქვა მამა-გველომა.

• „ჩვენ შევიყვარებთ მას, როგორც ჩვენ შვილს“.

• „შეიძლება ჩავებუჭო?“ – თქვა ღედა-გველომა და ნელნელა მოეხვია ზავშეს კისრის არეში.



ზღაპარი „ჩვილი კალათაში“

„შენცვიტეთ! თავი დაანებეთ ზავშეს!“ – ნამოიძახა ზაყაყუმმა, – „თქვენ მას თქვენი სიყვარულით დაახრჩობთ!“ მოვიდნენ სხვა წხოველები, რომლებიც ტყეში წხოვრობდნენ. ისინი რიგში იდგნენ. თითოეული რაღაწას სთავაზობდა ზავშვისთვის. ყველა ზავშვეზე ზრუნვას პირდებოდა. მაგრამ ზაყაყუმს მაინც ვერ გადაეწყვიტათ ვისთვის უნდა მიერათ ზავშვი. „ნახე ვინ მოდის!“ – ნამოიძახა ერთმა ზაყაყუმს და ყველამ დაინახა, რომ მდინარეს ახლოგარდა წყვილი მიუახლოვდა. ზაყაყუმს სწრაფად დაიმალნენ და ჩუმად აკვირდებოდნენ წყვილს, რომელიც მიუახლოვდა კალათას, სადაც ზავშვი იწვა.

„აქ ზავშვია!!!“ – ნამოიძახა ქალმა. „უაააა, უაააა, უაააა!“ – იჭირა ზავშმა

„მას ოჯახი სჭირდება, რომელიც იზრუნებს მასზე. მოდი ჩვენ

- ნავიყვანოთ და ის ჩვენი ზავშვი იქნება” – თქვა ორივემ და მოეხვიეს ზავშეს.
- ზაყაყუმს გაჰყვინნ წყვილს მათი სახლისკენ. კედლის ხვრელიდან მათ დაინახეს, როგორ დაამაზადეს წოლ-ქმარმა აკვანი ახალშობილისთვის და ჩაანვინეს იგი.
- „რა დავარქვით? სახელი უნდა მოვიფიქროთ. მოდი, ნიკა დავარქვით!”
- ზაყაყუმმა ერთმანეთს გადახედეს. როგორც იქნა, ზავშეს ოჯახი უავს! ისინი ისეთი შედნიერები იყვნენ, რომ გზაზე სიმღერა წამოიწყეს.
- წოლ-ქმარმა წოტა გაიკვირვა, როდესაც ზაყაყუმის სიმღერა მოესმათ. ზავშვმა კი თვალეზი გაახილა და გაილიმა.

მეცადინეობა 13. „მე და ჩემი ოჯახი ბედნიერები ვართ“



მეცადინეობა 13. „მე და ჩემი ოჯახი ბედნიერები ვართ“

- მეცადინეობის მიზანი:**
მეცადინეობის დროს ბავშვები:
- დაფიქრდებიან ოჯახის წევრების ემოციებზე
 - ისწავლიან თითოეული ოჯახის წევრის დაფასებას
 - გაიგებენ, რომ ოჯახის წევრებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ემოციის განცდა შეუძლიათ; ისწავლიან ემოციების ამოცნობას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალურ-ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ აფლატუნის ემოციების ამსახველი ბარათები
- ▶ მე შემიძლია გამოვხატო ჩემი ემოციები ჩემი სხეულის მეშვეობით (მე-10 მეცადინეობიდან)
- ▶ ფანქრები, ქალაღი (ბავშვების რაოდენობის შესაბამისად)



ხანგრძლივობა:

- ▶ 50 წუთი

შესავალი:

შეახსენეთ ბავშვებს ემოციებთან დაკავშირებული აქტივობა (მეცადინეობა №10 - „შემიძლია საკუთარი თავის გამოხატვა სხეულით“). კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვით იმას, რომ როდესაც ბედნიერი ხართ ან მოწყენილი, მნიშვნელოვანია გაუზიაროთ თქვენს მეგობრებს და ოჯახის წევრებს და ასევე ყოველთვის უნდა დააკვირდეთ, ბედნიერები არიან თქვენი მეგობრები და ოჯახის წევრები თუ არა. ისინი შეიძლება მოწყენილი იყვნენ ან სხვა გრძნობები ჰქონდეთ.

აჩვენეთ ბავშვებს აფლატუნის ემოციების ბარათები, რომ დაინახოსოვრონ სხვადასხვა ემოციები.

დასვით წრეში და თითოეულ ბავშვს მიეცით ერთი ბარათი. სთხოვეთ მათ, არ აჩვენონ თავიანთი ბარათი სხვა ბავშვებს. თითოეულმა ბავშვმა რიგრიგობით უნდა მოახდინოს ბარათზე გამოსახული ემოციის დემონსტრირება მის მარჯვნივ მჯდომისათვის. შეეცადეთ გამოიცნოთ რა ემოცია იყო. ემოციის ამოცნობის შემდეგ სთხოვეთ შემდეგ ბავშვს აჩვენოს თავისი ემოცია მის მარჯვნივ მჯდომს.

10 წუთი

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

- უთხარით ბავშვებს, რომ ჩვენი ოჯახის წევრებს მრავალფეროვანი ემოციები აქვთ, ისევე როგორც ჩვენ. მაგალითად, როდესაც ისინი სამსახურიდან ბრუნდებიან, ზოგჯერ შეიძლება დაღლილი იყვნენ ანდ ნერვიულობდნენ, ზოგჯერ კი ბედნიერები, რადგან დღის განმავლობაში ბევრი კარგი რამ მოხდა.

- უთხარით, რომ თქვენ ეხლა მოყვებით სიტუაციას და ბავშვებმა თავიანთი აზრი უნდა გამოხატონ, თუ რას განიცდიდნენ მათი ოჯახის წევრები ამა თუ იმ სიტუაციაში. სთხოვეთ ეს ყველაფერი გამოხატონ სახის გამომეტყველებით:

- დედამ ნახა, რომ თეფში გატყდა
- ჩემს ძმას ახალი სათამაშო აჩუქეს
- დას დაავინწყდა სად დადო თოჭინა
- მამა სამსახურიდან დაღლილი მოვიდა
- ბებია ცუდად არის და საწოლში წევს

- თუ დავალება პატარებისთვის ძალიან რთულია, შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ მხოლოდ ბედნიერებისა და მწუხარების ემოციებზე და იმის ნაცვლად, რომ ბავშვებს სთხოვოთ ემოციების გამოხატვა, უბრალოდ იკითხეთ, როგორ იგრძნობდა მათი ოჯახის წევრი თავს.

მეცადინეობა 13. „მე და ჩემი ოჯახი ბედნიერები ვართ“

უკუკავშირი:

თითოეულ ბავშვს მიეცით ცარიელი ფურცელი და საწერკალმები/ფანქრები. სთხოვეთ, დახატონ რა გაახარებს მათ ან ოჯახის სხვა წევრს.

აუხსენით, რომ ჩვენი მოქმედებები გავლენას ახდენს ჩვენს გარშემომყოფებზე, ხოლო სხვების მოქმედებები, თავის მხრივ, ჩვენზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქმედებებით შეგვიძლია სხვა ადამიანების გაბედნიერება, მაგრამ ასევე შეგვიძლია მათი გაღიზიანება ან გაბრაზება.

დარწმუნდით, რომ ყველა ჩანაწერი ხელმოწერილია ბავშვებისთვის მიღებული ფორმით და განათავსეთ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.

20 წუთი

ღამათაბითი მეცადინეობა:

უფროსი ასაკის ბავშვებს შეგიძლიათ სთხოვოთ მოიყვანონ მაგალითები, როდესაც მათ გააკეთეს რაიმე, რამაც სხვა გააბრაზა, ან გაანაწყენა.

ჰკითხეთ მათ:

- როგორ იგრძენი თავი ამის შემდეგ?
- როგორ იგრძნო ამ საქციელის შემდეგ თქვენი ოჯახის წევრმა?
- როგორ მოახერხე ყველაფრის გამოსწორება?

ამ კითხვებმა შეიძლება გამოიწვიოს ემოციურად რთული დისკუსია, რომლის დროსაც ბავშვს ყურადღებით უნდა მოუსმინოთ და დაეხმაროთ მას.

მეცადინეობა 14. „შრომის ცნება“



**მეცადინეობა 14.
„შრომის ცნება“**

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიას და ხელსაწყოებს
- გაიგებენ მათი ოჯახის წევრების პროფესიებს და მათ მნიშვნელობებს



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალურ-ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ნახატები/ფოტოები
- ▶ სხვადასხვა სამუშაო იარაღების/ხელსაწყოების სურათები/ნახატები
- ▶ საძერწი
- ▶ ქაღალდის ფურცლები



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი

დარწმუნდით, რომ გაქვთ თქვენი აღსაზრდელების მშობლების პროფესიის ამსახველი ნახატები/სურათები.

შესავალი: 5 წუთი

ბავშვები დაყავით მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით სხვადასხვა სახის პროფესიის წარმომადგენლების და იმ ინსტრუმენტების ამსახველი ნახატები და სურათები, რომლებიც საჭიროა/გამოიყენება კონკრეტულ პროფესიაში. სთხოვეთ ბავშვებს, დააწყვილონ ნახატები პროფესია და ინსტრუმენტი/იარაღი). უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი მეცადინეობა ეხება მათი ოჯახის წევრების პროფესიებს.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ მათი ოჯახის წევრებს აქვთ სხვადასხვა პროფესია და ეწვეიან სხვადასხვა საქმიანობას, როგორც ეს სურათებზეა ნაჩვენები.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- სად მუშაობენ თქვენი მშობლები?
- ოდესმე ნამყოფი ხართ მშობლებთან სამსახურში?
- გვითხარით რა ნახეთ?

- როგორ ფიქრობთ, რისთვის მუშაობენ თქვენი მშობლები?

სთხოვეთ ბავშვებს საძერწისგან გააკეთონ ის ინსტრუმენტები, რომლებსაც მშობლები იყენებენ სამსახურში. როდესაც ხელსაწყოები მზად იქნება, განათავსეთ ისინი სუფთა ფურცელზე. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ იყენებენ მშობლები ამ ინსტრუმენტებს, მაგალითად: „დედაჩემი მაკრატელით ქრის ქსოვილს და შემდეგ საკერავი მანქანით კერავს კაბებს“. საძერწის გამკვრივების შემდეგ, მიეცით ბავშვებს მათი „იარაღები“, რათა მათ განათავსონ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.

უკუკავშირი: 15 წუთი

კიდევ ერთხელ უთხარით ბავშვებს, რომ მათი მშობლები მუშაობენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ ოჯახი არჩინონ, არამედ მუშაობენ საზოგადოებისთვისაც. ყველა პროფესია არის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ მოაქვს სარგებელი საზოგადოებისთვისაც. ხაზი გაუსვით პროფესიის მნიშვნელობას შემდეგი კითხვების დასმით:

მეცადინეობა 14. „შრომის ცნება“

- როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, თუ პოლიცია მოულოდნელად გაქრება?
- თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მეხანძრეები არ ყოფილიყვნენ?
- როგორ ფიქრობთ, როგორ ვიცხოვრებდით, ექიმები რომ არ ყოფილიყვნენ?

ღამათებითი მეცადინეობა:

დასვით ბავშვები წრეში. თქვით, რომ ახლა თქვენ დაასახელებთ პროფესიას და ბავშვებს მოუწევთ დაასახელონ მასთან დაკავშირებული საგნები, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომელსაც ამ პროფესიის წარმომადგენლები იყენებენ თავიანთ საქმიანობაში. მაგალითად: წამყვანი ამბობს „მეხანძრე“. ბავშვები კი ამბობენ „სახანძრო მანქანა“, წამყვანი ამბობს „ექიმი“, ბავშვები - „ნემსი“.



საპარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ რამდენიმე მშობელს, მოვიდნენ ბაღში და აჩვენონ/მოუყვენ ბავშვებს, რას აკეთებენ თავიანთ სამსახურში.

შრომის ცნება -

მე ვაუშაობ (სიმღერა "ARE YOU SLEEPING?" მოთიხვა)

- რას ვაკეთებ. რას ვაკეთებ.
- აზა გამოიწანი. აზა გამოიწანი.
- მე მთელი დღე ადამიანებს ვკურნავ.
- მე მთელი დღე ადამიანებს ვკურნავ.

სხვა ვარიანტები: მე წყალგაყვანილობას ვარემონტებ:

- მე თქვენთვის წერილები დამაქვს: მე საფილოს ვიმზადებთ:
- მე მთელი დღე რბოველებს ვკურნავ: მე მთელი დღე ზავშვემს ვასწავლი და ა.შ.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

- ეხლა ჩვენ ვსწავლობთ სხვადასხვა პროფესიებსა და სამუშაო იარაღებს. გეპატიჟებით ჩვენთან რათა წარმოგვიდგინოთ თქვენი პროფესია და მოგვიყვეთ რას აკეთებთ სამსახურში. ძალიან მადლობელი ვიქნებით, თუ შეძლებთ თქვენი სამუშაო იარაღის მოტანას.
- ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ სხვადასხვა პროფესიაზე და მოხარული ვიქნებით, თუ დაგვეხმარებით ბავშვებისთვის უფრო მეტი და საინტერესო ინფორმაციის მიწოდებაში!
- მოუთმენლად გელოდებით ჩვენთან!

პატივისცემით, _____

მეცადინეობა 15. „რატომ არის მნიშვნელოვანი საოჯახო საქმეებში დახმარება“



მეცადინეობა 15. „რატომ არის მნიშვნელოვანი საოჯახო საქმეებში დახმარება“

მეცადინეობის მიზანი:
მეცადინეობის დროს ბავშვები გაიგებენ/გაიაზრებენ რატომ არის მნიშვნელოვანი საოჯახო საქმეებში ჩართულობა



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალურ-ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ზღაპარი: „აფლათუნი დროს ატარებს მეგობრებთან ერთად“



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი



დღის სიტყვა:

▶ პასუხისმგებლობა

შესავალი:

5 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ აფლათუნი დიდ დროს ატარებს საოჯახო საქმეების კეთებაში და ამით ეხმარება მის ოჯახის წევრებს. მეორეს მხრივ, ისინიც ბევრ რამეს აკეთებენ აფლათუნის გასახარებლად. ეხლა კი თქვენ მოუყვებით მათ, თუ რას აკეთებს აფლათუნი სახლში, როგორ ეხმარება ოჯახის წევრებს.

სთხოვეთ ბავშვებს ახტენ და წამოიძახონ „მე აფლათუნი ვარ“, თუ ბავშვებიც აკეთებენ იმას, რასაც აფლათუნი აკეთებს (მაგალითები იხ დაბლა). ასევე შეიძლება სთხოვოთ ბავშვებს ფეხების ბაკუნი/ტაშის დაკვრა თუ ამას აკეთებენ ხშირად.

მაგალითისთვის:

- აფლათუნი საწოლს ალაგებს (უფროსი ასაკის ბავშვებისთვის)
- აფლათუნი ეხმარება სადილის/ვახშმის მომზადებაში (უფროსი ასაკის ბავშვებისთვის)

- აფლათუნი რწყავს მცენარეებს/ყვავილებს
- აფლათუნი საქმელს აძლევს შინაურ ცხოველებს
- აფლათუნი ალაგებს ტანსაცმელს, სათამაშოებს თამაშის მერე
- აფლათუნი ეხმარება უმცროს და/ძმას (უფროსი ასაკის ბავშვებისთვის)

ჰკითხეთ ბავშვებს:

- როგორ ფიქრობთ, რატომ აკეთებს აფლათუნი ამას?
- რა მოხდება თუ არავინ გააკეთებს ამ საქმეებს სახლში?

ბავშვებს უთხარით, რომ დღევანდელი მეცადინეობის თემაა „ჩვენი მოვალეობები სახლში“ ან როგორ დავეხმაროთ მშობლებს.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

ნაიკითხეთ ზღაპარი „აფლათუნი დროს ატარებს მეგობრებთან ერთად“

ჰკითხეთ ბავშვებს:

- თქვენც ასე ეხმარებით მშობლებს, როგორც აფლათუნი და ნინო?

მეცადინეობა 15. „რატომ არის მნიშვნელოვანი საოჯახო საქმეებში დახმარება“

- რას აკეთებთ სახლში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი დაეხმაროთ ოჯახს?

აუხსენით ბავშვებს, რომ როგორც აფლატუნის ოჯახი, ასევე მათი ოჯახი და მშობლები ეუბნებიან რაში სჭირდებათ მათი დახმარება.

უთხარით ბავშვებს, რომ ეხლა ჩვენ გავაკეთებთ იმას, რასაც აფლატუნი აკეთებს სახლში.

დაიწყეთ შემდეგნაირად:

- მოდით საწოლი დავალაგოთ (გააკეთეთ იმიტირება)
- ეხლა მოდით მშობლებს დავეხმაროთ სადილის მომზადებაში (გააკეთეთ იმიტირება).

ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ ეხმარებიან ისინი ოჯახის თითოეულ წევრს და როგორ ეხმარება მათ ოჯახი. ასევე, თუ რა მოქმედებებს აკეთებენ მაგალითად, ბაღში/ეზოში როცა ეხმარებიან მშობლებს. დაეხმარეთ ბავშვებს, რომ ერთად შეასრულონ ეს საქმიანობა.

უკუკავშირი:

15 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს განასახიერონ თუ როგორ და/ან რაში უნდა დაეხმარონ დედას, მაგალითად, სადილის მომზადებაში, ოთახის დალაგებაში და ა.შ.

შემდეგ შეცვალეთ „დედა“ „მამათი“ და ასე, ცალ-ცალკე ყველა ოჯახის წევრისთვის დახმარების მაგალითი განასახიერეთ ქმედებებით.



სავარჯიშო ოჯახთან ერთად:

უფროსი ასაკის ბავშვებისთვის - მშობლებთან ერთად შეიძლება შეიქმნას „სახლის სამუშაოების განრიგი“. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული წერილის ნიმუში მშობელთან.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

მეცადინეობებზე ჩვენ შევისწავლეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახში ერთმანეთის დახმარება.

თქვენ ძალიან დაეხმარებით თქვენ შვილს თუ შესაძლებლობას მისცემთ დაგვეხმაროთ სახლის საქმეებში.

კარგი იქნება თუ ერთად შეადგენთ „სახლის საქმეების ერთკვირიან გრაფიკს“

პატივისცემით, _____



ზღაპარი „აფლატუნი დროს ატარებს მეგობრებთან ერთად“

დღეს მშვენიერი მზიანი დილაა. აფლატუნი ადრე იღვიძებს, რადგან უყვარს თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად დროის გატარება. ის ადრე იღვიძებს უამინდობასა და სირივეშიერ კი. დედას და მამას საუზმის მომზადებაში ეხმარება. შემდეგ აფლატუნი სათამაშო მოედანზე მიდის მეგობრებთან შესახვედრად.

– კბილები უკვე გაიხეხე? – ეკითხება დედა, თან ეხმარება შარვლისა და ფეხსაწმლის ჩაქმში.
– დიახ, დედა! მე უკვე ხელ–პირი დავიბანე და კბილები გავიხეხე!– და სიამაყით ილიმება.

შემდეგ აფლატუნი და მისი მშობლები სათამაშო მოედანზე მიდიან მეგობრებთან შესახვედრად.

გიორგი, ნინო, ლაშა და სანა უკვე თამაშობენ ზღაპარზე და ისინი აფლატუნს შორიდანვე ესაუბრებიან.

„გამარჯობა აფლატუნ, მოდი ვითამაშოთ!“ – სთავაზობს ნინო.
„ამდენი ხანი სად იყავი? რას აკეთებდი?“ – ეკითხება სანა.

„მე დედას და მამას ვეხმარებოდი ჩემი და ჩემი ძმის საუზმის მომზადებაში. მერე სუფრა გავშალე და როდესაც ვისაუზმეთ სუფრა ავალაგე.“

• აფლატუნი და მისი მეგობრები ერთად თამაშობენ და ძალიან ხალისობენ. ისინი დამალოზანას და დაჯეოზანას თამაშობენ.
• მათ ახალი თამაშები მოიფიქრეს. ასევე ერთმანეთს საინტერესო ისტორიებს უყვებიან და ზეჯრ ახალს იგებენ ერთმანეთზე.
• აფლატუნი და მისი მეგობრები ძალიან წნობისმოყვარეები არიან! მოულოდნელად აფლატუნმა ზუჩქთან ახლოს იპოვა ჭიანჭველების ზუდე. აფლატუნი და მისი მეგობრები როჭა ხანს აკვირდებოდნენ ჭიანჭველებს.

• ჭიანჭველებმა საკვები იპოვეს. შემდეგ ისინი ჩამსურვიდნენ და საჭმელი სახლში მიიტანეს. „რა შრომისმოყვარე მწერები არიან!“
– გაიფიქრა აფლატუნმა. როჭა ხნის შემდეგ მან თქვა:

„ახლა სახლში წასვლის დროა!“

• „დიახ, უკვე გვიანია. დედამ მთხოვა, ვახშამზე არ დაავიანოო
„ – თქვა ნინომ, – “მე შენთან ერთად წავალ, შეგვიძლია როჭა ხანი ერთად ვიაროთ“.

• „ჰეი, რას აკეთებ! ნაადრევია სახლში წასვლა! მოდიოთ კიდევ ვითამაშოთ!“ – თქვა სანამ.

• მაგრამ აფლატუნმა და მისმა მეგობრებმა იყიან, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს: არის დრო თამაშისთვის, სკოლაში წასვლის დრო და სახლში წასვლის დროც! და

ზღაპარი „აფლატუნი დროს ატარებს მემობრებთან ერთად“

ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია დედისა და მამის დაჭერება. „ზოღიში საბა, მაგრამ ჩვენ ნამდვილად უნდა ნავიდეთ სახლში! დედა ვახშამს ამზადებს“.

„ჰეი, რას აკეთებ! ნაადრევია სახლში წასვლა! მოდიოთ კიდევ ვთამაშოთ!“ – თქვა ლაშამ.

„ფროყლად უნდა მივიდეთ სახლში, დედას სუფრის გაშლაში უნდა დავეხმაროთ და მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვთამაშობდით, ახლა დროა ნავიდეთ სახლში“ – მიუგო აფლატუნმა.


ერთ დღეს, ნინომ აფლატუნი მიიწვია ვახშამზე მის ოჯახში. აფლატუნი ძალიან გაახარა ამ ამბავმა. იგი მიღის ნინოსთან სახლში. ხედავს თუ როგორ ეხმარებიან ნინოს ოჯახის ნევრები ერთმანეთს. ნინოს დედამ სთხოვა ნინოს და აფლატუნს მალაზიაში ჰური ეყიდათ. ისინი ერთად ნავიდნენ მალაზიაში, სადაც ძალიან ზვერი გემრიელი რამ იყიდებოდა. იქ ასევე ნაყინის რეკლამა იყო გაკრული კედელზე. აფლატუნი და ნინო

უყურებდნენ ნაყინს და ძალიან უნდოდათ მისი ყიდვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჰური იყიდეს. მათ ხომ ვახშმისთვის ჰური სჭირდებოდათ.

სახლში დაბრუნებისას, ნინომ დაინყო სუფრის გაშლა, მისმა და-ძმამ – ოთახის დალაგება. აფლატუნს ეუბნებოდნენ, რომ ყველაფერი ეს ჭამის წინ უნდა კეთდებოდა იმისათვის, რომ სახლი სუფთა და დალაგებული იყოს. ამით ისინი მშობლებს ეხმარებიან. ვახშმის შემდეგ ოჯახში ყველას ჰქონდა თავისი ვალოდებულებები. აფლატუნი ზედნიერი იყო იმით, რომ ხედავდა, როგორ ეხმარებიან ამ ოჯახში ერთმანეთს.

ამასობაში ძილის დროე მოვიდა. დამძვიდობებისას ნინომ მაფლობა გადაუხადა აფლატუნს სტუმრობისთვის და არაჩვეულებრივი დღისთვის. აფლატუნიც ზედნიერი იყო მეგობართან გაჭარბული დროით.

ხვალ მას უკვე ახალი თავგადასავალი ელოდებდა. როგორ ფიქრობთ, ხვალ აფლატუნი სად წავა?”



ნაწილი

მე და ჩემი მეგობრები –
როცა ერთმანეთს ვეხმარებით

მეცადინეობა 16. ზღაპარი „ლომი და თაგუნა“



მეცადინეობა 16. ზღაპარი „ლომი და თაგუნა“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან მეგობრების დაფასებას, თუ რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა.
- უფრო მეტს გაიგებენ მეგობრობაზე, გაერკვევიან თუ რას აკეთებენ მეგობრები ერთმანეთისთვის



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ზღაპარი „ლომი და თაგვი“
- ▶ სუფთა ფურცლები (ბავშვების რაოდენობის შესაბამისად)
- ▶ სანერკალმები და ფანქრები



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წუთი

ამ ნაწილში განხილული იქნება მეგობრობის მნიშვნელობა - რას იღებენ მეგობრები ჩვენგან და რას ვიღებთ ჩვენ მათგან. ასევე ვისაუბრებთ, რა გვაკავშირებს მათთან და როგორ ვიყენებთ ჩვენს ტალანტს და ინტერესებს.

შესავალი: 10 წუთი

დასვით ბავშვები ისე, რომ ყველა ხედავდეს ნახატებს წიგნში. აჩვენეთ ბავშვებს ლომის სურათი და ჰკითხეთ:

- ოდესმე გინახავთ ლომი?
- თუ იცით როგორ ხმებს გამოსცემს ის?
- რისი თქმა შეგიძლიათ თაგუნაზე?

წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი ლომზე და თაგვზე. როცა კითხვას მორჩებით, ჰკითხეთ ბავშვებს:

- ადვილი იყო თუ არა ლომისთვის და თაგუნასთვის დამეგობრებულებიყვნენ გაცნობის პირველი დღიდან?
- როგორ დამეგობრდნენ ისინი საბოლოო ჭამში?
- რას აკეთებენ მეგობრები ერთმანეთისთვის?

- თქვენ თუ აკეთებთ ამას ერთმანეთისთვის?
- რას აკეთებთ მეგობრებთან ერთად?


ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

აუხსენით ბავშვებს, რომ ახლა წაუკითხავთ გამონათქვამებს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ნამდვილი მეგობრები. სთხოვეთ მათ ლომის მსგავსად ხმამაღლა დაიღრიღონ თუ თვლიან, რომ გამონათქვამი სწორია და თაგუნასაკით დაიწრიპინონ, თუ თვლიან, რომ გამონათქვამი არასწორია.

რიგრიგობით წაიკითხეთ შემდეგი წინადადებები:

- მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ
- მეგობრები გეხმარებიან იმის გაკეთებაში, რისი გაკეთებაც არ გჭირდება
- მეგობრები არ ეხმარებიან ერთმანეთს
- მეგობრები ერთად თამაშობენ
- მეგობრები სცემენ ერთმანეთს
- მეგობრები გამხსნევენ, როცა მოწყენილი ხარ

მეცადინეობა 16. ზღაპარი „ლომი და თაგუნა“



დაურიგეთ ბავშვებს სუფთა ფურცლები და სთხოვეთ დახატონ თავიანთი მეგობარი. ეს იქნება ჟურნალის ყდა, რომელსაც ჰქვია „მე და ჩემი მეგობრები“.

ბავშვებს დაეხმარეთ მიაწერონ თავიანთი სახელები ნახატებს და მოათავსონ ისინი აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.

უკუკავშირი:


10 წუთი

ბავშვებს უთხარით, რომ ახლა სხვა თამაშს ითამაშებთ. სთხოვეთ მოიყვანონ მაგალითი რისი გაკეთება სურთ მათ მეგობარ აფლატუნთან ერთად. შეახსენეთ, რომ მათი მეგობარი აფლატუნი ძალიან კარგია, რომ ის მათზე ზრუნავს, უყვარს მათთან ერთად თამაში და სიახლეების აღმოჩენა.

ახლა სთხოვეთ ბავშვებს გაითამაშონ შემდეგი მოქმედებები:

- მეგობრებთან ერთად სეირნობა
- მეგობარს ეხმარები იატაკიდან წამოდგომაში
- მეგობარს ეხმარები ყვავილების მორწყვაში

უფროსი ჯგუფის ბავშვებს შეიძლება ეს მოქმედებები გავაკეთებინოთ წყვილში და თან შევთავაზოთ, რომ წყვილიდან ერთ-ერთი იყოს აფლატუნი. როცა მორჩებიან, სთხოვეთ შეცვალონ როლები და ისევ გაითამაშონ იგივე მოქმედებები.



ზღაპარი „თავი და ლომი“

ერთ დღიას სავანეში, პატარა თავუნა თამაშობდა თავის მეგობრებთან ერთად დიდი მუხის გარშემო. ისინი დარბოდნენ ხის ირგვლივ, იმალებოდნენ ფულუროებში, დახტოდნენ ტოტებზე. ამ დროს ხის ქვეშ, ჩრდილში იწვა და ტკბილად ეძინა ლომს, ნადირთა მეფეს.

„დარბმუნებული ვარ არ გეყოფა გამბედაობა, რომ მიხვიდე იმ დიდ ლომთან!“ – უთხრა ერთმა თავგმა პატარა თავუნას.

„ღიასურ მეყოფა! მე ძალიან მამაყი ვარ და ლომის არ მეძინია!“ – უპასუხა პატარა თავუნამ
– კარგი, თუ ასეთი მამაყი ხარ, რატომ არ მიდიხარ ახლოს? – ჰკითხა მეგობარმა.

თავგმა გაიღიმა, ლომს გახედა. გაიფიქრა, რომ მას შეეძლო სწრაფად მიერბინა მასთან ახლოს და უკან გამოქრეულიყო. მართლაც, ღრმად ჩაისუნთქა, ძალიან ფრთხილად მიიღებინა ლომთან, რომ არ შეხებოდა და არ გაეღვიძებინა. შემდეგ ისევ თავის მეგობართან დაბრუნდა.

„ოჰ, ეს ასე ადვილი იყო“, – უთხრა მისმა მეგობარმა, როცა ნახა უკან მობრუნებული თავუნა, რომელიც ძლივს სუნთქავდა, რადგან ძალიან სწრაფად მოიბრუნდა და შეშინებული იყო.

„ასე ხომ ყველას შეუძლია?!“ – აჯავრებდა მეგობარი თავუნას.
„აბა, თუ შეგიძლია მის კუდს რომ შეეხო?“ – არ ეხრებოდა ის.

- თავუნას ძალიან შეეშინდა, მაგრამ ის ძალიან ამაყი იყო და
- ამიტომ გადაწყვიტა გამოწვევა მიეღო. მან ლომს შეხედა, კიდევ
- ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა, ლომის კუდისკენ გაიქრა, შეეხო
- და რა შეეძლო სწრაფად დაბრუნდა უკან. ლომს ისე მშვიდად
- ეძინა, რომ არც კი განძრეულა, მხოლოდ ოდნავ გააქნა კუდი,
- თითქოს აბეზარი ზუზი მოიშორაო.

- – კარგი, კარგი, – თქვა თავუნას მეგობარმა, – უნდა
- ვალიარო, რომ შენ უფრო მამაყი ხარ, ვიდრე ველოდი. მაგრამ
- საინტერესოა, გაზედავ თუ არა ლომის ზურგზე სირბილს, მის
- რხვირზე გაჩერებას, უღვამის მოქაჩვას და უკან დაბრუნებას?“.

- ამჯერად თავუნას სერიოზულად შეეშინდა, მაგრამ ლომს ისე
- ეძინა, რომ მისთვის შესაძლებელი იყო ამის გაკეთება მისი
- გავლიერების გარეშე. ის გადახტა და ლომის ზურგზე ალმოჩნდა.
- შემდეგ კი ლომის სახისკენ დაიძრა, მაგრამ ამ დროს ლომმა
- გაიღვიძა, თავუნა ზურგიდან თავის მასიურ თათში მოაქრია.
- მან ის-ის იყო თავისი უზარმაზარი პირი გააღო და აპირებდა
- პატარა თავუნას გადაყლაპვას, მაგრამ მისი ტირილი შემოესმა.
- „მპატიე, ნადირთა მეფე!“ – შეეკვდრა იგი, – „ერთხელ
- მპატიე!“

- „– რატომ უნდა მპატიო?“ – გაერინა ლომს, – „ერთი მიზეზი
- მაინც მიხხარა, რატომ არ უნდა შეგჭამო!“

- „თუ მპატიებ, არასდროს დამავინყდება ეს: დადგება დღე და
- სამავიეროს სიკეთით გადაგიხდის!“

ზღაპარი „თაგვი და ლომი“

ლომი ახარხარდა: „ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა“, - ჩაიყინა მან, - რა ხუმარა ხარ! მე ვერ წამომიდგენია, როგორ შეიძლება შენნაირმა ჰაჭარა თავგება სამაგიერო სიკეთით გადამიხადოს სიწოწხლის შენარჩუნებისთვის და რაიმე სამსახური გამინიოს!”

ლომი იმდენად გაახალისა თავუნას დაპირებამ, რომ დაეხმარებოდა მას, ისე გაახარა მისმა სიმაძაქემ და ღირსებამ, რომ გადაწყვიტა არ მოეკლა იგი. მან ასწია თათი და ნაღავლი გაათავისუფლა.

„მაძაქე თავუნა ხარ და მაინტერესებს შეასრულებ თუ არა დანაპირებს... გაგიშვებ, ვინ იყის, იქნებ კიდევ შევხვდეთ!“

„- გაეყინა ლომს, რაჯ კიდევ უფრო მეტად აშინებდა ჰაჭარა თავუნას და სწრაფად გაეშურა სახლისკენ, რათა რაჯ შეიძლება სწრაფად გასწლოდა მას.“

რამდენიმე დღის შემდეგ, ლომი ანტილოპაზე ნადირობდა და ხაფანგში გაემა, რომელიც მონადირეებს ხეებს შორის მოეთავსებინათ. რაჯ უფრო რდილობდა თავის გათავისუფლებას, მით უფრო ძლიერად ნეცდა მას ზადე ზემოთ. ასე რომ, ის ხეზე იყო ჩამოკიდებული და ელოდა მონადირეების დაბრუნებას და მის მოკლას.

• ის წხარე წრემლებით ტიროდა, როდესაც მოყოლოდნელად დაინახა ჰაჭარა თავუნა, რომელიც იქვე მიწყურწულივდა.


• „- რა მოხდა, წხოველთა მეფევ?“

• „ოჰ, ჩემო მეგობარო! როგორ მიხარია შენი დანახვა ... ანტილოპაზე ვნადირობდი და ამ ზადეებში ჩავვარდი ... ახლა სხვა აღარაფერი დამრჩენია, უნდა ველოდო მონადირეები როდის მოვლენ და მომკლავენ“ - ნამოიძახა ლომმა.

• „ო, ძვირფასო ლომო, ნუ ტირი! მე გავითავისუფლებ!“ - თქვა თავუნამ. სასწრაფოდ ავიდა ხეზე, გადალრღნა ზადეები, რომელშიც ლომი იყო გაბმული და გაათავისუფლა იგი.

• „დიდი მადლობა, ჰაჭარა თავუნავ!“ - თქვა ლომმა.

• მას შემდეგ, ამბობენ, რომ ხშირად ხედავენ დიდ ლომს, რომელსაც მუდამ ჰაჭარა თავუნა უზის ზურგზე და ისე დაიარება.



მეცადინეობა 17. „მეგობრული კავშირები“



მეცადინეობა 17. „მეგობრული კავშირები“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ უფრო მეტს მეგობრობის შესახებ და ასევე თუ რას მოიაზრებს ეს ცნება
- შეძლებენ განსაზღვრონ თუ რას აკეთებენ მეგობრები ერთმანეთისთვის
 - ისწავლიან მეგობრის დაფასებას, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობარი
 - გაერკვევიან საკუთარ და სხვის გრძნობებში, როცა იმყოფებიან კონფლიქტურ ისტუაციაში.



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ სანერკალმები
- ▶ აფლატუნის 5 პლაკატი (აფლატუნის სურათები A4 ფორმატზე)
- ▶ ქალაქის ზოლები (7,5 x 2, 5 სმ, თითო ყველა ბავშვისთვის)
- ▶ სუფთა ფურცლები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად.



ხანგრძლივობა:

- ▶ 50 წუთი

****გაკვეთილის დაწყებამდე აფლატუნის პლაკატები განათავსეთ იატაკზე სხვადასხვა ადგილას. შეაერთეთ პლაკატები ხაზებით და დახატეთ ფინიშის ხაზი ბოლო პლაკატის შემდეგ. თუ სავარჯიშოს ეზოში გააკეთებთ, შეგიძლიათ ასევე დახატოთ სტარტის ხაზიც.*

შესავალი: 10 წუთი

უთხარით ბავშვებს დადგენენ წყვილებად და ჩასჭიდონ მენყვილეს ხელი. აუხსენით, რომ მათ მოუწევთ აფლატუნის ერთი პლაკატიდან მეორეზე გადახტომა. შეიძლება სთხოვოთ, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც გადახტებიან შემდგომ პლაკატზე, დაასახელონ რაიმე მოქმედება, რისი გაკეთებაც აფლატუნს უყვარს მეგობრებთან ერთად (მაგ. სიცილი, თამაში, მღერა და ა.შ.)

როდესაც ყველა მიაღწევს ფინიშს, დასვით წრეში და ჰკითხეთ:

- ადვილი იყო თუ ძნელი მათთვის ფინიშამდე მისვლა?
- როგორ ფიქრობთ, თქვენთვის უფრო ადვილი, ან პირიქით უფრო ძნელი იქნებოდა, თუ ფინიშამდე მარტო წახვიდოდით ხტუნვა-ხტუნვით? რატომ?

- **ძირითადი ნაწილი: 30 წუთი**
- სთხოვეთ ბავშვებს დაასრულონ წინადადებები. მოუყვანეთ რამდენიმე მაგალითი ნიმუშისთვის.
- *მე მიყვარს, როცა ჩემი მეგობრები მაგ. მეხუტებიან, მეთამაშებიან, მღერიან ჩემთან ერთად, სტუმრად მოდიან ჩემთან სახლში და ა.შ.*
- ისაუბრეთ მათ პასუხებზე და რა უყვართ მათ მეგობრებში. იმსჯელეთ გარკვეული თვისებების მნიშვნელობაზე - მაგალითად, თუ მოგწონთ მეგობრები, რომლებიც ხშირად იღიმიან, მაშინ თქვენც ხშირად გაიღიმებთ.
- უთხარით ბავშვებს, რომ ახლა მეგობრობის ჭაჭვს გააკეთებთ თქვენს მეგობრებთან ერთად. დააწყვილეთ ბავშვები, თითოეულ ბავშვს მიეცით ქალაქის ზოლი და სთხოვეთ მასზე დახატონ თავიანთი მეგობარი/მეწყვილე. სანამ ბავშვები ხატავენ, სთხოვეთ გაუზიარონ მეგობარს რა მოსწონთ ერთმანეთში.

მეცადინეობა 17. „მეგობრული კავშირები“

როდესაც ბავშვები დაასრულებენ მუშაობას, შეაერთეთ მენყვილების ზოლები მეგობრობის ჭაჭვში - ერთი ზოლი მეორეს გადააბით რგოლებად.

უკუკავშირი:


10 წუთი

შეახსენეთ, რომ მეგობრები გვებმარებიან, როცა მონყენილები ვართ, ჩვენთან ერთად იცინიან, თამაშობენ და აკეთებენ ახალ-ახალ აღმოჩენებს.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- კიდევ რისი გაკეთება გიყვართ მეგობრებთან ერთად?

სთხოვეთ ბავშვებს დახატონ ეს ყველაფერი და შემდეგ თავიანთი ნახატები მოათავსონ აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.



მეცადინეობა 18. ზღაპარი „ბაჭია და კუ“



მეცადინეობა 18. ზღაპარი „ბაჭია და კუ“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ საკუთარი ნიჭის/ტალანტისა და ინტერესების შესახებ
- გაიგებენ სხვისი ნიჭის/ტალანტისა და ინტერესების შესახებ
 - ისწავლიან სხვისი ნიჭის/ტალანტის და ინტერესების პატივისცემას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ზღაპარი „ბაჭია და კუ“
- ▶ ყუთები
- ▶ აფლატუნის ტალანტების ამსახველი ბარათების რამდენიმე ნაკრები
- ▶ წინდები თოჯინების დასამზადებლად ბავშვების რაოდენობის შესაბამისად
- ▶ საღებავები (2 ფერი - მწვანე და ყავისფერი)
- ▶ ქაღალდის წრეები თოჯინებისთვის თვალების გასაკეთებლად
- ▶ წებო
- ▶ რამდენიმე ყუთის სტენდი (დამატებითი სავარჯიშოსთვის)



ხანგრძლივობა:

- ▶ 50 წუთი



დღის სიტყვა:

▶ ტალანტი

**** მეცადინეობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ თითოეული ბავშვისთვის გაქვთ წინდა და სამი ყუთი. პირველ ყუთზე დახატეთ აფლატუნი, მეორე ყუთზე ორი ბავშვი ერთად, ხოლო მესამეზე ერთი ბავშვი. ასევე დარწმუნდით, რომ გაქვთ აფლატუნის ტალანტების ამსახველი ბარათების რამდენიმე ნაკრები.*

შესავალი:

30 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს, დაიყონ ორ ჯგუფად. თითოეულ ბავშვს მიეცით თითო წინდა. უთხარით მათ, რომ მოისმენენ ზღაპარს - ორი პერსონაჟის - ბაჭიასა და კუს შესახებ. სთხოვეთ ერთ ჯგუფს წინდისგან გააკეთონ კუ, ხოლო მეორე ჯგუფს კი - ბაჭია. დაურიგეთ საღებავები, ქაღალდის წრეები და წებო. დაეხმარეთ ბავშვებს წინდის თოჯინები გააფერადონ ან დაახატონ კურდღლები ან კუები. გამოიყენეთ მწვანე საღებავი კუს შესაღებად, ხოლო ყავისფერი ან ყვითელი საღებავი კურდღლის შესაღებად. მცირე ასაკის ბავშვებთან უმჯობესია წინასწარ დაამზადოთ თოჯინები და დაურიგოთ მეცადინეობის დროს.

როდესაც ბავშვები დაასრულებენ თოჯინების მომზადებას, სთხოვეთ მოიცვან ისინი ხელებზე და აამოძრავონ ყოველთვის, როდესაც მათი პერსონაჟი ამბობს რაიმეს.

წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი „კურდელი და კუ“.

ძირითადი ნაწილი:

10 წუთი

როდესაც კითხვას დაასრულებთ, ჰკითხეთ ბავშვებს:

- ბაჭია და კუ ჰგვანან ერთმანეთს თუ განსხვავდებიან?
- რით განსხვავდებიან ისინი? რითი ჰგვანან ერთმანეთს?
- როგორ მოიგო კუმ რბოლა?
- მითხარით, რა გააკეთა კურდღელმა სხვებზე უკეთესად?
- და კუმ? იყო რამე, რისი გაკეთებაც მან შეძლო სხვებზე უკეთ?

მეცადინეობა 18. ზღაპარი „ბაჭია და კუ“

დაეხმარეთ ბავშვებს გააცნობიერონ „ნიჭიერების“ ცნება. ნიჭი არის სპეციალური უნარები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აქვს, ან ის, რასაც სხვებზე უკეთ ვაკეთებთ. ეს შეიძლება იყოს სიმღერის, ცეკვის, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის უნარი და ა.შ.

აუხსენით, რომ კუს და კურდღლის მსგავსად, ჩვენ ყველას გვაქვს მსგავსება და განსხვავებები. იმსჯელეთ მსგავსებასა და განსხვავებებზე, რაც ბავშვებს აქვთ თავიანთ მეგობრებთან და ეს დაუკავშირეთ განსხვავებულ ნიჭებსა და უნარებს.

ბოლოს სთხოვეთ ბავშვებს დასხდნენ წრეში.

როდესაც ბავშვები ბარათებს ყუთში ჩადებენ, ჰკითხეთ, რატომ ფიქრობდნენ, რომ აფლატუნი ამ ტალანტით/ნიჭით არის დაჯილდოებული.

ახლა სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ ბარათი ისეთი ნიჭით, რომელიც, მათი აზრით, სხვა რომელიმე ბავშვს აქვს და მოათავსონ ყუთში, რომელსაც 2 ბავშვი ახატია. სთხოვეთ ბავშვებს, ახსნან, რატომ ფიქრობენ, რომ მათ მეგობარს აქვს ეს ნიჭი.

და ბოლოს, სთხოვეთ, იგივე გააკეთონ საკუთარ ნიჭთან/ტალანტთან დაკავშირებით და ჩადონ ყუთში, რომელსაც 1 ბავშვი ახატია.

- აუხსენით, რომ განსხვავებები ჩვენ განსაკუთრებულს გვხდის,
- ხოლო საერთო თვისებებები გვეხმარება ერთმანეთთან საერთო
- ენის გამონახვაში. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა
- ნიჭით არიან დაჯილდოებულნი ჩვენი მეგობრები.


უკუკავშირი: 10 წუთი


ბოლოს ბავშვებს სთხოვეთ თოჭინები მოათავსონ აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.



დამატებითი სავარჯიშო:

მეცადინეობის დაწყებამდე მოამზადეთ თოჭინების თეატრის რეკვიზიტები - მუყაოს ყუთები. დაეხმარეთ ბავშვებს მორიგეობით გაითამაშონ ბაჭიასა და კუს ზღაპარი წყვილებში თოჭინებისა და მუყაოს ყუთისგან გაკეთებული სტენდის გამოყენებით.





ზღაპარი „ბაჭია და კუ“





ერთხელ ბაჭია ტრანზახობდა იმაზე, თუ როგორ სწრაფად შეუძლია სირბილი. ის ტრანზახობდა და ტრანზახობდა და უფრო მეტიერ, კუსარ დასწინოდა, რომელიერ ძალიან ნელი იყო.

და, აი, გამოყო კუმ თავისი გრძელი კისერი ჭავშიდან და ბაჭიას შესთავაზა შეჭიბრებოდნენ ერთმანეთს სირბილში, რაზეერ ბაჭიას გულიანად გაეყენა. „ოხ რა სასაწილოა! – იყინოდა ბაჭია – გასწრობანას? შენ მთავაზობ გასწრობანას?!“

კუმ უთხრა: „შენ შეიძლება ჩემზე სწრაფი იყო, შეიძლება კარგი მორბენალი ხარ, მაგრამ მე დაგიმტკიერებ, რომ შენი მოგება შემიძლია“.

შეიკრიბნენ ტყის ბინადრები და მონიშნეს გზა, რომელიერ უნდა გაერბინათ კუს და ბაჭიას. დაინყო შეჭიბრი და ბაჭიამ, რომელიერ შესანიშნავი მორბენალი იყო, მალე კუ ძალიან შორს ჩამოიჭოვა. სადღარ გზის შუაში ბაჭია მიხვდა, რომ ბევრად გაუსწრო ნელ კუს.

- „ოჰ, – გაიფიქრა ბაჭიამ, – უამრავი დრო მაქვს და შემიძლია ვიკუნტრუშო მინდორში“.
-
- ასეერ მოიქრა. როერ კუნტრუშო მობეზრდა, გადანყვიტა როტა ნაეძინა. „ჯერ კიდევ უამრავი დრო მაქვს კუს რომ მოვუგო“ – გაიფიქრა მან და ბაჭიას ჩაეძინა.
-
- ამასობაში კუ ძალიან ნელია, მაგრამ მაინერ განავრძობდა გზას ნაბიჭ–ნაბიჭ, ერთხელარ არ გაჩერებულა.
-
- ბაჭიამ როგორერ იქნა გაიღვიძა. „დროა განვავრძო გზა“ – გაიფიქრა მან. და ის გაიქრა ისე სწრაფად, როგორერ ადრე არასოდეს გაქრეულა. ის მთელი ძალით გაქანდა ფინიშისკენ და დაიხანა იქ მდგარი კუ. რომელიერ მოთმინებთ ელოდა მას. „აი, ხედავ, შენ შეიძლება ყველაზე სწრაფი მორბენალი ხარ ტყეში, მაგრამ მე სხვა ნიჭი გამაჩნია! მე ძალიან ჭკვიანი ვარ! აი, რატომ მოგივე ასე ადვილად!“.
-



მეცადინეობა 19. „ჩაიფიქრე სურვილი - ვარსკვლავი წყდება!“

მეცადინეობა 19.

„ჩაიფიქრე სურვილი - ვარსკვლავი წყდება!“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ უფრო მეტს მეგობრობის შესახებ და ასევე თუ რას მოიაზრებს ეს ცნება
 - განსაზღვრონ თუ რას აკეთებენ მეგობრები ერთმანეთისთვის
 - ისწავლიან მეგობრობის დაფასებას, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობარი
 - გაერკვევიან საკუთარ და სხვის გრძნობებში, როცა იმყოფებიან კონფლიქტურ სიტუაციაში.



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ წინდებისგან დამზადებული თოჯინები - ბაჭია და კუ (მეცადინეობა 18.)
- ▶ აფლატუნის ტალანტების ამსახველი ბარათების ნაკრები (მეცადინეობა 18)
- ▶ სხვადასხვა პროფესიების ამსახველი სურათები, რომლებიც ბავშვების ოცნებებს შეესაბამება
- ▶ ვარსკვლავის ფორმის ქაღალდები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად
- ▶ თასები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად
- ▶ ნებო
- ▶ ნებოვანი ლენტო
- ▶ მოსაწვევი წერილები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად (დამატებითი სავარჯიშოსთვის)



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი



დღის სიტყვა:

▶ ტალანტი

შესავალი:

10 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს ზღაპარი ბაჭიაზე და კუზე - მეცადინეობა 18. სთხოვეთ მათ ამოიტანონ თავიანთი წინდებისგან დამზადებული თოჯინები, რომლებიც მოთავსებულია აფლატუნის მოგზაურობის ყუთში. დახატეთ ფინიშის ხაზი ოთახის ერთ-ერთ კუთხეში. აუხსენით, რომ ახლა გაითამაშებთ კუსა და ბაჭიას გარბენს. სთხოვეთ ბავშვებს ნელა გახიზნონ სათამაშო კუსთან ერთად ფინიშის ხაზამდე, ხოლო სათამაშო ბაჭიათი ხტუნვა-ხტუნვით მივიდნენ ფინიშამდე.

როდესაც ბავშვები მივლენ ფინიშამდე, თქვან რა ტალანტები აქვთ მათ და რითი ახეერხებენ, რომ საკუთარი თავი წარმოაჩინონ. მოუყვანეთ მაგალითები აფლატუნის ტალანტების ბარათების გამოყენებით. აუხსენით ბავშვებს, რომ დღეს შეისწავლით ვის რა ტალანტი/რისი ნიჭი აქვს და როგორ უნდა გამოიყენონ ისინი.

- ადვილი იყო თუ ძნელი მათთვის ფინიშამდე მისვლა?
- როგორ ფიქრობთ, თქვენთვის უფრო ადვილი ან, პირიქით, უფრო ძნელი იქნებოდა, თუ ფინიშამდე მარტო წახვიდოდით ხტუნვა-ხტუნვა? რატომ?

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

აუხსენით ბავშვებს, რომ როცა იცი რისი გაკეთება შეგიძლია ყველაზე კარგად, მაშინ ბევრად უფრო ადვილად აიხდენ ოცნებებს. ჰკითხეთ, ვინ უნდა, რომ გამოვიდნენ როცა გაიზრდებიან. მოუყვანეთ მაგალითები.

მეცადინეობა 19. „ჩაიფიქრე სურვილი - ვარსკვლავი წყდება!“

თითოეულ ბავშვს მიეცით ქალაქისგან გამოქრული ვარსკვლავი და თასმა. უთხარით, რომ ვარსკვლავი ოცნების სიმბოლოა.

სთხოვეთ მათ წინასწარ მომზადებული პროფესიის ამსახველი ბარათებიდან აირჩიონ ის ბარათი, რომელიც ასახავს მათ ოცნებას - ვინ უნდათ რომ გამოვიდნენ, როცა გაიზრდებიან. დაეხმარეთ ნახატის ვარსკვლავზე მიწებებაში, მეორე მხარეს მიაწერეთ სახელები და წებოს მეშვეობით ვარსკვლავის ერთ კიდეზე მიამაგრეთ თასმა.

უკუკავშირი:

15 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს თავიანთი ნამუშევარი უჩვენონ ყველას. ჩამოკიდეთ ვარსკვლავები თვალსაჩინო ადგილას.

უთხარით, რომ მათი ვარსკვლავები აქ იქნება ჩამოკიდებული და ისინი შეძლებენ იოცნებონ იმაზე, თუ ვინ გახდებიან მომავალში. ხაზი გაუსვით იმას, რომ მათი ნიჭის, შრომისმოყვარეობის და ძალისხმევის წყალობით ისინი მიაღწევენ დასახულ მიზნებს.



ღამათებითი სავარჯიშო:

შემდეგ გაკვეთილზე თქვენ ჩაატარებთ ტალანტების შოუს და მოიწვევთ მშობლებს. მოსამზადებელ ეტაპზე ბავშვებს დაურიგებთ მოსაწვევ წერილს, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია დაგეგმვილი ღონისძიების შესახებ. ბავშვებს სთხოვეთ გააფერადონ თავიანთი მოსაწვევები და გადასცენ მშობლებს. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნიმუში, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

ჩვენი ტალანტების შოუ!

- ძვირფასო _____
- ჩვენი ტალანტების შოუ გაიმართება _____
- გთხოვთ მოხრძანდეთ და ეს განსაკუთრებული დღე გაატაროთ ჩვენთან ერთად!
- თარიღი: _____
- დრო: _____
- ჩატარების ადგილი: _____
- დამატებითი ინფორმაციისთვის
- მოგვმართეთ _____

სულმოდუნე გელით!


პატივისცემით,



სავარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ მშობლებს თავიანთ შვილებს დაუწერონ წერილი სათაურით „ჩემი ოცნებები შენს მომავალზე, ჩემო პატარავ“ და შემდეგ წაუკითხოთ მათ. ბავშვებს სთხოვეთ წერილი მოათავსონ აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.

მეცადინეობა 19. „ჩაიფიქრე სურვილი - ვარსკვლავი წყდება!“



ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში:

წერილის ნიმუში:

პატივცემულო _____

დღეს ჩვენ შევისწავლეთ ცნებები „ტალანტი“ და „ოცნებები“. ჩვენ განვიხილეთ საკითხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იოცნებო.

თქვენ შეგიძლიათ თქვენს ბავშვს ამ ცნების გათავისებაში დაეხმაროთ. დაუწერეთ წერილი მას სათაურით „ჩემი ოცნებები შენს მომავალზე, ჩემო პატარავ“ და წაუკითხეთ.

შეასხენთ თქვენ ბავშვს, რომ წერილის შემდეგ მეცადინეობაზე მოტანა არ დაავინწყდეს.

პატივისცემით, _____

მეცადინეობა 20. „ტალანტების შოუ“

მეცადინეობა 20. „ტალანტების შოუ“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ უფრო მეტს სხვების ტალანტების შესახებ
- მოახდენენ საკუთარი ტალანტების დემონსტრირებას
 - მონაწილეობას მიიღებენ ტალანტების შოუს ორგანიზებაში. შეასრულებენ სხვადასხვა დავალებებს



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ სოციალური
- ▶ შემოქმედებითი



საჭირო მასალები:

- ▶ აფლატუნის ტალანტების ამსახველი ბარათების ნაკრები (ამოჭრილი; მეცადინეობა 18)
- ▶ სხვადასხვა მასალები რეკვიზიტების დასამზადებლად
- ▶ ვარსკვლავის ფორმის ქაღალდები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად.
- ▶ სანერკალმები
- ▶ ნებო
- ▶ ნებოვანი ლენტი
- ▶ მოსაწვევები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად (დამატებითი სავარჯიშოსთვის)
- ▶ მედლები წარწერით „ყოჩაღ!“ თითოეული ბავშვისთვის
- ▶ შესაფუთი ქაღალდები (კოსტიუმების დასამზადებლად - სურვილის შესაბამისად)



ხანგრძლივობა:

- ▶ 2 დღე



დღის სიტყვა:

▶ ტალანტი

შესავალი: (მზადება შოუსთვის)

დაიწყეთ იმით, რომ დღევანდელი დღე იქნება განსაკუთრებული. ბავშვებს ჰკითხეთ: თქვენი აზრით, რას ნიშნავს ტალანტების შოუ? ბავშვებს შეახსენეთ ზღაპარი კუსა და ბაჭიაზე და ჰკითხეთ:

- გახსოვთ რა ტალანტი ჰქონდა ბაჭიას?
- გახსოვთ რა ტალანტი ჰქონდა კუსა?

არ დაგავიწყდეთ, რომ ტალანტი - ეს არის ის, რაც ჩვენ ყველაზე კარგად გამოგვდის. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ტალანტი გავუზიაროთ ჩვენ ოჯახის წევრებს და მეგობრებს, რათა ისინი გავახაროთ და მათ იამაყონ ჩვენით. ჩვენ ასევე პატივი უნდა ვცეთ სხვა ადამიანების ნიჭს. (მაგ. ჩვენი ბაღის მზარეულის, რომელიც ყოველთვის გემრილ საჭმელს გვიმზადებს).

მოუყევით, რა მაგარი იქნება თუ სხვებსაც უჩვენებენ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სხვებზე კარგად და შესანიშნავი იქნება, თუ ამას ტალანტების შოუს სახით გავაკეთებთ.

დაეხმარეთ მათ იმის დაგეგმვაში, რაც დასჭირდებათ ტალანტების შოუსთვის. აუხსენით, რომ ამ შოუზე მათ შეუძლიათ თავიანთი შესაძლებლობები უჩვენონ თავიანთ მეგობრებს და ოჯახის წევრებს დაყავით ბავშვები 3 ჯგუფად. მიეცით თითოეულ ჯგუფს 3 დავალება და სთხოვეთ, აირჩიონ ერთ-ერთი. შეგიძლიათ შესთავაზოთ სხვადასხვა ვარიანტი ჯგუფის წევრების ინტერესების გათვალისწინებით:

მეცადინეობა 20. „ტალანტების შოუ“

- იმდერონ აფლატუნის სიმღერა.
- გაითამაშონ კუსა და ბაჭიას ზღაპარი.
- იცეკვონ აფლატუნის სიმღერის ფონზე.

როგორც კი ჭგუფი გადაწყვეტს რა სახის ტალანტის დემონსტრირებას გააკეთებს შოუზე, დაეხმარეთ რეპეტიცია გაიარონ.

ტალანტების შოუს დაწყებამდე ბავშვებს შეიძლება მივცეთ დამატებითი მითითებები. მაგალითად:

- განათავსონ რეკვიზიტები
- დადგან სკამები
- დაეხმარონ შემსრულებლებს (აღმზრდელის დახმარებით)
- უჩვენონ სტუმრებს მათი ადგილები (მორიგეები)
- იყვნენ ღონისძიების შემომქმედნი (რა თქმა უნდა, აღმზრდელთან ერთად)
- მოამზადონ მოსაწვევები შოუსთვის (უფროსი ჭგუფის ბავშვები).

ძირითადი ნაწილი:

დაიწყეთ ტალანტების შოუ და მიესალმეთ მოსულ სტუმრებს. მადლობა გადაუხადეთ ბავშვებს განეული ძალისხმევისთვის და წარადგინეთ მონაწილეები/მსახიობები. დაუთმეთ სცენა ბავშვებს და მიეცით შესაძლებლობა გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

უკუკავშირი:

შოუს დამთავრების შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს: რას გრძნობდით დღეს, როდესაც თქვენს ტალანტს ოჯახის წევრებს უზიარებდით?

- აღნიშნეთ, როგორი აღფრთოვანებული ხართ იმით, თუ როგორ მოახდინეს თავიანთი ნიჭის წარმოჩენა დღეს და როგორ გეხმარებოდნენ შოუს ორგანიზებაში. ყველას დაურიგეთ მედალი წარწერით „ყოჩაღ“.
- შემდეგ ბავშვებს სთხოვეთ მედლები შეინახონ აფლატუნის მოგზაურობის ყუთში.

დამატებითი სავარჯიშო:


ტალანტების შოუსთვის მომზადება შეიძლება გაკეთდეს ერთ მეცადინეობაზე, თუ აპირებთ მცირე ღონისძიების არაფორმალურ გარემოში ჩატარებას. თუ უფრო მასშტაბურ ღონისძიებას გეგმავთ, მაშინ რამდენიმე გაკვეთილი შეიძლება გამოიყოს მოსამზადებლად. მაგალითად, შეგიძლიათ წინასწარ მოამზადოთ მოსაწვევი ბარათები და დაამზადოთ ბავშვებისთვის რეკვიზიტები. აუხსენით ბავშვებს, რომ რეკვიზიტებს შეუძლია მათი შოუ უფრო გასართობი ან უფრო სანახაობრივი გახადოს. მოუყვანეთ მაგალითები: „ექიმს სჭირდება სტეტოსკოპი და ჯადოქარს - ჯადოსნური ჯოხი“. შემდეგ ბავშვებს სთხოვეთ დაასრულონ წინადადებები: „პოლიციელს სჭირდება სასტვენნი, ხოლო მაკრატელი ... (მკერავს). თუ დრო გაქვთ, შეგიძლიათ გააკეთოთ კოსტიუმები შესაფუთი ქალაქისგან. მიეცით ბავშვებს საშუალება გამოიყენონ თავიანთი წარმოსახვა და ხელთ არსებული მასალები.



სავარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ თითოეულ მშობელს მათაც წარმოაჩინონ თავიანთი ტალანტები.





4

მე და საზოგადოება –
ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ერთად

ნაწილი

მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“

მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაეცნობიან და ერთმანეთს შეადარებენ სხვადასხვა ნომინალის ფულად ერთეულებს
- თამაშით განსაზღვრავენ მონეტების ნომინალებს
- მიხვდებიან და გააანალიზებენ, თუ რატომ არის ფული მნიშვნელოვანი
 - საკუთარი ხელებით „გააკეთებენ“ მონეტებს

უნარები:

- ▶ ფიზიკური

საჭირო მასალები:

- ▶ მონეტები და ქალაქის კუპონები (ან ასლები/ფოტოასლები)
- ▶ სუფთა ქალაქის ფურცლები
- ▶ ფანქრები
- ▶ ცარცი
- ▶ 3 ყუთი/კონტეინერი ყველაზე მცირე სამი ნომინალის მონეტის გამოსახულებით
- ▶ 3 ბურთი (დამზადებული/დაჭმუჭნული უსარგებლო ქალაქისგან)
- ▶ პატარა ყუთები/კონტეინერები, რათა განათავსოთ ისინი აფლატუნის სამოგზაურო ყუთებში სათითაოდ
- ▶ სხვადასხვა დიამეტრის ქალაქის მცირე წრეები (3 ან 4 ცალი)
- ▶ გამოჭრილი მონეტები

ხანგრძლივობა:

- ▶ 30 წთ

დღის სიტყვა:

▶ მონეტა

ამ ნაწილში უფრო დეტალურად განიხილება ის საზოგადოება/თემი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ძირითადი ყურადღება გამახვილდება უახლოეს გარემოცვაზე და ჩვენს ურთიერთქმედებაზე მასთან. ამ ნაწილის მიზანია ბავშვების ცნობიერებაში საზოგადოების და სამეზობლო თემის ცნებების, ასევე გაყიდვებისა და შესყიდვების ძირითადი პრინციპების დამკვიდრება.

****სავარჯიშოს დაწყებამდე მოამზადეთ 3 ყუთი /კონტეინერი/ კალათა სხვადასხვა ნომინალის მონეტების გამოსახულებით.*

შესავალი:

5 წუთი

1. აჩვენეთ ბავშვებს თქვენი ქვეყნის მონეტებისა და ბანკნოტების ნიმუშები. შეგიძლიათ ასლების გამოყენება, თუ რეალური ნიმუშების ჩვენება არ შეგიძლიათ.
2. სათითაოდ შემოატარეთ მონეტები, რომ ბავშვებმა შეძლონ თითოეული მათგანის ახლოდან გაცნობა. ასეთივე მეთოდით აჩვენეთ ბავშვებს ქალაქის კუპონები. საზგასმით აღნიშნეთ, რომ ფულს აქვს ფასეულობა და ამიტომ ფრთხილად უნდა მოეპყრონ მათ, არ დაკარგონ და არ დახიონ.
3. ჰკითხეთ ბავშვებს, რა განსხვავებაა სხვადასხვა მონეტასა და ქალაქის ბანკნოტებს შორის. აუხსენით, რომ მონეტებს და ქალაქის ფულს განსხვავებული ღირებულებები აქვთ და, შესაბამისად, განსხვავებულად გამოიყურებიან.
4. აჩვენეთ სამი ყველაზე პატარა მონეტის ნიმუში. სთხოვეთ ბავშვებს, ყურადღებით დაათვალიერონ ისინი და იპოვონ განსხვავებები.

მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“

ძირითადი ნაწილი:

15 წუთი

1. კალათბურთი მონეტებით


- ა. განათავსეთ სამი ყუთი/კონტეინერი/კალათი კლასის შესასვლელთან, რომელზეც მიკრულია სხვადასხვა მონეტის სურათი. ჰკითხეთ თითოეული მონეტის სახელი, რომლებიც გამოსახულია ყუთზე/კონტეინერზე/კალათზე. (საჭიროების შემთხვევაში შეასხენეთ სახელები).
- ბ. გაავლეთ ხაზი რამდენიმე მეტრის მოშორებით ყუთებიდან/კონტეინერებიდან/კალათებიდან და სთხოვეთ ბავშვებს ხაზის მიღმა გასვლა. დახაზეთ რამდენიმე ხაზი, თუ დიდი ჯგუფი გაქვთ.
- გ. მიეცით წინ მდგომ ბავშვს სამი ქალაქის ბურთი. თქვით, რომ თქვენ გაახმოვანებთ მონეტის სახელს და ის უნდა შეეცადოს ბურთი ჩააგდოს შესაბამის ყუთში/კონტეინერში/კალათაში. როდესაც ის დაასრულებს, შეაგროვეთ ბურთები და გადაეცით ხაზის მიღმა მყოფ შემდეგ ბავშვს. გაიმეორეთ თამაში შემთხვევით მონეტების არჩევით, სანამ ყველა ბავშვი რიგ-რიგობით ისვრის ბურთებს.
- დ. შეინახეთ ყუთები/კონტეინერები/კალათები - ჩვენ გამოვიყენებთ მათ 29-ე გაკვეთილზე, ნაწილი 5: „ზღაპარი მონეტაზე“.

2. მონეტები ჩემი ხელებით

- ა. აუხსენით ბავშვებს, რომ აფლატუნთან ერთად ისინი ბევრ რამეს გაიგებენ ფულისა და მონეტების შესახებ, საიდან მოდის და რა შეგიძლიათ გააკეთოთ მათი საშუალებით. პირველ რიგში, სთხოვეთ ბავშვებს, გააკეთონ მონეტები საკუთარი ხელებით. ნათლად აუხსენით რეალური

ფულისა და მონეტების განსხვავება იმისგან, რომლებსაც კლასში გააკეთებთ.

- ბ. მიეცით ბავშვებს სხვადასხვა დიამეტრის ქალაქის წრეები და ფანქრები, სთხოვეთ ბავშვებს მონეტების გაფორმება.
- გ. უფროს ბავშვებს შეიძლება აჩვენოთ სხვადასხვა ნომინალის რამდენიმე მონეტა, რომლებიც თქვენს ქვეყანაში გამოიყენება (ან ასლები/ფოტოასლები). აუხსენით, რომ თითოეულ მონეტას განსხვავებული ფასეულობა აქვს და რომ დასჭირდებათ, მაგალითად, 10 თეთრის 10 მონეტა 1 ლარის მისაღებად. სთხოვეთ ბავშვებს, თავად გააკეთონ აფლატუნის სხვადასხვა ნომინალის მონეტები. მაგალითად, მცირე წრე შეიძლება იყოს „ერთი აფლატუნიკო“, უფრო დიდი წრეები „3 აფლატუნიკო“ და ა.შ. აუხსენით ბავშვებს თითოეული მონეტის ფასეულობა და ჰკითხეთ:
 - რამდენი „ერთი აფლატუნიკო“ მონეტა გჭირდებათ რომ მიიღოთ „3 აფლატუნიკო“?



მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“

3. რესურსების გამოყენება

დაუსვით ბავშვებს ეს კითხვა:

- ა. რატომ გვჭირდება ფული?
- ბ. სთხოვეთ ბავშვებს დახატონ რის ყიდვასაც ისურვებენ აფლატუნის მონეტებით.
- გ. კითხეთ: რომელ უსაფრთხო ადგილას შეიძლება აფლატუნის მონეტების შენახვა?
- დ. უთხარით, რომ მონეტების ყველაზე შესაფერისი ადგილია ყულაბა და აცნობეთ ბავშვებს: თქვენ გააკეთებთ აფლატუნ ყულაბას საკუთარი ხელებით.

უკუკავშირი:

10 წუთი

1. ფულის მიმართ ფრთხილი მოპყრობა:

- ა. შეახსენეთ ბავშვებს ძვირფასეულობის უსაფრთხოდ შენახვის მნიშვნელობა. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ფული განსაკუთრებული რამ არის და მას სჭირდება განსაკუთრებული ადგილი. მაგალითად ბანკი, ყულაბა და სხვა.
ამ ეტაპზე შეგიძლიათ გამოიყენოთ/გაიხსენოთ მე -8 გაკვეთილი „გასეირნება სამეზობლოში“ და ჰკითხოთ ბავშვებს:
თქვენ იცით უსაფრთხო ადგილი სოფელში/ქალაქში/შემოგარენში, სადაც ფულს ინახავენ?

2. ვაკეთებთ ყულაბას:

- ა. თითოეულ ბავშვს მიეცით პატარა კოლოფი / კონტეინერი. აუხსენით, რომ ეს იქნება აფლატუნის ყულაბა, სადაც ბავშვები შეინახავენ თავიანთ მონეტებს. სთხოვეთ ბავშვებს განათავსონ თავიანთი აფლატუნის ყულაბა აფლატუნის სამოგზაურო ყუთში.

- ბ. ის მონეტები, რომლებიც ბავშვებმა გააკეთეს დღეს, თხოვეთ ჩადონ აფლატუნის ყულაბაში.
- გ. უთხარით ბავშვებს, რომ მთელი გაკვეთილის განმავლობაში ისინი გააგრძელებენ უფრო და უფრო მეტი აფლატუნის მონეტების შეგროვებას და, რომ სასურველია ყოველთვის ჩადონ ისინი აფლატუნის ყულაბაში. სავარჯიშოს დასასრულს, სთხოვეთ ბავშვებს, მოიძიონ სახლში სხვადასხვა ზომის ყუთები და მოიტანონ შემდეგ გაკვეთილზე.



დამატებითი სავარჯიშო:

უფროსი ასაკის ბავშვებთან შეგიძლიათ მონეტების გამოყენებით გაარჩიოთ ცნებები „მეტი“ და „ნაკლები“. დაიწყეთ თანაბარი მნიშვნელობის მონეტებით, შემდეგ კი თანდათან გადადით იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი მონეტაა უფრო დიდი და რომელი უფრო პატარა, განსახილველად შესთავაზეთ ორი განსხვავებული მონეტა. ეს ასევე დაეხმარება მათ გაიგონ ფულის განსხვავებული ღირებულებები.



მეცადინეობა 22. „ვაკეთებთ სამეზობლოს (შემოგარენის) მაკეტს“

მეცადინეობა 22. „ვაკეთებთ სამეზობლოს (შემოგარენის) მაკეტს“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
 • გაეცნობიან სხვადასხვა ადგილებს, რომლებიც მათი შემოგარენის ნაწილია
- შეიტყობენ, თუ რა დანიშნულება აქვთ გარემოში არსებული სხვადასხვა ადგილებს
- გამოავლენენ მათ საყვარელ ადგილს შემოგარენში



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ შემეცნებითი
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ კალმები
- ▶ სხვადასხვა ზომის პატარა ყუთები
- ▶ დაფები ან მუყაოს დიდი ნაჭრები (სტენდისთვის)
- ▶ მუყაოზე ამოჭრილი ოთხი ან ხუთი მაკეტი ადგილობრივი შენობების / მაღაზიების (სკოლის ჩათვლით) გამოსახულებით.
- ▶ ცარიელი ფურცლები (თითოეული ბავშვისთვის)
- ▶ ქაღალდი ზოლებად დაჭრილი, ფანქრები/ მარკერები, წებო
- ▶ ამოჭრილი აფლატუნის გამოსახულებები



ხანგრძლივობა:

- ▶ 60 წთ



დღის სიტყვა: ▶ შემოგარენი

****ვთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გაკვეთილის ხანგრძლივობა მითითებულია პირობითად და ამ აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება საათზე მეტხანს გაგრძელდეს. თუ ბევრი დრო არ გაქვთ, შეგიძლიათ გაყოთ საქმიანობა ორად და ერთ დღეს გაისეირნოთ, ხოლო მეორე დღეს შექმნათ ტერიტორიის მოდელი.*

აქტივობის დაწყებამდე შეაგროვეთ ყუთები, რომლებიც ბავშვებმა სახლიდან მოიტანეს.

გასეირნების ორგანიზების ეტაპზე ესაუბრეთ სკოლის მახლობლად მდებარე ადგილობრივი კაფე/რესტორნის მენეჯერს/მფლობელს, აუხსენით ვიზიტის მიზანი და ითხოვეთ ნებართვა ბავშვებთან ერთად ამ დაწესებულებაში მისვლის. ასევე შეეცადეთ მოელაპარაკოთ ადგილობრივი ბანკის ხელმძღვანელობას.

შესავალი:

15 წუთი

აუხსენით ბავშვებს, რომ დღეს გაისეირნებთ შემოგარენის დასათვალიერებლად. შეახსენეთ მათ ის გასეირნება, რომელიც გააკეთეთ მე-8 მეცადინეობის ფარგლებში: „მე შემოვიღე ვნახო, მე შემოვიღე მოვისმინო“.

ჰკითხეთ ბავშვებს: გახსოვთ, როგორ წავედით ჩვენ სასეირნოდ იმის გასარკვევად, რისი ნახვა და მოსმენა შეგიძლია ქუჩაში? აცნობეთ ბავშვებს, რომ ამჯერად მოინახულებთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს შემოგარენში.

აუხსენით, რომ შემოგარენი არის ტერიტორია მათ სახლთან, ბაღთან და/ან სკოლასთან ახლოს.

მეცადინეობა 22. „ვაკეთებთ სამეზობლოს (შემოგარენის) მაკეტს“

მოიყვანეთ ასეთი მაგალითები: ჩვენ ბალთან ახლოს გვაქვს სასურსათო მაღაზია, ფეხბურთის მოედანი არის სასურსათო მაღაზიის გვერდით, ეკლესია კი. . . . და ა.შ

ჰკითხეთ ბავშვებს, სხვა რა ადგილები ახსოვთ კიდეც. შემდეგ ჰკითხეთ მათ: შენი სახლიც ახლოსაა? ის ბალთან ახლოს არის თუ შორსაა მისგან?

წასვლის წინ ჰკითხეთ, ახსოვთ თუ არა ბავშვებს ქუჩაში ქცევის წესები. მას შემდეგ, რაც ისინი გაიხსენებენ ზოგიერთ მათგანს, დარწმუნდით, რომ მათ არ გამოორჩათ ისეთი წესები, როგორიცაა:

- ყოველთვის უნდა იყო ხელჩაკიდებული მეგობართან
- იყავით ჯგუფთან ახლოს
- ფრთხილად იყავით სახიფათო ადგილებთან სიახლოვისას, როგორიცაა თხრილები, ნაგვის ურნები, გადატვირთული გზები

ჯგუფი დაყავით ორ მწკრივად, რომ ბავშვებმა იარონ ხელჩაკიდებული თავიანთ მეგობრებთან. დარწმუნდით, რომ საკმარისი თანმხლები გყავთ გარეთ გასასვლელად - თქვენ შეგიძლიათ სთხოვოთ მშობლებს დაგეხმარონ ამ სავარჯიშოს შესრულებისას.

გასეირნების დროს, სთხოვეთ ბავშვებს, აღნიშნონ ყველაფერი, რასაც ხედავენ. შეიყვანეთ ბავშვები მაღაზიაში/კაფეში/

- საცხოვრებელში, რომელთა ვიზიტზეც წინასწარ შეთანხმდით.
- დანესებულებაში მისვლამდე შეახსენეთ ბავშვებს, რომ ყურადღებით დააკვირდნენ ყველაფერს, რაც ხდება, განსაკუთრებით გამყიდველის/თანამშრომლების ქმედებებს, როდესაც ვინმე მიდის რაიმეს საყიდლად/შეკვეთისთვის.
- შეძლებისდაგვარად ეცადეთ ეწვიოთ ადგილობრივ ბანკსაც.

ძირითადი ნაწილი:

30 წუთი

გასეირნებიდან დაბრუნების შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს დახუჭონ თვალები და გაგიზიარონ შთაბეჭდილებები იმაზე, რა დაინახეს გასეირნების დროს, ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით დაამახსოვრდათ.

***** შენიშვნა: თუ საკმარისი დრო არ გაქვთ, მეცადინეობა შეგიძლიათ დაასრულოთ ამით.**

მიეცით ბავშვებს საშუალება გაიაზრონ, რაც ნახეს სეირნობის დროს.

დაეხმარეთ მათ კითხვებით:

- რა ადგილები მოგეწონათ/არ მოგეწონათ? რატომ?
- ადრე იყავით ამ ადგილებში? რატომ?
- რა გინახავთ ამ ადგილებში?
- რას აკეთებდნენ თანამშრომლები/გამყიდველები?

აცნობეთ ბავშვებს, რომ ისინი ახლა ძველი ყუთების გამოყენებით ააშენებენ შემოგარენის მაკეტს. ქვემოდან საფუძვლად დაუდეთ დიდი მუყაოს ნაჭერი ან დაფა.

მეცადინეობა 22. „ვაკეთებთ სამეზობლოს (შემოგარენის) მაკეტს“

„მშენებლობა“ დაიწყეთ ბალის მაკეტის განთავსებით შესაბამის ადგილას. შემდეგ, დაალაგეთ სხვადასხვა შენობების წინასწარ მომზადებული მოდელები.

ჰკითხეთ ბავშვებს, თუ სად მდებარეობს თითოეული მათგანი ბალთან მიმართებაში. მაგალითად: გახსოვთ სად არის სასურსათო მაღაზია? ბალის წინ თუ უკან? შორს არის თუ არა მასთან?

ჰკითხეთ ბავშვებს სად არის უმჯობესი ამა თუ იმ შენობის დადგმა. აქ? არა? რატომ?

გაიმეორეთ პროცედურა ყველა შენობის მოდელისთვის. თქვენ ასევე შეგიძლიათ კითხოთ ბავშვებს კონკრეტული შენობების შესახებ:

- რისი ყიდვა შეგიძლიათ აქ?
- რატომ დადის ხალხი აქ?
- მოგწონს ეს ადგილი?
- აქ ოდესმე ყოფილხართ?
- გაქვთ სურვილი კიდევ მოხვიდეთ აქ?

მიეცით შესაძლებლობა ბავშვებს თავად გაარკვიონ, შემოგარენის რომელი ადგილის მაკეტირებას ისურვებდნენ. ბავშვებმა ყუთებზე გადააწებონ ფერადი ქალაქის ზოლები. უმცროსი ბავშვებისთვის კი საუკეთესო დავალება იქნება ქალაქის შენობების ფანქრებით/ფლომასტერებით გაფერადება-მოხატვა.

თითოეულ ყუთზე წაანერეთ დაწესებულების სახელი და შიგნით ბავშვის სახელი (თუ ეს შესაძლებელია).

სიმარტივისთვის თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ პირობითი აღნიშვნები. როდესაც ყველა დაასრულებს დავალებას, დაეხმარეთ ბავშვებს დააწებონ მათი შენობები მუყაოზე/ფირფიტაზე, რომ დასრულდეს შემოგარენის მაკეტი. მიეცით ბავშვებს საშუალება იფიქრონ იმაზე, კიდევ რა ნახეს შემოგარენში სეირნობისას და სადგამზე ახალი დეტალების დამატებით, როგორცაა ხეები, პარკი, მდინარე, მინდორი და ა.შ. გაალამაზეთ მაკეტი. ასევე შეგიძლიათ დაამატოთ აფლატუნის პატარა ფიგურები შემოგარენის სხვადასხვა ნაწილებში.

უკუკავშირი:

15 წუთი

ბავშვებს დაათვალიერებინეთ მათ მიერ შექმნილი შემოგარენის მაკეტი. მიეცით ბავშვებს ცარიელი ფურცლები და სთხოვეთ, იფიქრონ საყვარელ ადგილებზე.

სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ თავიანთი საყვარელი ადგილი სამეზობლოში, და სანამ დახატავდნენ, გაიგეთ, თუ რატომ მოსწონთ ესა თუ ის ადგილი.

დავალების დასრულების შემდეგ, ბავშვებს დაეხმარეთ საკუთარი სახელი დააწერონ თავიანთ ნამუშევრებზე და განათავსონ ისინი აფლატუნის სამგზავრო ყუთში.


მეცადინეობა 22. „ვაკეთებთ სამეზობლოს (შემოგარენის) მაკეტს“



საკვარჯიშო ოქახთან ერთად:

გადაეცით წერილები მშობლებს თხოვნით დაგეხმარონ მათი სამეზობლოს ჩანახატის გაკეთებაში, თუ როგორ გამოიყურებოდა ის ადრე. შეგიძლიათ გამოიყენოთ წერილის ნიმუში, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

სთხოვეთ ბავშვებს აიღონ მშობლების ნახატები „ჩვენი სამეზობლო“ და განათავსონ რამდენიმე მშობლის ნახატი შემოგარენის მაკეტის მახლობლად. შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, მოძებნონ მსგავსებები და განსხვავებები.



წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს ჩვენ მოვიკვლიეთ ჩვენი სამეზობლოს არეალი და ცალკეული ადგილები.

ვთხოვთ, ბავშვთან ერთად დახატოთ თუ როგორ გამოიყურებოდნენ ეს ადგილი ადრე, როცა თქვენ იყავით პატარა და აღუწერეთ ის თქვენს შვილს.

შეგიძლიათ დახაზოთ რუკა და თხოვთ ბავშვს მოხატოს და გააფერადოს ის. თუ თქვენ სხვა ადგილას გაიზარდეთ, დახატეთ ის რუკაზე.

ალბათ თქვენ გაქვთ იმ ადგილის ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათები - აჩვენეთ ისინი

ბავშვს. მიეცით ნება თქვენს შვილს თან წაიღოს ნახატი და სურათი შემდეგ მეცადინეობაზე.

პატივისცემით, _____

მეცადინეობა 23. „შრომის იარაღები“

მეცადინეობა 23.

„შრომის იარაღები“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან გაარჩიონ სხვადასხვა პროფესიები
- გაიუმჯობესებენ ცოდნას საზოგადოებაზე და იმაზე, თუ რას წარმოადგენენ თვითონ ისინი
- მოახდენენ შემოგარენზე თავიანთი ცოდნის დემონსტრირებას
- ისწავლიან იმ ხალხისა და ადგილების პატივისცემას, რაც მათ გარშემოა



უნარები:

- ▶ შემოქმედებითი
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ გაზეთები/ჟურნალები, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა, მათ შორის შემოგარენში სეირნობისას ნანახი პროფესიები
- ▶ დაფა/საპრეზენტაციო ფურცლები



ხანგრძლივობა:

- ▶ 40 წთ

შესავალი:

10 წუთი

შეაგროვეთ ბავშვები შემოგარენის მაკეტის გარშემო. სთხოვეთ იფიქრონონ რა პროფესია აქვთ ამ შემოგარენში არსებულ დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებს.

ბიძგის მისაცემად, უკარნახეთ ბავშვებს ადგილმდებარეობები და გაახსენეთ რა სამუშაოებს ასრულებდნენ ის ადამიანები, რომლებსაც შეხვდით გასეირნების დროს. მაგალითად, ბავშვებს შეეძლოთ ენახათ მოლარეები მაღაზიაში, დურგლები მშენებლობაზე, მეხანძრეები სახანძრო სადგურზე.

სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ მინიმუმ ერთი ინსტრუმენტი/იარაღი, რომელიც საჭიროა თითოეული დასახელებული პროფესიისთვის. მაგალითად, მოლარეს ესაჭიროება სალარო აპარატი, დურგალს - ჩაქუჩი, მეხანძრეს - კიბე.

ასევე შეგიძლიათ დაასახელოთ ბანკის (ან სხვა დაწესებულებების) თანამშრომლები, რომლებსაც ბავშვები იცნობენ, მაგალითად, მოლარე, რომელიც ფულს ითვლის.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

დაეხმარეთ ბავშვებს თამაშით (აჩვენონ შესაბამისი მოძრაობები), თუ როგორ იყენებენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები სხვადასხვა იარაღს. იკითხეთ:

- როგორ იყენებს გლეხი გუთანს?
- როგორ იყენებს მეთევზე ანკესს?
- როგორ იყენებს მეხანძრე წყლის მილს?
- როგორ იყენებს მოლარე სალაროს აპარატს?
- როგორ იყენებს დურგალი ჩაქუჩს?
- როგორ ითვლის მოლარე ფულს?

მოძრაობების განსახიერების შემდეგ, ბავშვებთან ერთად გაიხსენეთ სიმღერა „მაშინ, როცა გიხარია“.

მეცადინეობა 23. „შრომის იარაღები“

მაშინ, როცა გიხარია, უკრავ ცეშს.
მაშინ, როცა გიხარია, უკრავ ცეშს.
წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია,
იწინი და სიხარულით უკრავ ცეშს.

მაშინ, როცა ხარობ, აზაკუნებ ფეხს.
მაშინ, როცა ხარობ, აზაკუნებ ფეხს.
წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია,
იწინი და ასე აზაკუნებ ფეხს.

მაშინ, როცა გიხარია, აქნევ თავს.
მაშინ, როცა გიხარია, აქნევ თავს.
წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია,
იწინი და სიხარულით აქნევ თავს.

მაშინ, როცა გიხარია, ამბობ - უ.
მაშინ, როცა გიხარია, ამბობ - უ.
წვიმა არის თუ ქარია, მაშინ როცა გიხარია,
იწინი და სიხარულით ამბობ - უ.

სთხოვეთ ბავშვებს, იმღერონ სიმღერა, მაგრამ სიტყვები ჩაანაცვლეთ ადრე დასახელებული პროფესიების აღწერით. სთხოვეთ ბავშვებს, შეასრულონ ის მოქმედებები, რომლებზეც სიმღერას იმღერებთ. შეგიძლიათ ჩართოთ ეს სტრიქონები:

- (ვაჩვენებთ, როგორ ვიყენებთ გუთანს)
- ფერმერი გუთნით ხნავს ასე
- მხიარულად ხნავს გუთნით ასე,
- მხიარულად ხნავს გუთნით ასე, როცა მინდორზე გამოვცა.

- (ვაჩვენებთ, როგორ ვიყენებთ წყლის მილს)
- მეხანძრე წყლით აქრობს ხანძარს
- მეფერად ასე აქრობს წერხლს
- მეფერად ასე აქრობს წერხლს
- როცა ასრულებს სამუშაოს.

- (ვაჩვენებთ, როგორ ვიყენებთ ჩაქუჩს)
- ფურგალი აკაკუნებს ჩაქუჩით,
- გულმოდგინედ აკაკუნებს ჩაქუჩით,
- გულმოდგინედ აკაკუნებს ჩაქუჩით,
- თავის საამქროში.

- აჩვენეთ ბავშვებს სურათები სხვადასხვა პროფესიის გამოსახულებით.

- სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ, რომელი პროფესიაა გამოსახული თითოეულ სურათზე.

- მოიწვიეთ მსურველი გაითამაშოს „აფლატუნ-პანტომიმა“.
- აჩვენეთ მას ერთ-ერთი სურათი პროფესიის გამოსახულებით.
- სთხოვეთ მას აჩვენოს მოძრაობები, რომელსაც ასრულებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი სამუშაოზე.

მეცადინეობა 23. „შრომის იარაღები“


ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა კი უნდა გამოიყონ პროფესია. როგორც კი გამოიყნობენ, მოიწვიეთ სხვა მსურველი და გააგრძელეთ თამაში. აუცილებლად აჩვენეთ პროფესიების ამსახველი სურათები, რომლებიც თქვენ ნახეთ შემოგარენში გასეირნებისას.

ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ისინი გვეხმარებიან ჩვენ და ჩვენს საზოგადოებას, და ჩვენ ყოველდღე უნდა დავაფასოთ მათი შრომა.

უკუკავშირი:**10 წუთი**

სთხოვეთ ბავშვებს ჩამოთვალონ, თუ რას აკეთებს თითოეული პროფესიის წარმომადგენელი საზოგადოებისთვის.

მაგალითად: დურგალი ქმნის ახალ ნივთებს, ან დურგალი შეაკეთებს გატეხილ ნივთებს.



მეცადინეობა 24. „ვექმნით ჩვენს მინიმარკეტს“

მეცადინეობა 24.

„ვექმნით ჩვენს მინიმარკეტს“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან მცირე ჯგუფებში მუშაობას
 - შექმნიან დახლებს
- გაეცნობიან ბაზრის/მარკეტის ძირითად პროცესებს, როგორცაა ყიდვა და გაყიდვა.



უნარები:

- ▶ შემეცნებითი
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ დიდი ფურცლები პლაკატების შესაქმნელად
- ▶ ნებოვანი ლენტის
- ▶ ქაღალდის სუფთა ფურცლები
- ▶ ფერადი ცარცები
- ▶ ფანქრები
- ▶ სხვადასხვა კვების პროდუქტი (მსხალი, ვაშლი, ბანანი, სტაფილო და ა.შ.) ან პროდუქტების ცარიელი შეფუთვები, ქილები, ასევე შეიძლება ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები სხვადასხვა საკვების გამოსახულებით
- ▶ ქსოვილის ნაჭრები
- ▶ ნებო



სანგრძლივობა:

- ▶ 60 წუთი - 2 დღე

****სავარჯიშოს დაწყებამდე არ დაგავიწყდეთ მოამზადოთ „საკვები პროდუქტები,“ ცარიელი შეფუთვები, ქილები ან სხვა საკვების კონტეინერები, რასაც ბავშვები ვითომ ყიდულობენ და ყიდიან თავიანთ მაღაზიებში. შეარჩიეთ ბავშვებისთვის ნაცნობი საგნები, მაგალითად, სხვადასხვა ხილი, ბოსტნეული, კალმები, ტანსაცმელი და ა.შ. თუ ამ საგნების გამოყენება არ შეგიძლიათ, გამოიყენეთ ჟურნალიდან ამონაჭრილი სურათები მათი გამოსახულებით.*

შესავალი:

15 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს გასეირნება შემოგარენში 22-ე მეცადინეობიდან: „ვექმნით შემოგარენის მაკეტს“. ჰკითხეთ ბავშვებს:

- გახსოვთ ჩვენი გასეირნება შემოგარენში?
- რა ადგილები მოვინახულეთ?
- რა ვნახეთ იქ?
- კიდევ რა მოხდა ჩვენი გასეირნების დროს?

თუ ბავშვებს თავისთავად არ ახსოვთ, შეახსენეთ მაღაზიაში/ბაზარში სტუმრობა და აუხსენით, რომ დღეს თქვენ იმსჯელებთ იმაზე, რაც ხდება იქ.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- იცით რისთვის გვჭირდება მაღაზიები?
- გახსოვთ, რა გააკეთა გამყიდველმა, როდესაც ვინმეს სურდა რამის ყიდვა?
- შეახსენეთ, რომ მყიდველი გამყიდველს აძლევს გარკვეულ თანხას, ხოლო გამყიდველი სანაცვლოდ აძლევს მყიდველს ნივთს.

მეცადინეობა 24. „ჰემნით ჩვენს მინიმარკეტს“

ძირითადი ნაწილი:**30 წუთი**

უთხარით ბავშვებს, რომ თქვენ აპირებთ იმპროვიზირებული მინიმარკეტის ორგანიზებას. დაყავით ბავშვები 5-6 კაციან მცირე ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ჯდება წრეში ოთახის სხვადასხვა ნაწილში.

აუხსენით, რომ თითოეული ჯგუფი მოამზადებს დახლს ჩვენი ბაზრისთვის/მინი-მარკეტისთვის. გაესაუბრეთ ბავშვებს, რა დახლის გაკეთება შეუძლიათ და რა შეიძლება გაიყიდოს მათზე. აუხსენით, რომ უნდა ეცადონ მაქსიმალურად მიმზიდველი გახადონ თავიანთი დახლები მომხმარებლებისთვის.

***** აქ მოცემულია რამდენიმე რჩევა ამასთან დაკავშირებით: გამოიყენეთ ფერადი პლაკატები, გადააფარეთ დახლებს ძველი ქსოვილების ნაჭრებისა და ნების გამოყენებით და ა.შ.**

თითოეულმა ჯგუფმა, გასაყიდი პროდუქციის სარეკლამოდ დახატოს პლაკატი. დაეხმარეთ ბავშვებს საკლასო ოთახის თავიანთ ნაწილში ჩამოკიდონ პლაკატები. თითოეულ პლაკატთან მოათავსეთ მაგიდა და აუხსენით ბავშვებს, რომ ეს მათი დახლი იქნება.

როგორც კი ბავშვები დაამზენებენ და მოამზადებენ მათ დახლს, ამოიღეთ თქვენს მიერ მოტანილი ნივთები/საკვები/ცარიელი შეფუთვები და მოიწვიეთ აირჩიონ რომელი მოსწონთ ყველაზე მეტად. თითოეულმა ბავშვმა აირჩიოს არაუმეტეს 3 ნივთი/პროდუქტი, რომ თითოეულ ჯგუფში სულ გამოვიდეს 15-18 ნივთი/პროდუქტი.

• სთხოვეთ მათ გაიხსენონ რა ნახეს შემოგარენში არსებულ მაღაზიაში სეირნობისას. ჰკითხეთ:

• რას აკეთებდა გამყიდველი? რა გააკეთა მყიდველმა? აუხსენით ბავშვებს, რომ მათაც იგივე უნდა გააკეთონ.

• სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, დახლზე განათავსონ საკვები პროდუქტები, რომლებიც მათ აირჩიეს და უთხარით, რომ ისინი „მყიდველებს“ „მიჰყიდიან“ მათ. პირველ რიგში, თქვენ გამყიდველის ადგილი დაიკავეთ, რათა ბავშვებს აჩვენოთ, თუ როგორ იმოქმედონ პრაქტიკაში. სთხოვეთ რომელიმე ბავშვს შეიძინოს რამე თქვენს მაღაზიაში. უთხარით ბავშვებს, რომ იგივე უნდა გააკეთონ მათ.

• თითოეული ჯგუფი დაყავით 2 ქვეჯგუფად და აუხსენით, რომ პირველი იქნება გამყიდველების ჯგუფი, ხოლო მეორე - მყიდველების. გააფრთხილეთ, რომ მოგვიანებით ბავშვები შეცვლიან როლებს.

• სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ აფლატუნის ყულაბა და ამოიღონ განსაზღვრული ოდენობის მონეტები ამ სავარჯიშოსთვის (შესთავაზეთ კონკრეტული თანხა). აუხსენით, რომ ბავშვები გამოიყენებენ მონეტებს შესყიდვების შესასრულებლად. სთხოვეთ ბავშვებს გაითამაშონ სხვადასხვა ნივთების ყიდვა-გაყიდვის პროცესი. დაუთმეთ დაახლოებით 15 წუთი ამ დავალებას. შეუერთდით თამაშს ერთიდან მეორე დახლთან გადასვლით. დასვით მსგავსი კითხვები:

მეცადინეობა 24. „ჰემით ჩვენს მინიარკებს“

რამდენი „აფლატუნიკი“ ღირს ასეთი კალამი? იმისათვის, რომ ეს უფრო სახალისო გახდეს, შესთავაზეთ ასეთი სიტუაციების გათამაშება: ორ ბავშვს სურს შეიძინოს ერთიდაიგივე ნივთი, მაგრამ მხოლოდ ერთი დარჩა. გამოიყენეთ ბავშვების ფანტაზიის უნარები, რომ გასათამაშებლად მოიფიქროთ ახალი სიტუაციები.

****გაითვალისწინოთ, რომ ეს სავარჯიშო შეიძლება ჩატარდეს ერთ დღეში, ან შეიძლება გადანაწილდეს 3 დღეზე. იმისათვის, რომ ბავშვებს შემდეგ გაკვეთილზე თამაშის გავრძელება შეეძლოს, საჭიროა მხოლოდ დახლ-მაგიდების დადგმა.*

უკუკავშირი:

15 წუთი

მინი მარკეტის თამაშის დასრულების შემდეგ დასვით ბავშვები წრეში და ჰკითხეთ, მოსწონთ თუ არა მაღაზიაში მუშაობა? ჩართეთ ისეთი კითხვები, როგორიცაა:

- რა იყო უფრო საინტერესო: გაყიდვა თუ ყიდვა? რატომ?
- რა იყიდეთ მაღაზიაში? რატომ?
- შეახსენეთ, ძვირფასი ნივთების უსაფრთხო ადგილზე შენახვის აუცილებლობა.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- ჩვენ კლასში დავიტოვოთ თქვენს მიერ გამომუშავებული მონეტები?
- შევინახოთ ისინი მაგიდებზე?
- ან იქნებ აფლატუნის ყულაბაში მოვათავსოთ?

- ბავშვებმა ამოიღონ აფლატუნის სამოგზაურო ყუთები და განათავსონ თავიანთი მონეტები აფლატუნის ყულაბაში.
- რადგან დავალება კეთდებოდა ჯგუფურად, ჯგუფის ერთმა წარმომადგენელმა შეაგროვოს მათ მიერ გამომუშავებული ყველა მონეტა და თანაბრად გადაანაწილოს ჯგუფის ყველა წევრზე.

- ხაზგასმით აღნიშნეთ აფლატუნის ყულაბის ფასეულობა: სად ჩავდოთ ჩვენი ფული? აფლატუნის ყულაბაში! თხოვეთ ბავშვებს ხმამაღლა გაიმეორონ თქვენი ნათქვამი.



მეცადინეობა 25. „ბუნება ჩვენს ირგვლივ“

**მეცადინეობა 25.
„ბუნება ჩვენს ირგვლივ“**

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
 - გაიგებენ რა არის გარემოს დაცვა
 - გაითავისებენ ბუნებრივი რესურსების ცნებას
- ისწავლიან ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს პატივისცემას



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ბოთლები წყლით
- ▶ ზღაპარი: „ჩვენი ახალი პლანეტა“
- ▶ სუფთა ფურცლები (თითოეულ ბავშვზე ერთი)
- ▶ სანერკალამი/ფანქარი



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი -2 დღე

****სავარჯიშოს დაწყებამდე დაგეგმეთ გასეირნება ბუნებაში. დარწმუნდით, რომ აირჩევთ უსაფრთხო მარშრუტს, რომელიც ბავშვებისთვის საინტერესო იქნება და სადაც ისინი ბევრ საინტერესო ადგილს ნახავენ და შეიმეცნებენ. სასურველია მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა შეეხონ ყვავილებს და ხეებს, დააკვირდნენ სხვადასხვა ცხოველებს, მწერებს და ა.შ. თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ ბუნების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი, რათა მან ახსნას, თუ როგორ ზრუნავენ ისინი ბუნებაზე და ეკოლოგიაზე, რომ ბავშვები ჯანმრთელები გაიზარდონ.*

შესავალი: 10 წუთი

1. აუხსენით ბავშვებს, რომ ჩვენი გარემოს განსაკუთრებულობა არა მხოლოდ ხალხისა და ადგილების დამსახურებაა, არამედ ეს იმ ბუნებრივი რესურსების დამსახურებაცაა, რაც გააჩნია ჩვენს გარემოს.
2. მოიყვანეთ იმ ბუნებრივი რესურსების მაგალითები,

რომლითაც მდიდარია თქვენი გარემო.

3. უთხარით ბავშვებს, რომ მათთან ერთად გასეირნებთ ბუნებაში. როგორც ყოველთვის, შეახსენეთ მათ ქუჩაში ქცევის წესები. დარწმუნდით, რომ ამ გასეირნებისათვის საკმარისი რაოდენობის თანმხლები პირები გყავთ.

ძირითადი ნაწილი: 30 წუთი

1. სეირნობის დროს ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინეთ ცხოველებზე და მცენარეებზე, წაახალისეთ, რომ თვითონ დაინახოს ეს ყველაფერი. ჩართეთ ისინი საუბარში და განხილვაში, კითხეთ რა იციან ამ ცხოველებისა და მცენარეების შესახებ.
2. წაიყვანეთ ბავშვები ახლომდებარე ადგილას, სადაც ბევრი ხეა და სთხოვეთ ბავშვებს, შეარჩიონ ხე.
3. მიაქციეთ მათი ყურადღება ხის სხვადასხვა ნაწილზე. ჰკითხეთ ბავშვებს, რას ხედავენ ისინი.
4. უფროს ბავშვებს შეიძლება კითხოთ: თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო ხეები
5. თხოვეთ ბავშვებს დადგინონ შერჩეული

მეცადინეობა 25. „ბუნება ჩვენს ირგვლივ“

ხის გვერდით. მიაქციეთ ბავშვების ყურადღება იმ ფაქტის მიმართ, რომ ხეს აქვს ფესვები, რომლებიც ხეს იკავებს მიწაზე. შეადარეთ ხის ფესვები და ბავშვების ფეხები. შემდეგ, ჰკითხეთ ბავშვებს მათი სხეულის სხვა რომელი ნაწილებს აქვთ მსგავსება ხესთან (მკლავები ჰგავს ტოტებს, ტანი - ხის ღეროს, კანი - ქერქს)?

- აუხსენით ბავშვებს, რომ ხეები ცოცხლები არიან, რომ მათ სჭირდებათ ზრუნვა და პატივისცემა. უთხარით, რომ ხეები ჩვენსავით სვამენ წყალს. ბოთლის გამოყენებით აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ უნდა მორწყონ ხე და აუხსენით, რომ ასე სვამენ წყალს ხეები. გადაეცით წყლიანი ბოთლი ბავშვებს, რათა მათაც მორწყან ხე.
- მოუყევით ბავშვებს, რომ ხეები ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მათ განსაკუთრებული როლი აქვთ. ისინი გვაძლევენ ჩრდილს, გვეხმარებიან ენერჯის გამომუშავებაში, განკურნებაში.
- თუ თქვენ მოწვეული გყავთ ბუნების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები, სთხოვეთ მათ მოგიყვენ როგორ უვლიან და ზრუნავენ ბუნებაზე და რატომაა ეს საჭირო.

უკუკავშირი:

10 წუთი

როცა დაბრუნდებით ბაღში, დასვით ბავშვები წრეში და წაიკითხეთ ზღაპარი „ჩვენი ახალი პლანეტა“.


ჰკითხეთ ბავშვებს: რატომ არ იყო პლანეტა შესაფერისი ბავშვებისთვის?

- თითოეულ ბავშვს მიეცით ცარიელი ფურცელი და სთხოვეთ, დახატონ თავიანთი ახალი პლანეტა, იმ ადგილების ჩათვლით, რომელთა ნახვაც სურთ მასზე. (თუ ხატვის შესაძლებლობა არ არის, მიიტანეთ კლასში წინასწარ მომზადებული ჩანახატები და სთხოვეთ ბავშვებს შეარჩიონ ის ობიექტები, რომელთა განთავსებაც მათ ახალ პლანეტაზე სურთ)
- ბავშვებმა სურათების უკან დაწერონ თავიანთი სახელები (დაეხმარეთ მათ ამის გაკეთებაში) და განათავსეთ „ახალი პლანეტები“-ს სურათები აფლატუნთან სამოგზაურო ყუთებში.



საკარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ მშობლებს შვილებთან ერთად ორგანიზება გაუკეთოთ ხის დარგვას. მშობლებმა ბავშვებთან ერთად განიხილონ რომელი ხე დარგონ, სად, და ასევე სად იყიდონ ნერგი. შემდეგ კი ბავშვებთან ერთად დარგონ.





ზღაპარი „ჩვენი ახალი პლანეტა“.

ზღაპარების დიდი კოსმოსური ხომალდი პლანეტა ურხოლანდიაზე დაეშვა. მათ ძალიან გაუხარდათ, როდესაც, როგორც იქნა, მათ იპოვეს ახალი სახლი. „მოდით ჯერ გავერკვეთ, უსაფრთხოა თუ არა პლანეტაზე ურხოლანდია“, – თქვა უხუცესმა ზღაპარმა. ამისთვის მან ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. შემდეგ ზღაპარები მდინარეში შევიდნენ. ზოლოს კი დააგემოვნეს სხვადასხვა ხილი, ზოსტენული და მყენარე.

როცა ისინი საზოლოოდ დარწმუნდნენ, რომ პლანეტა უსაფრთხოა, მათ დაიწყეს ქალაქის მშენებლობა. ამისთვის სათაბრიოდ შეიკრიბნენ სხვადასხვა ექსპერტები. მათ ჰყავდათ: ხიდების ექსპერტი, მშენებლობის ექსპერტი, ტრანსპორტის ექსპერტი, გზების ექსპერტი.. შეიმუშავეს ახალი ქალაქის გეგმა. ექსპერტებთან მოლაპარაკების შემდეგ, უფროსმა ზღაპარმა მშენებლობა დაიწყო. როდესაც ის დასრულდა, ყველა აღტანებული და ზედნიერი იყო.

ყველა, ზღაპარების გარდა. ირთ რაჭომ? მათ ზღაპარებისთვის მხოლოდ რამდენიმე ზალი და სკოლა ააშენეს. ზღაპარები და სკოლები ძალიან ძალადი იყო და მათ გარშემო უამრავი ხალხი ტრიალებდა. შენობები განლაგებული იყო ძალიან შორს იმ ადგილებიდან, სადაც ზღაპარები რხოვრობდნენ. ასევე არ იყო საკმარისი სათამაშო მოედნები. ყველა სათამაშო მოედანი განლაგებული იყო გზების მიმდებარედ. ძალადი შენობების სიმრავლის გამო, ზღაპარებისთვის შევიდნენ ვერ შეძლეს მზებზე თამაში ან ნვიმში გართობა. მათ შეეძლოთ თამაშათ მხოლოდ

კომპიუტერით, და არა ქუჩაში, ამიტომ ამით არანაირ სიამოვნებას არ იღებდნენ.

მათ არ შეეძლოთ ხეებზე წოწვა და ხილის მოკრეფა, რადგან ამისთვის სპეციალური მანქანები არსებობდა. სპეციალური საჭიროების მქონე ზღაპარებს არ შეეძლოთ გაეკეთებინათ ის, რაც სურდათ, რადგან ისინი მთელ დროს ატარებდნენ სახლში ან ზღაპარ ან სკოლაში. ასევე სხვა საკითხებთან ერთად, მრავალი ნესი და აკრძალვა ღანესდა!

„რა არ გავაკეთებ ისე?“ – იკითხეს ხიდების, მშენებლობების, გზების და სახლების ექსპერტებმა. „ჩვენ შევიღებთ უნდა კითხვით“, – გაიფიქრეს მათ. ექსპერტებმა ზვერი რამ გაიგეს ზღაპარებთან საუბრის შემდეგ. ზღაპარებს ზვერი რჩევა ჰქონდათ ახალი ქალაქის აშენებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ექსპერტებმა ისწავლეს ზღაპარების მოსმენა და გაიგეს მათი საჭიროებები და სურვილები. ზღაპარების დახმარებით ექსპერტებმა მოახერხეს ქალაქის ახლებურად მოწყობა. ყველა ზღაპარს – ზღაპარები, მოზრდილები და უხუცესი – ყველა ზეიმობდა ახალი ქალაქის აშენებას.

მას შემდეგ პლანეტა ურხოლანდიას ახალი მკვიდრნი ხანგრძლივად და ზედნიერად რხოვრობდნენ. როგორც კი ზღაპარებთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის პროექტი გამოჩნებოდა, ექსპერტები მაშინვე მიმართავდნენ ზღაპარებს რჩევისთვის.



5

ჰსარჯავთ, ჰაბროვებთ,
ჰინანღლებთ

ნანიღი

მეცადინეობა 26. „ის რაც ნამდვილად მჭირდება“

მეცადინეობა 26.

„ის რაც ნამდვილად მჭირდება“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ და ისწავლიან რა არის „საქონელი/პროდუქტი“ და როგორ აკმაყოფილებს ის ხალხის მოთხოვნილებებს;
- ერთმანეთისგან გაარჩევენ „საჭიროებისა“ და „სურვილის“ ცნებებს.
- დაასახელებენ ადამიანის გადარჩენისთვის აუცილებელ/ძირითად საჭიროებებს: საკვები, წყალი, ტანსაცმელი და თავშესაფარი.



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ იმ საქონლის სურათები, რაც იყიდება ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები სხვადასხვა პროფესიის ადამიანების სურათებით (რაც გამოყენებული იყო წინა მეცადინეობებზე. სურათები, რომელზეც გამოსახულია ადამიანის საჭიროებები (მაგ: საცხოვრებელი, წყალი, საჭმელი, ტანსაცმელი)
- ▶ სურათები, რომელზეც გამოსახულია ადამიანის სურვილები (მაგ: შოკოლადი, მანქანა, ლიმონათი, და ა.შ.) 2 ყუთი (ფეხსაცმლის)
- ▶ 2 ბარათი წარწერით: „საჭიროება“ და „სურვილი“
- ▶ წებო



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი

ეს ნაწილი მოიცავს ძირითად ფინანსურ კონცეფციებს, რომლის საშუალებითაც ბავშვები შესძლებენ პირველი ნაბიჯები გადადგან სოციალური და ფინანსური განათლებისკენ. ნაწილი აგებულია ისე, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, ჯერ გაიგონ, რა არის ფული, შემდეგ კი გააცნობიერონ მათი ღირებულება.

გარდა ამისა, ბავშვებს ეს მასალა ეხმარება გაიგონ, რას ნიშნავს დახარჯვა, დაზოგვა და გაზიარება. ბავშვები შეძლებენ სწავლის პროცესში შექმნილი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებას საბაზრო ურთიერთობების მოდელის პრაქტიკაში გამოყენებით. გაეცნობიან სოციალური და ფინანსური მენარმეობის ძირითად ცნებებს. ეს ნაწილი გთავაზობთ საქმიანობის ისეთ მაგალითებს, რაც ბავშვებს მცირე ფულის გამომუშავებაში დაეხმარება. ამ ნაწილის ფინალური აკორდია ბავშვების მიერ მათი გამომუშავებული ფულის გამოყენების სხვადასხვა მეთოდის გაცნობა. ეს კიდევ ერთი შესაძლებლობაა ბავშვებმა ადრეულ ასაკში განამტკიცონ ისეთი ცნებები, თუ როგორიცაა ფულის დაზოგვა, დახარჯვა და გაზიარება.

****მეცადინეობის დაწყებამდე, ერთი ქალაქის ყუთზე დაწერეთ სიტყვა „საჭიროება“ და მეორეზე „სურვილი“. ასევე გაყავით ცარიელი ფურცელი ორ სვეტად, ერთ სვეტს დააწერეთ „საჭიროება“ და მეორეს „სურვილი“.*

შესავალი:

10 წუთი

1. სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ რას ყიდიდნენ მინი-მარკეტში ერთ-ერთი წინა აქტივობის დროს.
2. უთხარით ბავშვებს, რომ გაყიდულ ნივთებს „საქონელს/ პროდუქტს“ უწოდებენ და რომ სხვადასხვა ტიპის მაღაზიებში

მეცადინეობა 26. „ის რაც ნამდვილად გჭირდება“

იყიდება სხვადასხვა „საქონელი/პროდუქტი“

3. იმისათვის რომ დაეხმაროთ ბავშვებს გაიგონ რა არის „საქონელი/პროდუქტი“, ჰკითხეთ:
 - როგორ ფიქრობთ, რა „საქონელი/პროდუქტი“ იყიდება ფეხსაცმლის მაღაზიაში?
 - ტანსაცმლის მაღაზიაში?
 - ავეჯის მაღაზიაში?
4. აჩვენეთ ბავშვებს ჟურნალიდან ამოჭრილი სხვადასხვა პროდუქტის სურათები, რომლებიც წინა მეცადინეობებისას გამოიყენეთ. სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ საქონელი, რომელსაც ეს ადამიანები იყენებენ - როგორცაა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სკამი, ხერხი და ა.შ. აუხსენით ბავშვებს, რომ ეს ყველაფერი საქონელია.
5. ახლა ჰკითხეთ ბავშვებს:

რა პროდუქტი უნდა შევიძინო, თუ მსურს რამე...

 - ... ტკბილი?
 - ... მუსიკალური?
 - ... რაც დამეხმარებოდა სხვადასხვა ადგილის მონახულებაში?
 - ... ცივი და გემრიელი?
6. ჰკითხეთ ბავშვებს, რას იყენებენ ადამიანები ამ ყველაფრის შესაძენად?
7. ახსენით, რომ საქონელი/პროდუქტები აკმაყოფილებს ჩვენს „სურვილებს“ და „საჭიროებებს“ და მათი შესაძენად ჩვენ გვჭირდება ფული.

ძირითადი ნაწილი:

25 წუთი

1. დასვით ბავშვები წრეში და წრის შუაში მოათავსეთ ორი ყუთი.
2. ახსენით, რომ არსებობს გარკვეული საგნები/პროდუქტები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ჩვენ მათ გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია და არსებობს ნივთები/პროდუქტები, რომლებიც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაა. მოიყვანეთ მსგავსი მაგალითები:
 - წყალი არის ის, რის გარეშეც ვერ ვიცხოვრებთ, ამიტომ წყალს ვაკუთვნებთ იმ პროდუქტს/საქონელს, რასაც ვუნოდებთ „საჭიროებას“.
 - შოკოლადი არის ის, რის გარეშეც შეგვიძლია ვიცხოვროთ, თუმცა ძალიან გემრიელია და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მას „სურვილებს“ მივაკუთვნებთ.
 - სთხოვეთ ბავშვებს მათაც მოიყვანონ მაგალითები. დაეხმარეთ მათ კითხვებით:
 - როგორ ფიქრობთ, ნაყინი ჩვენთვის მნიშვნელოვანია? შეგვიძლია ვიცხოვროთ მის გარეშე?
 - შეგიძლიათ დაასახელოთ ის, რის გარეშეც ვერ ვიცხოვრებთ?
3. როდესაც დარწმუნდებით, რომ ბავშვებმა უკვე ისწავლეს განსხვავება ცნებებს „საჭიროება“ და „სურვილებს“ შორის, ამოიღეთ საჭირო და სასურველი ნივთების სურათები და სთხოვეთ ბავშვებს, გაანაწილონ ისინი შესაბამის ყუთებში.
4. როდესაც ბავშვები შეასრულებენ დავალებას, ამოიღეთ რამდენიმე სურათი ყუთიდან და ჰკითხეთ:

მეცადინეობა 26. „ის რაც ნამდვილად მჭირდება“

- როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეგვიძლია ცხოვრება მის გარეშე? (სურათები კატეგორიიდან „საჭიროებები“)
 - არის ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი?
 - რატომ არ არის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის? (სურათი კატეგორიიდან „სურვილები“)
5. ამ ორი კატეგორიის განხილვა დაიწყეთ შემდეგი კითხვების დასმით:
- აუცილებელია წყლის დაღევა?
 - ჭამა გვჭირდება?
 - რა სახის საკვები გვჭირდება?
 - გვჭირდება ნახევარფაბრიკატები?
 - გვჭირდება უსაფრთხო ადგილი დასაძინებლად?
 - რამდენად მნიშვნელოვანია ტანსაცმლის ქონა?
 - იკითხეთ, ეთანხმებიან თუ არა ბავშვები პასუხებს
6. შემდეგ, შეახსენეთ ბავშვებს, რომ საგნებს, რომელთა გარეშეც ვერ ვიცხოვრებთ, „საჭიროებებს“ უწოდებენ. აუხსენით, რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ასევე რამდენად მნიშვნელოვანია რომ სხვების საჭიროებებიც იყოს დაკმაყოფილებული. კიდევ ერთხელ იკითხეთ:
- მნიშვნელოვანია წყლის დაღევა?
 - მნიშვნელოვანია თუ არა საკვების მიღება?
7. ხაზი გაუსვით, რომელი მათგანია „საჭიროებების“ კატეგორიაში. გამოიყენეთ წარწერიანი ბარათები თქვენი სიტყვების დასადასტურებლად.
8. ახსენით, რომ ყველაფერი, რაც არ არის „საჭიროებების“ კატეგორიაში, არის „სურვილების“ კატეგორიაში. ეს არის
- ყველაფერი, რაც შეგვიძლია გქონდეს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ყველაფერი არ გვჭირდება, იმისათვის რომ გადავრჩეთ. კვლავ ჰკითხეთ ბავშვებს:
- მნიშვნელოვანია მანქანის ქონა?
9. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნეთ განსხვავება „სურვილებსა“ და „საჭიროებებს“ შორის, ახსენით, რომ გვსურს მანქანა გქონდეს, მაგრამ ეს არ გვჭირდება, რადგან მის გარეშე ცხოვრება შეგვიძლია.
10. აუხსენით ბავშვებს, რომ მათი მშობლები ბევრს მუშაობენ ფულის გამომუშავების მიზნით. რათა შეიძინონ ოჯახისთვის საჭირო საქონელი - როგორცაა საკვები, წყალი, საცხოვრებელი სახლი, ასევე საქონელი, რომელიც ოჯახს სურს ჰქონდეს - ტკბილეული, მანქანა და ა.შ.
11. უთხარით ბავშვებს, რომ ახლა ისინი ითამაშებენ თავიანთი მშობლების როლს და რომ მათ უნდა გადაწყვიტონ, სად დახარჯონ ფული. აუხსენით, რომ ბუნებრივია ფულის დახარჯვა როგორც „საჭიროებებზე“, ასევე „სურვილებზე“, მაგრამ თუ ფული არ არის საკმარისი, მაშინ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა შეიძინონ პირველად. თხოვეთ ბავშვებს იხტუნონ, როდესაც თვლიან, რომ პასუხი დადებითია და დასხედენ მშვიდად, როდესაც თვლიან, რომ პასუხი უარყოფითია. მოიფიქრეთ თქვენი შეკითხვები შემდეგი შაბლონის გამოყენებით:
- თუ თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეიძინოთ ერთი რამ: მაკარონი ან ჩუპაჩუპსი, ჯერ იყიდი ჩუპაჩუპსს? (არა)
 - თუ თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეიძინოთ ერთი რამ: სათამაშო ან თბილი ტანსაცმელი ზამთრისთვის, ჯერ

მეცადინეობა 26. „ის რაც ნამდვილად გჭირდება“

იყიდი ტანსაცმელს? (დიახ)

- თუ თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეიძინოთ ერთი რამ: წყალი ან ლიმონათი, ჯერ წყალს იყიდით? (დიახ)

12. შეეცადეთ მოიფიქროთ საკუთარი კითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით.

უკუკავშირი:

10 წუთი

1. გაყავით ბავშვები ჯგუფებად (თითო ჯგუფში ხუთი ბავშვი).
2. თითოეულ ჯგუფს მიეცით ფურცელი ორი სვეტით „საჭიროებები“ და „სურვილები“ და ჟურნალებიდან ამოჭრილი რამდენიმე სურათი.
3. სთხოვეთ ბავშვებს, დაანებონ ნახატები შესაბამის სვეტში, რათა შექმნან „საჭიროებებისა“ და „სურვილების“ კოლაჟი.
4. როდესაც სამუშაო დასრულდება, თითოეულმა პატარა ჯგუფმა აჩვენოს თავიანთი კოლაჟი ჯგუფს.
5. ხაზი გაუსვით იმას, რომ არსებობს ბევრი რამ, რაც გვსურს, მაგრამ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ფულის დახარჯვა იმაზე, რაც ნამდვილად გჭირდება.




საკვარჯიშო ოჯახთან ერთად:

უთხარით ბავშვებს, რომ შემდეგ მეცადინეობაზე გეგმავთ მათთან ერთად მოაწყობთ ბაზრობა/გამოფენა და რომ უნდა მოიწვიონ ოჯახის წევრები და მეგობრები. ამ განსაკუთრებული დღის მოსამზადებლად სთხოვეთ ბავშვებს აარჩიონ რამდენიმე სპეციალური ნივთი აფლატუნის სამოგზაურო ყუთიდან და გადაწყვიტონ, რომელი მათგანი გამოფინონ და გაყიდონ. ბავშვებს დართეთ ნება სახლში წაიღონ საკუთარი აფლატუნის სამოგზაურო ყუთი და ჰკითხონ მშობლებს, თუ რა მოსწონთ ყველაზე მეტად და რის ყიდვას ისურვებდნენ. აუხსენით ბავშვებს, რომ მშობლების დახმარებით მათ უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელ 3 ნამუშევარს წარადგენენ გამოფენაზე ან გაყიდიან „ბაზრობაზე“.

შეგიძლიათ გამოიყენოთ წერილის ნიმუში მშობლებისთვის 22-ე მეცადინეობიდან. თუ ყუთი ძალიან დიდია, მაშინ მშობლებს ამ დავალების შესრულება პირდაპირ ბაღში შეუძლიათ, როდესაც მოჰყავთ ან გაჰყავთ შვილები.

მეცადინეობა 26. „ის რაც ნამდვილად მჭირდება“

***გააფრთხილეთ ბავშვები იმ ღონისძიების შესახებ, რომლის ჩატარებას აპირებთ (ბაზრობის ან გამოფენის შესახებ, თუ მხოლოდ ერთი რამის ჩატარებას აპირებთ, ან გააფრთხილეთ ორივე ღონისძიების შესახებ, თუ მათ ერთად ჩატარებას აპირებთ)*



წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

ჩვენი აფლატუნის მოგზაურობის ბოლოს, ჩვენ გვსურს მოვანყოთ სპეციალური ღონისძიება - აფლატუნის გამოფენა-გაყიდვა. თქვენი ბავშვი სხვა ბავშვებთან ერთად ჩართული იქნებიან ამ გამოფენა-გაყიდვის მომზადებაში. თქვენ მიიღებთ მონვევას ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენ ძალიან გვჭირდება თქვენი დახმარება ამ დღესასწაულის მოსამზადებლად. ჩვენ ბავშვებს ვთხოვთ გააკეთონ ე.წ. „მარკეტინგული კვლევა“ და გაიგონ რა არის საუკეთესო ნაკეთობები აფლატუნის გამოფენა-გაყიდვისთვის. იქნებ დაეხმაროთ თქვენს შვილს აფლატუნის სამოგზაურო ყუთიდან რამდენიმე განსაკუთრებული ნაკეთობის არჩევაში.

რომელი ნაკეთობა მოგწონთ ყველაზე მეტად და რომელთა შექმნას ისურვებდით?

ბავშვთან ერთად შეარჩიეთ 3 ასეთი ნაკეთობა, რომელსაც თქვენი შვილი წარადგენს გამოფენა-გაყიდვაზე. გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ შეარჩიოთ ეს სამი ნაკეთობა და შეახსენოთ თქვენს შვილს, რომ არ დაავიწყდეს მათი წაღება ბაღში.

პატივისცემით _____

მეცადინეობა 27. „მე შემიძლია ჩემი ოცნებები ავისრულო“



მეცადინეობა 27.
„მე შემიძლია ჩემი ოცნებები ავისრულო“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
- გააცნობიერებენ საკუთარ მნიშვნელობას
 - რომ მათ აქვთ უნიკალური ნიჭი
 - მიხვდებიან, რომ მათ შეუძლიათ აისრულონ ოცნებები



უნარები:

- ▶ ფიზიკური
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ბურთი
- ▶ მე -19 მეცადინეობაზე დამზადებული ქაღალდის ვარსკვლავები თითო ბავშვისთვის თითო
- ▶ საწერი კალმები/ფანქრები
- ▶ წებო



ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი

****მეცადინეობის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი ოდენობით ქაღალდის ვარსკვლავები, რომელიც ამოჭერთ მე-19 მეცადინეობაზე: „ჩაიფიქრე სურვილი -„ვარსკვლავი წყდება!“*

შესავალი: 10 წუთი

1. სთხოვეთ ბავშვებს გაიხსენონ ზღაპარი „ბაჭია და კუ“. იქნებ ერთ-ერთმა მოყვეს კიდევ.
2. შემდეგ ჰკითხეთ, ახსოვთ თუ არა ბავშვებს რა არის ნიჭი/ტალანტი და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი. შეახსენეთ, რომ ნიჭი/ტალანტი არის ის, რაც ჩვენ გვხდის განსაკუთრებულსა და უნიკალურს. ნიჭი/ტალანტი არის ის, რისი მეშვეობითაც ჩვენ სხვებზე უკეთ ვაკეთებთ რაიმეს, მაგალითად, ხატვა, სირბილი ან თუნდაც სიმშვიდის შენარჩუნება. აუხსენით, რომ ჩვენი ნიჭი ასევე გვეხმარება ოცნებების ასრულებაში. მაგალითად, ადამიანი, ვისაც სხვების დახმარების ნიჭი აქვს, სავარაუდოდ აისრულებს თავის ოცნებას, გახდეს მესხანძრე ან ექიმი.

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

1. კიდევ შეახსენეთ ბავშვებს, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებული და უნიკალურია და რომ ჩვენ ყველას განსხვავებული ოცნებები გვაქვს.
2. განათავსეთ ბავშვები წრეში და თხოვეთ, რომ მათ დაასახელონ ის, რასაც თვლიან, რომ კარგად გამოსდით. დაეხმარეთ ბავშვებს ისეთი მაგალითებით, როგორიცაა სიმღერა, ცეკვა, სხვა ადამიანების დახმარება, შრომისმოყვარეობა, მაღლა ხტომა, აღმოჩენების გაკეთება და ა.შ. შეახსენეთ მათ, რომ ამ ყველაფერს „ნიჭი ან ტალანტი“ ეწოდება.
3. მიეცით ერთ-ერთ ბავშვს ბურთი და სთხოვეთ ხმამაღლა დაასახელოს თავისი განსაკუთრებული ნიჭი/ტალანტი, შემდეგ კი ბურთი გადასცეს სხვა ბავშვს, რომელმაც ასევე უნდა დაასახელოს მისი ნიჭი/ტალანტი. გააგრძელეთ თამაში მანამ, სანამ ყველა ბავშვი არ დაასახელებს თავის ნიჭს/ტალანტს.
4. მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი დაასახელებს თავის ნიჭს/ტალანტს, შესთავაზეთ იმღერონ სიმღერა იმაზე, თუ რამდენად განსაკუთრებული არიან ისინი. ამისათვის გამოიყენეთ რომელიმე ნაცნობი სიმღერის მოტივი.

მეცადინეობა 27. „მე შემიძლია ჩემი ოცნებები ავიხსნა“

იმდერეთ სიმღერა ნიჭზე და თხოვეთ ბავშვებს გაიმეორონ თქვენი მოძრაობებით. „მე ნიჭიერი ვარ“ (ორივე ხელის საჩვენებელი თითებით მიუთითონ საკუთარ თავზე), „მე ნიჭიერი ვარ“ (ორივე ხელის საჩვენებელი თითებით მიუთითონ საკუთარ თავზე) “ჩვენ ყველანი ნიჭიერები ვართ” რადგან შემიძლია (დაასახელეთ ბავშვების მიერ ნახსენები ნიჭი. მაგალითად: ოჯახის დახმარება და სხვა) და მე შემიძლია და შემიძლია! (ბავშვები მალა აწვევენ ხელებს) და ჩვენ ეს შეგვიძლია!

5. გაიმეორეთ სიმღერა რამდენჯერმე, ჩაანაცვლეთ სხვა ნიჭი, რომელიც ბავშვებმა დაასახელეს.

უკუკავშირი:

15 წუთი

1. აჩვენეთ ბავშვებს სურვილების ვარსკვლავები, რომლებიც მათ გააკეთეს მე-19 მეცადინეობაზე: „ჩაიფიქრე სურვილი - ვარსკვლავი წყდება!“ იკითხეთ:
 - გახსოვთ ეს რა ვარსკვლავებია?
 - გახსოვთ რომელი სურვილი ჩაუთქვით?
 - უთხარით ბავშვებს, რომ ალბათ თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ოცნებები და სურვილები, რასაც უნდა მიაღწიონ, როცა გაიზრდებიან.
2. მიეცით ბავშვებს თავიანთი ვარსკვლავები და ჰკითხეთ:
 - სურვილი, რომელიც თქვენ მაშინ ჩაუთქვით, დღესაც ყველაზე მნიშვნელოვანია?
 - თუ გსურთ შეცვალოთ იგი?
 - გაქვთ ახალი ოცნება? რა?

- როგორ ფიქრობთ, რისი გაკეთება დაგჭირდებათ ამ სურვილის მისაღწევად?
ხაზი გაუსვით, რომ ნიჭი/ტალანტი აუცილებელია მათი ოცნებების ასარულებლად და რომ ისინი გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული. მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი. აუხსენით, რომ თქვენი ნიჭის გამოყენების მრავალი გზა არსებობს და რომ, როცა გაიზრდებიან, საკუთარ თავში ისინი ახალ ნიჭს აღმოაჩენენ.



მეცადინეობა 27. „მე შემიძლია ჩემი ოცნებები ავისრულო“

3. თითოეულ ბავშვს მიეცით სუფთა ქაღალდისგან ამოჭრილი ვარსკვლავი, და სთხოვეთ, დახატონ მასზე საკუთარი ნიჭი.
4. საზგასმით აღნიშნეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იცოდნენ საკუთარი ნიჭისა და ოცნებების შესახებ. სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ სურვილების ვარსკვლავები და უკანა მხრიდან მიაწებონ ვარსკვლავი, რომელზეც დახატულია „ნიჭი“. სთხოვეთ მათ სურვილისა და ნიჭის ვარსკვლავები განათავსონ აფლატუნის სამოგზაურო ყუთში.
5. კვლავ ჰკითხეთ ბავშვებს:
 - თქვენი ოცნება სამომავლო პროფესიაზე იგივე რჩება, რაც იყო ადრე როცა სურვილების ვარსკვლავები გააკეთე?
 - როგორ ფიქრობთ, კარგია ერთზე მეტი ოცნება გქონდეთ?
 - უფროსი ასაკის ბავშვებისთვის: შეიძლება სხვა ადამიანებს მისცე უფლება ხელი შეუშალონ შენი ოცნების ასრულებას?
6. აუხსენით ბავშვებს, რომ მათ აქვთ უფლება აისრულონ თავიანთი ოცნებები და განავითარონ საკუთარი ნიჭი.

წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ოცნებებისა და ნიჭის შესწავლას. ეს ძალიან საინტერესო თემაა და გვსურს თქვენი დახმარებით კიდევ უფრო საინტერესო გავხადოთ იგი.

იმისათვის, რომ თქვენს შვილს დაეხმაროთ ამ ცნებების განმტკიცებაში, ჰკითხეთ, რა გააკეთა მან აფლატუნის კლასში დღეს. გაუზიარეთ თქვენს შვილს, რა ოცნება გქონდათ ბავშვობაში. თუ ეს შესაძლებელია, დახატეთ თქვენი ოცნება თქვენს შვილთან ერთად ან მოკლედ აღწერეთ იგი ქაღალდზე. შეახსენეთ თქვენს შვილს, არ დაავიწყდეს ნახატის/მოკლე აღწერილობის წაღება ბაღში.

პატივისცემით, _____



საპარაზიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ ბავშვებს, უთხრან მშობლებს, რა გააკეთეს გაკვეთილზე და შემდეგ ჰკითხონ მათ „რა იყო თქვენი ბავშვობის ოცნება?“ შეგიძლიათ გამოიყენოთ წერილის ნიმუში (მეცადინეობა 22-დან).

მეცადინეობა 28. „სამყარო ბავშვებისთვის“

მეცადინეობა 28. „სამყარო ბავშვებისთვის“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- შეიტყობენ, რომ მათ აქვთ უფლებები და მოვალეობები
- გააცნობიერებენ, რომ უფლებები დაკავშირებულია ბავშვების კეთილდღეობასთან
- დახატავენ სურათს თემაზე „რისი შეცვლა მსურს მე მსოფლიოში“

უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ შემეცნებითი

საჭირო მასალები:

- ▶ ნახატი მომლიმარი სახით
- ▶ ნახატი სევდიანი სახით
- ▶ ნახატი ბავშვებით, რომელთა უფლებები დაცულია
- ▶ ნახატი ბავშვებით, რომელთა უფლებები ირღვევა (მაგალითად, ბავშვები რომლებიც მუშაობენ, მშვიერი ბავშვები, კონფლიქტის ზონაში მყოფი ბავშვები)
- ▶ მოთხრობა „სამყარო ბავშვებისთვის“
- ▶ მოთხრობის „სამყარო ბავშვებისთვის“ ილუსტრაციების ასლები
- ▶ დიდი სუფთა ქაღალდის ფურცლები (თითო ყველა ბავშვისთვის)
- ▶ წებო
- ▶ სანერკალმები/ფანქრები

ხანგრძლივობა:

- ▶ 45 წუთი

დღის სიტყვა:

▶ უფლებები

შესავალი:

15 წუთი

1. განათავსეთ ღიმილიანი და სევდიანი სახის სურათები ოთახის სხვადასხვა ნაწილში.
2. დასვით ბავშვები ოთახის შუაში და უთხარით მათ, რომ აჩვენებთ ილუსტრაციებს, რომლებიც კავშირშია მოთხრობასთან „სამყარო ბავშვებისთვის“, რომელსაც მოგვიანებით მოუსმენენ. ზოგიერთი ილუსტრაცია ასახავს მხიარულ ეპიზოდებს, რომელშიც ბავშვები ბედნიერები გამოიყურებიან. სხვებზე კი ბავშვები მოწყენილები არიან.
3. გააფრთხილეთ ბავშვები, რომ როდესაც ნახავენ სურათს მხიარული ეპიზოდით, ისინი უნდა მივიდნენ მომლიმარ სახესთან, და როდესაც თქვენ ანახებთ სევდიან ეპიზოდს, მაშინ მწუხარე სახესთან უნდა მივიდნენ.
4. ბავშვებს სათითაოდ აჩვენეთ ნახატები და მიეცით საშუალება, აირჩიონ რომელი სახე მოსწონთ: გაღიმებული თუ მოწყენილი.
5. იმ ბავშვების სურათების ჩვენებისას, რომელთა უფლებებიც ირღვევა (სამწუხარო ეპიზოდები), ჰკითხეთ:
 - როგორ ფიქრობთ, რატომ არიან ეს ბავშვები მოწყენილები?
 - რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ?
 - როგორ შეიძლება მათი მდგომარეობის გაუმჯობესება?
6. იმ სურათების ჩვენებისას, რომელზეც გამოსახულია ბავშვები, რომელთა უფლებები დაცულია (მხიარული ეპიზოდები), ჰკითხეთ:
 - როგორ ფიქრობთ, რატომ არიან ეს ბავშვები ბედნიერები?

მეცადინეობა 28. „სამყარო ბავშვებისთვის“

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

1. დასვით ბავშვები წრეში და წაუკითხეთ მათ მოთხრობა „სამყარო ბავშვებისთვის“.
2. აჩვენეთ ბავშვებს ილუსტრაციები ბავშვების სურათებით, რომელთა უფლებებიც დაცულია და კვლავ იკითხეთ:
 - რატომ არიან ეს ბავშვები ბედნიერები?

შეეცადეთ აუხსნათ, რომ სურათებზე აღბეჭდილი ბავშვები ბედნიერები არიან, რადგან მათ აქვთ საკვები, მათ შეუძლიათ ბაღში სიარული, მათ აქვთ სახლი, ოჯახი და ა.შ.

საზგასმით აღნიშნეთ, რომ ამ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ქვია „უფლებები“. აუხსენით, რომ მსოფლიოში ბავშვებს აქვთ უფლებები. ყველა ბავშვს აქვს უფლება, უყვარდეთ, ჰქონდეთ სახლი, იარონ სკოლაში, იყონ ჯანმრთელი, ითამაშონ, ჰქონდეთ სახელი, იცხოვრონ უსაფრთხოდ და დაცულად, გაიზარდონ მშვიდობიან გარემოში. ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა მოხდებოდა, თუ არ მოგცემდნენ საქმელს?
 - რა მოხდება, თუ ბაღში/სკოლაში არ ივლით?
 - რა მოხდებოდა, თუ არ დაგიცავდნენ? და ა.შ.
4. ახსენით, რომ უფლებები ძალიან განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ფასეულობაა და მათ პატივი უნდა სცენ.

უკუკავშირი:

10 წუთი


1. სთხოვეთ ბავშვებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ გამოიყურება იდეალური სამყარო, რომელშიც ბავშვები ბედნიერნი იქნებიან. ჰკითხეთ:
 - როგორ გამოიყურება ეს სამყარო?

- რას გააკეთებდნენ ბავშვები?
 - ივლიდნენ ისინი ბაღში?
 - ექნებოდათ საქმელი?
2. თითოეულ ბავშვს მიეცით დიდი ცარიელი ქაღალდის ფურცელი და რამდენიმე ამოჭრილი ბავშვების გამოსახულება, რომელთა უფლებებიც დაცულია და ბავშვების, რომელთა უფლებები ირღვევა.
 3. სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან საკუთარი კოლაჟი თემაზე „სამყარო ბავშვებისთვის“ ფურცელზე დაანებონ ყველაფრის სურათი, რაც მათ სურთ, რომ ჰქონდეთ იდეალურ სამყაროში ბავშვებისთვის. აუხსენით, რომ ბავშვებმა მხოლოდ ის სურათები უნდა აირჩიონ, რომლებიც, მათი აზრით, ბავშვების იდეალური სამყაროსთვისაა შესაფერისი.
 4. დავალების დასრულების შემდეგ, ბავშვებს ხელი მოაწერინეთ თავიანთ ნამუშევარზე (დაეხმარეთ მათ) და განათავსეთ კოლაჟები თემაზე „მსოფლიო ბავშვებისთვის“ აფლატუნის სამოგზაურო ყუთში.
 - ყველა ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს საკვები და სუფთა წყალი და იყოს ჯანმრთელი.
 - მაგრამ ზოგჯერ ბავშვებს არ აქვთ საკმარისი საკვები და სასმელი წყალი.
 - ყველა ბავშვს სჭირდება სახლი და ოჯახი, რომელიც იზრუნებს მასზე და ეყვარება ის, მაგრამ არიან ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები და არც სახლი აქვთ.
 - ყველა ბავშვი უნდა დადიოდეს სკოლაში, რომ

მეცადინეობა 28. „სამყარო ბავშვებისთვის“

ისწავლოს და განვითარდეს, მაგრამ ზოგჯერ არ არის საკმარისი სკოლები, წიგნები, მასალები ან მასწავლებლები. ხდება ისეც, რომ ბავშვები იძულებულნი არიან მძიმე სამუშაო შეასრულონ.

- ყველა ბავშვმა მშვიდად და უსაფრთხოდ უნდა იცხოვროს, მაგრამ არის ომები და კატასტროფები.
- ყველა ბავშვს უნდა მოუსმინონ, მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრისა და გრძნობების გამოხატვა. მაგრამ ზოგჯერ ბავშვებს არ უსმენენ. ისინი არ არიან თავისუფალი.
- ყველა - ახალგაზრდებიც და მოხუცებიც ერთმანეთს უნდა დაეხმარონ და ყურადღება მიაქციონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ბავშვმა მიიღოს ის, რაც მას სჭირდება.
- ჩვენი სამყარო უფრო ბედნიერი და მშვენიერი გახდება, თუ შევეცდებით შევქმნათ მშვიდობა ბავშვებისთვის.



წერილის ნიმუში:

პატივცემულო _____

დღეს ჩვენ ვისწავლეთ ახალი ცნება - უფლებები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცნება. ჩვენ ასევე გავაცნობიერეთ, რომ ჩვენი უფლებების ცოდნა დაგვეხმარება სამყაროს შეცვლაში! კარგი იქნება, თუ დაგვეხმარებით ამ ცოდნის გამყარებაში. როგორ? ჰკითხეთ ბავშვს იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მან დღევანდელ მეცადინეობაზე აფლატუნის პროგრამის ფარგლებში და სთხოვეთ მოგიყვას რა თემა განვიხილეთ დღეს. ჰკითხეთ თქვენს შვილს, რა არის უფლებები და როგორ შეიძლება მათი დახმარებით ჩვენი სამყაროს შეცვლა. გაუზიარეთ თქვენს შვილს, თუ როგორ შეცვლიდით ჩვენ სამყაროს ამის შესაძლებლობა რომ გქონდეთ.

შესაძლებლობის შესაბამისად ჩამოაყალიბეთ თქვენი იდეები ქალაქდღე ნახატის ან მოთხრობის სახით, რომ ბავშვმა შეძლოს მათი თან წაღება შემდეგ გაკვეთილზე.

პატივისცემით _____

მეცადინეობა 29. „ზღაპარი მონეტაზე“

მეცადინეობა 29. „ზღაპარი მონეტაზე“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიფართოვებენ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის ფული და როგორ ხდება მისი გამოყენება
- ისინი გაცნობიან ფულის ბრუნვას და საკუთარი ხელით გააკეთებენ მონეტებს



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ნახატი მომღიმარი სახით
- ▶ 3 ყუთი/კონტეინერი /კალათები,
- ▶ სხვადასხვა ნომინალის მონეტების დაწებებული ნახატებით (მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“)
- ▶ 3 ბურთი (მეცადინეობა 21. „ჩვენი ფული“)
- ▶ ზღაპარი: „ზღაპარი მონეტაზე“
- ▶ მონეტის ნიმუში
- ▶ სუფთა ფურცლები (მონეტებისა და მოსაწვევების დასამზადებლად საკმარისი რაოდენობით)
- ▶ მაკრატელი
- ▶ საწერკალმები/ფანქრები
- ▶ დაფა/ფლიპჩარტი



ხანგრძლივობა:

- ▶ 50 წუთი (სავარჯიშო შეიძლება გადანაწილდეს 2 დღეზე)

გაკვეთილის დაწყებამდე გააკეთეთ დისკი შუაში დაწებებული მონეტით. პატარა ბავშვებისთვის უმჯობესია წინასწარ მოამზადოთ ქალაქის დისკები დავალების შესასრულებლად ჭკუფურ სავარჯიშოში „უკუკავშირი“.

შესავალი:

10 წუთი

1. ითამაშეთ კალათბურთი მონეტებით, როგორც ეს გააკეთეთ მეცადინეობა 21-ის დროს.
2. რამდენიმე წუთიანი ითამაშის შემდეგ, დასვით ბავშვები წრეზე.
3. თქვით, რომ დღეს ისინი მოისმენენ ზღაპარს განსაკუთრებულ მონეტაზე.
4. ჰკითხეთ ბავშვებს, ახსოვთ თუ არა, რა არის მონეტები და რისთვის იყენებენ მათ.

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

1. წაუკითხეთ ბავშვებს „ზღაპარი მონეტაზე“. წაკითხვის შემდეგ დაუსვით ბავშვებს მიმანიშნებელი კითხვები, რომლებსაც ნახავთ მოთხრობის ბოლოს.
2. შემდეგ, კარგად აუხსენით რომ მონეტები ფულია და ისინი სხვადასხვა ნივთების შესაძენად გამოიყენება.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა იყო ნაყიდი ზღაპარში მონეტით?
- გაქვთ რაიმე ნივთი ნაყიდი ფულით?

ბავშვებისთვის, რომლებსაც ჯერ არ აქვთ ყიდვის საკუთარი გამოცდილება, შეგიძლიათ ჰკითხოთ:

- გინახავთ რას ყიდულობდნენ უფროსები ფულით?
- რისი ყიდვა გსურთ, როდესაც ფული გექნებათ?

მეცადინეობა 29. „ზღაპარი მონეტაზე“

- დახატეთ ზღაპრის ზოგიერთი პერსონაჟის სახე დაფაზე/ქალაქზე ან აჩვენეთ ბავშვებს წიგნში მოცემულ სურათებზე.
- თითოეულ ბავშვს მიანიჭეთ როლი. იდეალურ შემთხვევაში, თქვენ უნდა გქონდეთ 3-4 როლი, რომელთა გამეორებაც შეიძლება (მაგალითად, მონეტა, დეიდა, გოგო). დაეხმარეთ ბავშვებს გაითამაშონ ზღაპრის გარკვეული მონაკვეთები და სთხოვეთ ზოგიერთი რეპლიკის გახმოვანება.

უკუკავშირი:

20 წუთი

- დასვით ბავშვები წრეში, მიეცით ერთ ბავშვს დისკი და სთხოვეთ, დადგეს წრის ცენტრში. სთხოვეთ ბავშვებს დაასრულონ წინადადებები: მე მონეტა რომ ვიყო, ჩემით იყიდინენ...
- წინადადების დასრულების შემდეგ მოიწვიეთ სხვა ბავშვები მონეტის როლში.
- თითოეულ ბავშვს მიეცით ცარიელი ფურცელი და მაკრატელი და სთხოვეთ წრეების ამოჭრა ქალაქისგან. თუ ბავშვები ჯერ კიდევ პატარები არიან, დაურიგეთ წინასწარ გაკეთებული წრეები.
- უთხარით ბავშვებს, რომ წრეებისგან გააკეთებენ მონეტებს და განსაზღვრეთ ამ მონეტების ნომინალები (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს 1 აფლატუნიკო, 2 აფლატუნიკო, 3 აფლატუნიკო და ა.შ.). სთხოვეთ ბავშვებს მიუთითონ მონეტების ღირებულება.
- 39-ა და 39-ბ სავარჯიშოს დროს (ამ განყოფილების მოდული “ჩვენი გამოფენა/ბაზრობა აფლატუნი“)

ბავშვები მოაწყობენ თავიანთ საკუთარ საწარმოს. მათ ამ საქმიანობისთვის ბევრი მონეტა დასჭირდებათ, ამიტომ გააკეთეთ რაც შეიძლება მეტი მონეტა. ეს მონეტები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას პატარა მაღაზიისთვის. გაკვეთილის დასრულების შემდეგ, სთხოვეთ ბავშვებს, განათავსონ მათი ხელით გაკეთებული მონეტები ყულაბებში.

*****თუ საკმარისი დრო არ გაქვთ, შეგიძლიათ გადადოთ ეს დავალება შემდეგი დღისთვის.**

- შეტყობინეთ ბავშვებს, რომ ისინი რამდენიმე კვირაში მოაწყობენ ღონისძიებას, რათა აჩვენონ ოჯახის წევრებს და მეგობრებს, თუ რა საინტერესო მოგზაურობა მოაწყვეს მათ აფლატუნთან ერთად და რამდენი რამ ისწავლეს მასთან ერთად.
- ჰკითხეთ ბავშვებს:
 - გახსოვთ ტალანტების შოუ რომ გავაკეთეთ?
 - გახსოვთ როგორ მოვემზადეთ ამისთვის?
 - და ჩვენი მინიმარკეტის გაკეთება გახსოვთ? როგორ მოვანწყვეთ ის?
- უთხარით, რომ შემდეგი ღონისძიება უფრო დიდი და ძალიან განსაკუთრებული იქნება, ვიდრე ყველა, რაც მანამდე გავგიკეთებია და აცნობეთ, რომ ამ ღონისძიების დროს მათ შეეძლება გამოიმუშაონ ახალი აფლატუნ-მონეტები. იმისათვის, რომ დღესასწაული წარმატებული იყოს, საჭიროა კარგი მომზადება და ოჯახის წევრების

მეცადინეობა 29. „ზღაპარი მონეტაზე“

და მეგობრების მოწვევა. მიეცით ბავშვებს ცარიელი ფურცლები და სთხოვეთ, მოამზადონ მოსაწვევები ოჯახისთვის და მეგობრებისთვის დასკვნით სავარჯიშოზე-აფლატუნის გამოფენაზე მოსაწვევად. ხაზგასმით აღნიშნეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ახლობლების ჩვენთან ყოფნა იმ დღეს.



სავარჯიშო ოჯახთან ერთად:


მორიგი სავარჯიშოსთვის მომზადების ეტაპზე, სადაც ბავშვები ისწავლიან გაზიარებას, სთხოვეთ მშობლებს, დაეხმარონ ბავშვებს იმ ნივთის/სათამაშოს არჩევაში, რომელიც მნიშვნელოვანია მათთვის, რაც მათ შეეძლებათ მიიტანონ ბაღში და აჩვენონ ბავშვებს. აუხსენით ბავშვებს, რომ სავარჯიშოს ბოლოს ისინი შეძლებენ ამ ნივთის/სათამაშოს სახლში წაღებას. შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული წერილის ნიმუში:


წერილის ნიმუში

ძვირფასო _____,

შემდეგ გაკვეთილზე ჩვენ ვისაუბრებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაზიარება-გაყოფა და შევასრულებთ ერთ ამოცანას, რომელშიც თქვენი დახმარება გვჭირდება. ყველა ბავშვმა სახლიდან უნდა მოიტანოს საგანი ან სათამაშო, რაც მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა სავარჯიშოს მსვლელობისას აჩვენონ ის ჯგუფის სხვა ბავშვებს. თითოეულ ბავშვს შეეძლება აიღოს თავისი ნივთი/სათამაშო და სავარჯიშოს შემდეგ წაიღოს სახლში. ჩვენ გავაკონტროლებთ, რომ არაფერი დაიკაროს. დაეხმარეთ თქვენს შვილს, აირჩიოს რა ნივთი წაიღოს ბაღში. აუხსენით თქვენს შვილს, რომ ეს ნივთი/ სათამაშო მან უბრალოდ უნდა აჩვენოს მეგობრებს კლასში და ნუ შეეშინდება, რომ ის ვერ დაიბრუნებს თავის სათამაშოს. შეახსენეთ თქვენს შვილს, რომ არ დაავაზინყდეს ნივთის წამოღება შემდეგ მეცადინეობაზე.

პატივისცემით -----





ზღაპარი მონეაზა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი პატარა მრგვალი რკინის ნაჭერი, რომელსაჲ „თეთრი“ ერქვა. იგი დაიბადა დიდ ქარხანაში, სადაჲ ასევე ჩნდებოდა მრავალი სხვა რკინის ნრე. ისინი ყველა ლითონისგან იყო დამზადებული და მათ მონეტებს უწოდებდნენ. „საინტერესოა, რისთვის ვართ ჩვენ?“ – ჰკითხა თეთრმა მის პატარა პრილა მეჭაღლის მეგობრებს. „გავიგე, რომ ჩვენ გამოგვიყენებენ ადამიანები“, – უპასუხა ერთმა მონეტამ.

„გავიგე, რომ ჩვენ პატარა ჩანთაში ვიწხოვრებთ“ – თქვა მეორემ.

რას ფიქრობ შენ? რისთვის არის საჭირო მონეტები? ერთ დღეს თეთრმა გაიღვიძა და გაუკვირდა, რომ აღმოჩნდა ახალ ადგილზე. იგი აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის მონეტებთან ერთად პატარა ჩანთაში. „სად ვარ?“ – იკითხა თეთრმა. – შენ საფულეში ხარ, – მიუგო მეზობელმა მონეტამ. „რას ვაკეთებ აქ?“ „ჩვენ ველოდებით, როდის დაგვხარჯავენ რაღაჲ ნივთების შესაძენად“, – უპასუხა სხვა მონეტამ.

„ჩვენ გვიყენებენ ნივთების შესაძენად?“
„ღიჯ, ჩვენ ხომ ფული ვართ! მონეტები და ქალაღლის ბანკოტები–ეს ფულია. ადამიანები გვევლიან ჩვენ საგნებში“. სანამ თეთრმა რაიმეს თქმა მოასწრო, ხელმა საფულე გახსნა და აიღო ის. მან დაინახა, როგორ შეხედა მოხუცმა კაცმა მას და გამყიდველს მიანოდა.

„აი, მომეერთ ფორთოხალი!“ – ითხოვა მოხუცმა.
„ინებეთ“, – უპასუხა გამყიდველმა.

მან აიღო თეთრი და მისცა იმ კაცს ფორთოხალი.

„აჲ! ჩემი ნყალოზით ამ მოხუცმა შეიძინა ფორთოხალი“, – სინარულით გაიფიქრა თეთრმა.

მოგვიანებით, თეთრი გადადიოდა ხელიდან ხელში და ივცლებოდა ნაყინში, ზურთში ან ამით იხდიდნენ მანქანის რეუხვის საფასურს. თეთრმა ზვერი რამ ნახა. იგი შედნიერი იყო, რომ ხაღხი მას სხვადასხვა რამეში ივლიოდა და რომ მისი ნყალოზით ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ ის, რაჲ სურთ. კიდევ რისი ყიღვა შეიძლება ფულით?

ერთხელ თეთრი პატარა გოგონასთან მოხვდა, მაგრამ მას ის არაფერში გაუყვლია.

ეს საჩუქარი იყო.

– მაღლოზა დეიდა, – თქვა პატარა გოგონამ.

„არაფრის“, – უპასუხა ქაღმა. „რა გინდა ამ ფულით გააკეთო?“

„მე მინდა ის ჩავლო ყულაზაში, რომ დავაგროვო ფული დაზადების დღისთვის“ – უპასუხა გოგონამ.

ღრო გადაიოდა, ახალ–ახალი მონეტები ხვდებოდნენ პატარა ყულაზაში და თეთრს უერთდებოდნენ. ის კი მათ ისტორიებს ისმენდა. ზოგიერთი ისტორია ეხებოდა იმას, თუ საიდან გაჩნდა



ზღაპარი მონეტაზე

მონეტები. სხვა ისტორიები იმის შესახებ იყო, თუ რა იყიდეს მათით. თითოეული მათგანი უზიარებდა ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ ახარებდა იგი ადამიანებს იმით, რომ აძლევდა შესაძლებლობას ქონოდა მისთვის სასურველი და საჭირო რამ. ყველა რწობისმოყვარეობით ვარაუდობდა, რის ყიდვას შეძლებდნენ პატარა გოგონასათვის.
„მე ვფიქრობ, რომ ეს პატარა გოგონა გვაგროვებს ჩვენ

- რაღაც განსაკუთრებულითვის.” – თქვა თეორმა.
- როგორ ფიქრობთ, რისთვის ზოგავს პატარა გოგონა?
- და ერთ განსაკუთრებულ დღეს, პატარა გოგომ ნაილო
- ყულაზა ზოომალაზიაში. მან ამაყად და სიხარულით ამოიღო
- ყველა მონეტა და ისინი ლეკვის სანაჯვლოდ გადასურა მალაზიის
- გამყიდველს. ყველა მონეტა სიამოვნებით უყურებდა როგორ
- უხაროდა გოგონას ლეკვი. მონეტები კი ზეფნიერები იყვნენ.



მეცადინეობა 30. „ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე“

მეცადინეობა 30. „ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიაზრებენ, რომ კარგია იმის გაზიარება, რაც გაქვს
- გააცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია გავუფრთხილდეთ იმ ნივთებს, რომლებიც გვაქვს და რომლებსაც ვიყენებთ



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე
- ▶ ყუთი განსაკუთრებული ნივთებისთვის/სათამაშოებისთვის
- ▶ სურათი ჭიანჭველას გამოსახულებით
- ▶ სურათი ჭრიჭინას გამოსახულებით
- ▶ 3 ყუთი/კონტეინერი ყველაზე მცირე სამი ნომინალის მონეტის გამოსახულებით
- ▶ ცარცი დაფისთვის



ხანგრძლივობა:

50 წუთი



დღის სიტყვა:

▶ გაზიარება

****სავარჯიშოს დაწყებამდე მოამზადეთ ყუთი / განსაკუთრებული საგნებისთვის / სათამაშოებისთვის და დადევით ოთახის კუთხეში, რათა ბავშვებმა შეძლონ მასში თავიანთი ნივთების მოთავსება მეცადინეობის მიმდინარეობისას.*

შესავალი: 20 წუთი

იმისათვის, რომ ბავშვები მოამზადოთ ამ მეცადინეობისთვის, დასაწყისში 5 წუთი დაუთმეთ იმას, რომ მათ ერთმანეთს უჩვენონ ის ნივთები/სათამაშოები, რომლებიც თან აქვთ წამოღებული. ეს მათ დაეხმარებათ იმის გაგებაში, თუ რას ნიშნავს „გაზიარება“. აუცილებლად უნდა ავუხსნათ ბავშვებს, რომ მეცადინეობის ბოლოს ისინი შეძლებენ თავიანთი ნივთების/სათამაშოების სახლში წაღებას. შემდეგ ბავშვებთან ერთად განიხილეთ, თუ რას ნიშნავს „გაზიარება“. ხაზი გაუსვით მარტივი

- წესის დაცვის აუცილებლობას -
- ფრთხილად მოვეპყრათ იმ ნივთებს, რომლებიც გავგიზიარეს/გვათხოვეს.
- ჰკითხეთ ბავშვებს: *თუ თქვენ გათხოვეს რაიმე ნივთი და თქვენ ის გატეხეთ, როგორ ფიქრობთ, თქვენს მეგობარს ეს გაუხარდება?*

- შეახსენეთ ბავშვებს, რომ მნიშვნელოვანია ნივთებს ფრთხილად მოვეპყროთ. ასევე ისიც, რომ თუ ისინი მეგობრებს გაუზიარებენ/ათხოვებენ თავიანთ ნივთებს, ისინი ისევ დაუბრუნდებათ მათ.

- სთხოვეთ ბავშვებს მათი განსაკუთრებული ნივთები მოათავსონ ყუთში და უთხარით, რომ მათი გამოყენებით გაითამაშებთ თამაშს „ჭიანჭველა და ჭრიჭინა“.
- თუ ბავშვებმა არ იციან რანაირია ჭიანჭველა და ჭრიჭინა, უჩვენეთ სურათები მათი გამოსახულებით და ჰკითხეთ:

- რას ხედავთ?
- რა იცით ჭიანჭველას შესახებ?

მეცადინეობა 30. „ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე“

- რამდენი ფეხი აქვს მას?
- რისი თქმა შეგიძლიათ ჭრიჭინაზე?
- რა ფერია ის?

ბავშვების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ჭიანჭველები ძალიან პატარები არიან და მათ დიდი მანძილის გავლა უნევთ სახლში საჭმლის მისატანად, რომელიც მიწაში აქვთ. ჭრიჭინას ჩვენებისას ბავშვების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ისინი უფრო დიდი ზომის არიან და მათ უყვართ მღერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცხელა.

ჰკითხეთ ბავშვებს:

- როგორ ფიქრობთ, რანაირ ხმებს გამოსცემენ ჭრიჭინები?

ბავშვებს უთხარით წარმოიდგინონ, რომ ვითომ ჭრიჭინები არიან და გამოსცენ შესაბამისი ხმები.

ჯგუფი გაყავით ორად: ერთი ჯგუფი იქნება ჭიანჭველები, ხოლო მეორე - ჭრიჭინები. აუხსენით, რომ ერთ ბავშვს მოუწევს დამალოს განსაკუთრებული ნივთი/სათამაშო, ხოლო სხვებმა უნდა მოძებნონ ის. ბავშვები, რომლებიც ჭიანჭველების როლში იქნებიან, უნდა იმოძრაონ პატარა ნაბიჯებით, ხოლო ჭრიჭინას როლში ვინც იქნება, უნდა იხტუნონ, როგორც ის დახტუნავს. რომელიმე ბავშვს სთხოვეთ ამოიღოს ერთი განსაკუთრებული ნივთი/სათამაშო ყუთიდან და დამალოს ის. დანარჩენებს კი სთხოვეთ შებრუნდნენ და დახუჭონ თვალები. ბავშვებს უთხარით, რომ დადგნენ ერთ ხაზზე და დაიწყონ დამალული ნივთის ძებნა შემდეგნაირად: ისინი ოთახში უნდა გადაადგილდნენ

მატარებელივით ანუ ერთად. ის ბავშვი, რომელმაც დამალა სათამაშო დაიყენეთ გვერდით და სთხოვეთ მისცეს მინიშნებები ახლოს არიან ბავშვები იმ ადგილთან, სადაც დამალა სათამაშო თუ შორს შემდეგი ფორმით: თუ ახლოს არიან, ეუბნება: „თბილა, უფრო თბილა ან ცხელა“, ხოლო თუ შორს არიან, ეუბნება: „ცივა, უფრო აცივდა ან ყინავს“.

როცა ბავშვები იპოვიან დამალულ ნივთს, კიდევ რამდენჯერმე გაიმეორეთ თამაში, ოღონდ ამჯერად მათ სთხოვეთ დამალონ თავიანთი ნივთები. ის ბავშვები, რომლებსაც არ მიეცემა შესაძლებლობა დამალონ თავიანთი განსაკუთრებული ნივთები, სთხოვეთ უბრალოდ ამოიტანონ ისინი ყუთიდან და ისაუბრონ, რატომ გადაწყვიტეს გაეზიარებიათ იგი სხვა ბავშვებისთვის. შემდეგ ყველა სათამაშო დააბრუნეთ ისევ ყუთში.

ძირითადი ნაწილი:

15 წუთი

დასვით ბავშვები წრეში.

წაუკითხეთ ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე. როცა მორჩებით კითხვას, ჰკითხეთ ბავშვებს:

- რისი კეთება უყვარს ჭიანჭველას?
- რისი კეთება უყვარს ჭრიჭინას?
- რა მოხდა, როცა ზამთარი მოვიდა?
- თქვენც იგივეს გააკეთებდით?
- როგორ ფიქრობთ, რატომ გაუზიარა/უწილადა ჭიანჭველამ ჭრიჭინას?

მეცადინეობა 30. „ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე“

უკუკავშირი:

15 წუთი

გამოიტანეთ ყუთი, რომელშიც აწყვია განსაკუთრებული ნივთები.

შეასხენეთ ბავშვებს, რომ მათ გაუზიარეს თავიანთი განსაკუთრებული ნივთები/სათამაშოები თავიანთ მეგობრებს ისე, როგორც ეს ჭიანჭველამ გაუზიარა თავის მეგობარ ჭრიჭინას.

კიდევ ერთხელ გაუსვით ხაზი ერთი მარტივი წესის დაცვის აუცილებლობას - ფრთხილად მოვეპყროთ ნივთებს, რომლებიც გვათხოვეს ან გაგვიზიარეს. შეასხენეთ ბავშვებს კითხვა, რომელიც მათ ადრე დაუსვით: *თუ თქვენ გათხოვეს რაიმე ნივთი და თქვენ ის გატეხეთ, როგორ ფიქრობთ, თქვენი მეგობარი რას იგრძნობს?*

ერთ-ერთ ბავშვს სთხოვეთ თვალდახუჭულმა ამოიღოს ყუთიდან ნებისმიერი ნივთი. სხვა ბავშვებთანაც გაიმეორეთ იგივე. შემდეგ მიეცით 10-15 წუთი, რათა ითამაშონ ამ ნივთებით. სთხოვეთ ერთად ითამაშონ და ერთმანეთს გაუზიარონ ნივთები/სათამაშოები.





ზღაპარი „ჭიანჭველა და ჭრიჭინა“

მწვანე მინდორში წხოვრობდნენ ჭიანჭველა და ჭრიჭინა. ჭრიჭინას ძალიან უყვარდა სიმღერა და ხტუნაობა. მას შეეძლო მთელი დღეები მზეზე გაეჭარებინა, ემღერა და ემხიარულა. იგი ზაფხულის დღეებით, ნიავეთ, ყვავილეებისა და ბაღების სურნელოთ ტკბებოდა.

ჭიანჭველასავე უყვარდა სიმღერა და დასვენება, მაგრამ, ამის ნაწევლად, ის მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა, ფერმის მინდორში ხორბლის მარწყვლებს აგროვებდა და ზამთრისთვის ინახავდა.

ყოველ ჯერზე, როდესაც ჭრიჭინა მას უყურებდა, იწინოდა და ეუბნებოდა: „ნამოდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვერ ხედავ, რა მშვენიერი მზიანი დღეა? ნუთუ არ გინდა ჩემთან ერთად დაისვენო, იმღერო და იმხიარულო?“

„ეჰ, სიამოვნებით დავისვენებდი როგორც, მაგრამ მაღლე ზამთარი მოვა და ადვილი არ იქნება საჭმლის პოვნა. ახლა უნდა ვიმუშაოთ, რომ ზამთარი მშვიდად გავატაროთ „ – მიუგებდა ხოლომე და განაგრძობდა მუშაობას.

ჭრიჭინამ მხრებს აიჩეჩავდა და განაგრძობდა მხიარული სიმღერასა და ხტუნას და დიდი ხის ჩრდილში.

მაღლე არივდა, დღეები დღითიდღე უფრო მოკლდებოდა და მოკლდებოდა. მინდვრის ყველა საკვები თეთრი თოვლის სქელი საბნით დაიფარა. ჭრიჭინა წდილობდა ეშოვა რაიმე საკვები, მაგრამ უშედეგოდ.

როდესაც იგი თიქმის შიმშილით კვდებოდა, გადანწყობა ჭიანჭველასათვის მიემართა დახმარებისათვის. მისი სახლისკენ ნავიდა და კარზე დააკაკუნა.

„გამარჯობა, ჭიანჭველა!“ დაუძახა მან. „ჩემო ძვირფასო მეგობარო, ქუჩაში ვიყინები და საჭმელი არაფერი მაქვს. გთხოვთ დამეხმარე, თორემ სირივისა და შიმშილისგან მოკვდები!“

ჭიანჭველმა სევდიანად შეხედა და უთხრა: „ძვირფასო ჭრიჭინავ, რას აკეთებდი ზაფხულში, როდესაც მე ზამთრისთვის საჭმელს ვამზადებდი?“

– „მართალი ხარ, – მორცხვად აღიარა ჭრიჭინამ, – მე ვმღეროდი და ვრეკავდი, ზაფხულით ვტკბებოდი. ვნუხვარ. გპირდები, რომ მომავალ ზაფხულს საჭმელს შევგროვებ და ზამთრისთვის მოვემზადებ. გთხოვ, ამჯერად დამეხმარე, თორემ მოკვდები!“ – ჭიანჭველმა ჭრიჭინას გახედა და გაიღიმა. „რა თქმა უნდა, მე არ დაგტოვებ გარეთ თოვლში. შემოდი სახლში და წურხლოთან დაჯექი. საჭმელსავე მოგვამ“.

„გმადლობთ, მე ვერ ვადავურჩებოდი ამ ზამთარს შენი დახმარების გარეშე. როგორ შემძლია სამაგიეროს გადახდა შენი სიკეთისთვის?“

„უბრალოდ დამპირდი, რომ მომავალ ზაფხულს უფრო ჭკვიანი იქნები. ამ ზამთარს კი შეგიძლია ჩემთვის იმღერო – ერთად უფრო ვიმხიარულდეთ!“



მეცადინეობა 31. „წყალი - ეს ჩვენი რესურსია“

მეცადინეობა 31.

„წყალი - ეს ჩვენი რესურსია“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ წლის დაზოგვის სხვადასხვა ხერხებს
- ისწავლიან როგორ შეუნყონ ხელი წყლის დაზოგვას



უნარები:

- ▶ შემეცნებითი



საჭირო მასალები:

- ▶ ქალაქისგან გამოჭრილი წყლის წვეთები
- ▶ წყლით სავსე ბოთლი
- ▶ ერთჯერადი ქიქები
- ▶ აფლატუნის ვარსკვლავი წყლის ფრთხილი მოხმარებისთვის
- ▶ ნებოვანი ლენტე
- ▶ სურათები, რომელზეც ასახულია წყლის დაზოგვის ხერხები (დაკეტილი ონკანი და წლის გაჟონვის კერების მოწესრიგება (თითო სურათი თითო ბავშვისთვის)
- ▶ საწერი კალმები/ფანქრები



ხანგრძლივობა:

50 წუთი



დღის სიტყვა:

რესურსების ფრთხილი მოხმარება

****სავარჯიშოს დაწყებამდე მოამზადეთ ყუთი განსაკუთრებული საგნებისთვის/სათამაშოებისთვის და დადეთ ოთახის კუთხეში, რათა ბავშვებმა შეძლონ მასში თავიანთი ნივთების მოთავსება მეცადინეობის მიმდინარეობისას.*

შეასაჯალი:

10 წუთი

ქალაქისგან გამოჭრილი წყლის წვეთები წინასწარ მიმოფანტეთ იატაკზე. უთხარით ბავშვებს, რომ ვიდაცამ ოთახში ძალიან ბევრი წყალი დაასხა და ჩვენს აფლატუნს არ მოსწონს წყლის ასეთი ხარჯვა. ხაზი გაუსვით, რომ წყალი - ეს არის მნიშვნელოვანი რესურსი და რომ ისინი ბევრ რამეს გაიგებენ მის შესახებ დღევანდელი მეცადინეობის დროს.

სთხოვეთ ბავშვებს დაეხმარონ აფლატუნს შეაგროვოს ყველა წვეთი, რასაც ოთახში იპოვიან. ბავშვი,

რომელიც ყველაზე მეტ წვეთს შეაგროვებს, მიიღებს სპეციალურ პრიზს.

როგორც კი ბავშვები შეაგროვებენ ყველა წყლის წვეთს, დათვალეთ ვის რამდენი წვეთი აქვს. დააჯილდოვეთ გამარჯვებული აფლატუნის ვარსკვლავით წყლისადმი ფრთხილი დამოკიდებულებისათვის. ვარსკვლავი მიუმაგრეთ ბავშვს ტანსაცმელზე.



მეცადინეობა 31. „წყალი - ეს ჩვენი რესურსია“

ძირითადი ნაწილი: 20 წუთი

ბავშვებს ჰკითხეთ ხომ არ სწყურიათ? ცოტა წყალი არ აწყენდათ ამდენი სირბილის შემდეგ. შესთავაზეთ ბავშვებს თითო ჭიქა წყალი და ჰკითხეთ რას გრძნობენ მას შემდეგ, რაც წყალი დალიეს.

შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს:

- გახსოვთ, როცა ბუნებაში ვსეირნობდით და ხეს ვათვალიერებდით?
- რა გახსოვთ ხეზე?
- გახსოვთ თუ არა ყველა მსგავსება, რაც აღმოვაჩინეთ ადამიანსა და ხეს შორის? (ფეხები, როგორც ფესვები, ხელები, როგორც ტოტები და ა.შ.)
- შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ სხვა მსგავსება?
- გახსოვთ ხეები როგორ სვამენ?
- რას სვამენ ისინი?
- მიუთითეთ მსგავსებაზე ბავშვებს, რომლებმაც ბევრი ირბინეს და წყალი მოუნდათ და ხეებს შორის, რომლებსაც ასევე უნდათ წყალი.
- შეგიძლიათ ახნათ თუ რატომ უნდა მოვრწყათ ხეები?
- როცა თქვენ არ რწყავთ მცენარეებს, იცით ისინი როგორ იღებენ წყალს?
- რა ხდება როცა მცენარეები ღებულობენ წყალს?
- ცხოველებზე რას იტყვიან? იცით თუ არა რა ემართებათ მათ თუ წყალს არ ღებულობენ?
- რა მოხდება, თუ წყალი არ გვექნება?

დაეხმარეთ ბავშვებს სურათის გამოყენებით, სადაც ნაჩვენებია წყლის ცირკულაცია ბუნებაში. აუხენით, რომ წყალი მნიშვნელოვანია ყველა ცოცხალი არსებისთვის: ხეებისთვის, ცხოველებისთვის, ჩვენთვის. უთხარით, რომ ჩვენც აფლატუნივით ფრთხილად უნდა მოვეპყროთ წყალს.

უკუკავშირი:

20 წუთი

შემოიტანეთ რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ცნება. აუხენით ბავშვებს, რომ უნდა მოვეფრთხილდეთ სხვადასხვა რესურსებს - წყალს, ხეებს, ფულს და ა.შ.

- კიდევ რას უნდა მოვეფრთხილდეთ?
- გახსოვთ ზღაპარი ჭიანჭველაზე და ჭრიჭინაზე? რას აკეთებდა ჭიანჭველა? რას იმარაგებდა ზამთრისთვის?
- ჭრიჭინა იმარაგებდა რესურსებს?
- როგორ ფიქრობთ წყლის დაზოგვის რა ხერხები არსებობს?

დაეხმარეთ ბავშვებს მათ განსაზღვრაში, რისთვისაც შესთავაზეთ შემდეგ ხერხებს: ფრთხილად დავასხათ წყალი ჭიქაში, ისე, რომ არ დავასხათ ან მოვიხმაროთ წყლის იმდენი რაოდენობა დღის განმავლობაში, რაც აუცილებელია, ზედმეტი ხარჯვის გარეშე.

ბავშვებს აჩვენეთ წყლის დაზოგვის ორი ხერხი, რომელსაც აფლატუნი იყენებს: აფლატუნი კეტავს ონკანს და აკეთებს გაფუჭებულ მილს, საიდანაც წყალი ჟონავს. უთხარით, რომ ჩვენი კარგი აფლატუნი ყოველთვის კეტავს ონკანს ხელების

მეცადინეობა 31. „წყალი - ეს ჩვენი რესურსია“

დაბანის შემდეგ, რადგან ზედმეტი გადინების თავიდან აცილებით ჩვენ შევძლებთ ბევრი წყლის დაზოგვას, რითაც ძალიან დავებმარებით ჩვენ პლანეტას. ასევე თუ აფლატუნი შენიშნავს, რომ სადმე წყალი ჟონავს, ის აუცილებლად ატყობინებს უფროსებს, რათა მათ შეაკეთონ. ესეც ასევე გვეხმარება ბევრი წყალი დავზოგოთ ჩვენი პლანეტისთვის. ჰკითხეთ ბავშვებს მზად არიან თუ არა დაეხმარონ აფლატუნს წყლის დაზოგვაში. თუ მზად არიან, რა მეთოდს გამოიყენებენ ისინი ამისთვის:

მათ სურთ რომ დაეხმარონ ონკანების დაკეთვაში მას შემდეგ, რაც დაიბანენ ხელ-პირს ან გაიხეხავენ კბილებს? თუ ისინი მზად არიან უთხრან უფროსებს მიღების და ონკანების შესახებ, საიდანაც წყალი ჟონავს?

დაყავით ჭგუფი ორად და თითოეულ ბავშვს სთხოვეთ აიღონ ნახატი, რომელიც ემთხვევა მათ მიერ არჩეულ დაზოგვის მეთოდს. უთხარით, რომ ეს ნახატი უნდა წაიღონ სახლში და გააფერადონ მშობლებთან ერთად.


****გაითვალისწინეთ, რომ ეს აქტივობა შეიძლება განმეორდეს სხვა სახის რესურსების განხილვისას. მაგალითად, თუ გსურთ ხეებზე ზრუნვის თემა განიხილოთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ გაკვეთილის იგივე სტრუქტურა და შეცვალოთ წვეთები ფოთლებით.*



საპარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ ბავშვებს, სახლში წაიღონ წყლის დაზოგვის ამსახველი სურათები, რათა აჩვენონ მშობლებს. უთხარით, რომ მშობლებთან ერთად გააფერადონ და აუხსნან მშობლებს, თუ როგორ დაზოგავენ წყალს ამიერიდან.

სთხოვეთ ბავშვებს, ნახატები ისევ მოიტანონ და მოათავსონ ყუთში „მოგზაურობა აფლატუნთან ერთად“. მოამზადეთ წერილი მშობლებისთვის ქვემოთ მოცემული ნიმუშის გამოყენებით.



მეცადინეობა 31. „წყალი - ეს ჩვენი რესურსია“


წერილის ნიმუში:


ძვირფასო _____

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ბუნებრივ რესურსებზე და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი ჩვენს ცხოვრებაში. კერძოდ, ვისაუბრეთ წყლის დაზოგვაზე. ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი პლანეტა უკეთეს ადგილად ვაქციოთ და თითოეულმა ბავშვმა აირჩია წყლის დაზოგვის საკუთარი მეთოდი. სთხოვეთ თქვენ შვილს, გაჩვენოთ ნახატი, რომელიც მან ბალიდან მოიტანა, თუ როგორ ზოგავს აფლატუნის წყალს. იგი იწვევს თქვენს შვილს შეუერთდეს ამ კეთილშობილურ საქმეში. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენ შვილს გააძლიეროთ მასში წყლის დაზოგვის საჭიროების კონცეფცია ნახატის ერთად გაფერადებით და იმით, რომ სთხოვთ აგიხსნათ წყლის დაზოგვის რომელი მეთოდი აირჩია მან და როგორ განახორციელებს ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შეახსენეთ თქვენს შვილს, რომ არ დაავინწყდეს შემდეგ მეცადინეობაზე გაფერადებული ნახატის მოტანა, რომელიც ასახავს თუ როგორ უნდა დაზოგოს წყალი შემდეგი საქმიანობისთვის!

პატივისცემით, _____





მეცადინეობა 32. „საიდან მოდის ფული?“

მეცადინეობა 32.

„საიდან მოდის ფული?“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან და გაიგებენ საიდან მოდის ფული
- გაეცნობიან ბანკების/ფინანსური ორგანიზაციების ზოგიერთ ფუნქციას
- ისწავლიან ფულის საიმედო ადგილას შენახვას

უნარები:

- ▶ შემეცნებითი

საჭირო მასალები:

- ▶ ქაღალდის სუფთა ფურცლები დამატებითი აფლატუნის მონეტების დასამზადებლად
- ▶ მაკრატლები
- ▶ სანერკალმები
- ▶ ქაღალდის ზოლები
- ▶ პატარა ყუთი ფულის ჩასადებად
- ▶ ბლოკნოტი
- ▶ აფლატუნის მონეტები (1 აფლატუნის, 2 აფლატუნის, 3 აფლატუნის და ა.შ. რომელიც დაამზადეს მეცადინეობაზე „ზღაპარი მონეტაზე“)
- ▶ ფოტოები / სურათები, სადაც ჩანს, თუ საიდან ვიღებთ ფულს (ბანკი, ზარაფხანა, უფროსები სამსახურში, მშობლები/უფროსები გვაძლევენ ფულს)
- ▶ შემოგარენის მაკეტი, რომელიც დაამზადეს 22-ე მეცადინეობაზე ან (პატარა ყუთისგან დამზადებული ადგილობრივი ბანკის მოდელი)

ხანგრძლივობა:

- ▶ 35 წუთი

***გაკვეთილის დაწყებამდე მოამზადეთ აფლატუნის რამდენიმე მონეტა, რომ ბავშვებს გადასცეთ პრიზის სახით სესიის ძირითად ნაწილში განხორციელებული „მუშაობისთვის“. შეგიძლიათ დამატებითი მონეტების წინასწარ მომზადება რათა გამოიყენოთ შემდეგ მეცადინეობებზე (34,35,37 და 39). მოამზადეთ შემოგარენის მაკეტი, რომელიც დაამზადეთ 22-ე გაკვეთილზე. თუ ვერ მოახერხებთ მისი შენახვა, მაშინ დაამზადეთ ადგილობრივი ბანკის მაკეტი პატარა ყუთის გამოყენებით.

შესავალი:

10 წუთი

განათავსეთ ბავშვები წრეში. აჩვენეთ მათ მონეტები, რომლებიც გამოიყენეთ 29-ე მეცადინეობაზე „ზღაპარი მონეტაზე“ ჰკითხეთ მათ:

- როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის წყალი?
- როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის სათამაშოები?
- როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის ტანსაცმელი?
- როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის ფული?

შეეცადეთ წარმართოთ დისკუსია ისეთი სიტყვების გამოყენებით, როგორიცაა ქარხანა, ბანკი, ჩვენი მშობლები, სამუშაო.

ძირითადი ნაწილი:

20 წუთი

აჩვენეთ ბავშვებს სურათები, თუ საიდან ვიღებთ ფულს. გაშალეთ ისინი იატაკზე. აუხსენით ბავშვებს, რომ დაუსვამთ შეკითხვებს და მათ უნდა დააბიჯონ სწორი პასუხის შესაბამის სურათს. უთხარით, რომ პირველი ვინც იპოვის სწორ პასუხს / სურათს, მოიგებს აფლატუნის ერთ მონეტას.

მეცადინეობა 32. „საიდან მოდის ფული?“

დასვით კითხვები:

- რომელი ფოტო / სურათი გვაჩვენებს როგორ ხდება ფულის გამომუშავება? (ზრდასრულები სამსახურში)
- რომელ ფოტოზე / სურათზე ჩანს უსაფრთხო ადგილი ფულის შესანახად? (ბანკი)
- რომელ ფოტოზე / სურათზე ჩანს სად ხდება ფულის წარმოება? (ზარაფხანა)
- რომელ ფოტოზე / სურათზე ჩანს როგორ ხდება ფულის გაზიარება? (მშობლები / მოზარდები აძლევენ ფულს)

ჰკითხეთ ბავშვებს:

- ოდესმე ნამყოფი ხართ ბანკში / ფინანსურ დაწესებულებაში?
- რა ნახეთ იქ?
- რას აკეთებდნენ იქ ადამიანები?
- როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთეს ეს?

განამტკიცე ახალი ცოდნა თითოეული სურათის ახსნა-განმარტებებით:

- **ზარაფხანა** არის ქალაქის ბანკოტებისა და მონეტების წარმოების ადგილი.
- **ბანკი** უსაფრთხო ადგილია, სადაც ფულს ვდებთ მის შესანახად. (თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ სიტყვა “ბანკი” იმ ფინანსური ინსტიტუტების სპეციფიკური დასახელებით, რომლებიც თქვენს ტერიტორიაზეა წარმოდგენილი)
- **სამუშაო** არის ადგილი, სადაც მოზარდები ფულს შოულობენ სხვადასხვა დავალების შესრულებით.

- **მშობლები / უფროსები** არიან მოზრდილები, რომლებიც ბავშვებს ფულს აძლევენ საჩუქრის სახით ან როგორც ჯიბის ფულს.

გაითამაშეთ სცენა “ბანკში”. განათავსეთ ბანკის მაკეტი (შემოგარენის განლაგებიდან ან ის, რაც მოამზადეთ გაკვეთილის დაწყებამდე) მაგიდაზე. ქალაქის ზოლზე დაწერეთ ბანკის სახელი ან დახაზეთ სიმბოლო და მიამაგრეთ იგი ყუთის ზედა ნაწილზე. მაგიდაზე დადეთ რეკვიზიტები - რვეული, კალმები, პატარა ყუთი ფულისთვის. რომელიმე ბავშვი მაგიდასთან დასვით მოლარესავით. სხვა ბავშვებს მიანიჭეთ შემდეგი როლები: მუშები, რომლებიც თავიანთ საქმეს ასრულებენ, დამსაქმებლები, რომლებიც ანაზღაურებენ ხელფასს გაწეული მუშაობისთვის და ოჯახის წევრები (მაგ.: დედა, მამა, ბებია და ბაბუა, ბავშვები). მიეცით ბავშვებს აფლატუნის მონეტები, რომლებიც მეცადინეობის დაწყებამდე მოამზადეთ. იფიქრეთ რამდენიმე განსხვავებულ სიტუაციაზე, რომლითაც ბავშვები გაითამაშებენ. მაგალითად: მუშები სახლს აშენებენ. როდესაც დამსაქმებელი ფულს გადაუხის, მათ უნდა გადაწყვიტონ, რამდენს ჩადებენ ბანკში და რამდენს მისცემენ შვილებს. ამის შემდეგ ბავშვებს უთხარით, რომ შენობა ჩამოინგრა და მუშებს სურთ ბანკიდან თანხის აღება მის აღსადგენად. თუ მუშებმა ყველა ფული მისცეს ბავშვებს და ბანკში ფული არ არის - გამოიყენეთ ეს სიტუაცია განსახილველად.


მეცადინეობა 32. „საიდან მოდის ფული?“

უკუკავშირი:

ბავშვებმა მესხიერებაში რომ აღიდგინონ განვლილი მასალა, ჰკითხეთ:

- საიდან მოდის ფული?
- თქვენს სათამაშოებს ცალკე ადგილი აქვთ, სადაც ინახავთ მათ? არსებობს უსაფრთხო ადგილი ფულის შესანახად?
- საიდან იღებენ ფულს უფროსები?
- ვინ გაძღვეთ ფულს?

5 წუთი



დამატებითი სავარჯიშო:

მოამზადეთ დავალებების მარტივი სია. თითოეული შესრულებული დავალებისთვის მიეცით 1 აფლატუნის მონეტა. სთხოვეთ ბავშვებს თავიანთი მონეტები ჩააგდონ აფლატუნის ყულაბაში.

მეცადინეობა 33. „როგორ ვატარებ დროს“

მეცადინეობა 33. „როგორ ვატარებ დროს“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- გაიგებენ „ყოველდღიური ცხოვრების“ მნიშვნელობას
- გაერკვევიან როგორ დახარჯონ დრო დღის განმავლობაში და როგორ გააკეთონ არჩევანი



უნარები:

- ▶ კოგნიტური



საჭირო მასალები:

- ▶ სანერკალმები
- ▶ სურათები მომლიმარი და მოწყენილი სახით
- ▶ სამ ნაწილად გაყოფილი (პირველს აწერია დილა, მეორეს - შუადღე და მესამეს საღამო/ღამე) ქალაქის ფურცლები მონაწილეების რაოდენობის შესაბამისად
- ▶ ზღაპარი: ერთი დღე აფლატუნისა და მისი მეგობრების ცხოვრებიდან



ხანგრძლივობა:

60 წუთი

შესავალი:

კითხეთ ბავშვებს:

- რას აკეთებთ დილით როცა დგებით? (დაეხმარეთ მათ და მიაწოდეთ ვარიანტები: ვიხეხავ კბილებს, ვიცმევ, ვსაუზმობ და ა.შ)
- რას აკეთებთ შუადღეს?
- რას აკეთებთ საღამოს?

10 წუთი

თხოვეთ გაითამაშონ ყველა ის ქმედება, რომელსაც დაასახელებენ. აუხსენით ბავშვებს, რომ ყველა იმ ქმედებას, რომელსაც ყოველდღე ვაკეთებთ, სჭირდება დრო.

ძირითადი ნაწილი:

30 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და წაუკითხეთ ზღაპარი „ერთი დღე აფლატუნისა და მისი მეგობრების ცხოვრებიდან“. როცა მორჩებით კითხვას ოთახის ერთ კუთხეში ჩამოკიდეთ სურათი მომლიმარი სახით და მეორე კუთხეში სურათი მოწყენილი სახით. ამის შემდეგ აუხსენით ბავშვებს, რომ თქვენ წაიკითხავთ წინადადებებს და თუკი ეთანხმებიან მოსაზრებას, მიდიან და დგებიან მომლიმარი სახის სურათთან და თუ არ ეთანხმებიან, დგებიან მოწყენილი სახის სურათთან.

- აფლატუნს დილით არ უნდა დაეძინა, ადრე ამდგარიყო და მეგობრებთან მისულიყო
- აფლატუნი მარტო უნდა თამაშობდეს და არა მეგობრებთან ერთად
- აფლატუნმა დახმარება უნდა გაუწიოს მეგობრებს საჭიროების შემთხვევაში
- აფლატუნი სახლში უნდა იჯდეს და არაფერი გააკეთოს
- აჭობებდა აფლატუნს ნაყინი ეყიდა, ვიდრე პური
- აფლატუნი მეგობრებთან ერთად უნდა წავიდეს სკოლაში
- აფლატუნი არ უნდა დაეხმაროს დედას სახლის საქმეებში

მეცადინეობა 33. „როგორ ვატარებ დროს“

აუხსენით ბავშვებს, რომ დრო ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ, როგორ ვმართოთ ჩვენი დრო. ყოველდღე ვფიქრობთ იმაზე, დრო გავატაროთ მეგობრებთან ერთად თუ ვითამაშოთ, დავეხმაროთ ჩვენს ოჯახს სახლის საქმეებში თუ ვითამაშოთ.

უკუკავშირი:

20 წუთი

მიეცით თითოეულ ბავშვს ფურცელი, რომელიც დაყოფილია სამ ნაწილად. თუ უფროსებთან მუშაობთ შეგიძლიათ დაყოთ 5 ნაწილად. თითოეულმა ჩახატოს რას აკეთებენ ისინი მთელი დღის განმავლობაში-გაღვიძებიდან დაძინებამდე. ამის შესრულებით მივიღებთ ნახატს „როგორ ვატარებ დღეს“. თუკი დრო გექნებათ, ბავშვებმა მორიგეობით წარმოადგინონ თავიანთი ნახატები. შემდეგ მოაწერონ ხელი ნახატს (დაეხმარეთ ამაში) და ჩადონ აფლატუნის სამოგზაურო ყუთში, ხოლო შემდეგ იმღერეთ აფლატუნის სიმღერა.



საკარჯიშო ოჯახთან ერთად:

თითოეულ ბავშვს დაურიგეთ ზღაპრის „კუ და ბაჭია“ ქსეროასლი, რომ სახლში მშობლებთან წაიკითხონ და იმსჯელონ კურდღლის დაძინება რატომ იყო არასწორი. შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ნიმუში.


წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ ვაკეთებთ სწორ და არასწორ არჩევანს ჩვენი დროის დაგეგმვისას. გინდათ თქვენი შვილი უკეთ გაერკვეს ამ საკითხში?

ჩვენ ბავშვებს დაურიგეთ ზღაპრის „კუ და ბაჭია“. თხოვეთ რომ მოგცენ ზღაპარი და წაიკითხეთ ის თქვენ შვილთან ერთად. წაკითხვის შემდეგ განიხილეთ, რატომ იყო არასწორი კურდღლის გადაწყვეტილება ძილის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ მოგეწონებათ ზღაპარი.

პატივისცემით _____



მეცადინეობა 34. „1,2,3... აფლატუნის მონეტები“



მეცადინეობა 34. „1,2,3... აფლატუნის მონეტები“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები გაიგებენ, რომ ფულს აქვს სხვადასხვა ღირებულება



უნარები:

▶ კოგნიტური



საჭირო მასალები:

▶ აფლატუნის მონეტები, რომლებიც 32-ე მეცადინეობაზე დაამზადეთ
▶ პლაკატი



ხანგრძლივობა:

▶ 20 წუთი

მეცადინეობის დაწყების წინ დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი რაოდენობის აფლატუნის მონეტები. დამალეთ მონეტები სხვადასხვა ადგილას (ისე, რომ ბავშვებმა ადვილად შეძლონ მისი პოვნა). კლასის კუთხეებში განათავსეთ სხვადასხვა მნიშვნელობის მონეტების პლაკატები (დარწმუნდით, რომ ბავშვებს შეუძლიათ ნახონ სურათებზე მოცემული ციფრები).

შესავალი:

20 წუთი

დასვით ბავშვები წრეში. აჩვენეთ მათ სხვადასხვა აფლატუნის მონეტები. შეახსენეთ რომ მონეტებს აქვს სხვადასხვა ღირებულება.

ხელში აიღეთ მონეტები - 1 აფლატუნიკო, 2 აფლატუნიკო და 3 აფლატუნიკო. ჰკითხეთ ბავშვებს: რამდენი მონეტა 1 აფლატუნიკო გვჭირდება რომ მივიღოთ 3 აფლატუნიკო. იგივე გააკეთეთ სხვა მონეტებზეც. ორჯერ დაუსვით კითხვა, რომ დარწმუნდეთ მათთვის გასაგებია ის, რასაც ეუბნებით. უთხარით ბავშვებს, რომ გინდათ ითამაშოთ თამაში „ნადირობა მონეტებზე“. უთხარით რომ დამალეთ ოთახში მონეტები და მათ უნდა მოძებნონ.

- უთხარით ბავშვებს, რომ სამამდე
- დათვლისთანავე დაიწყონ მონეტების მოძებნა. უთხარით, რომ მათ 5 წუთი
- აქვთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი მონეტა იპოვონ. როდესაც დრო ამოიწურება, სთხოვეთ ბავშვებს, დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს.
- გაყავით ბავშვები ხუთ ჯგუფად.
- თითოეული ჯგუფის წევრებმა უნდა გაარკვიონ:
 - ვის აქვს ყველაზე მეტი მონეტა
 - ვის აქვს ყველაზე ნაკლები
 - ვის აქვს იგივე თანხა
- სთხოვეთ ბავშვებს დაითვალონ, რამდენი მონეტა შეაგროვა თითოეულმა ჯგუფმა.
- თუ პატარებთან მუშაობთ, დაეხმარეთ მათ დათვლაში.
- **ძირითადი ნაწილი: 20 წუთი**
- შეაგროვეთ მონეტები ყველა ჯგუფიდან და სთხოვეთ ბავშვებს, დაეხმარონ დათვლაში. შეახსენეთ, რომ სხვადასხვა მონეტებს განსხვავებული ღირებულება აქვთ.
- აჩვენეთ ბავშვებს მონეტა და ჰკითხეთ, რა ღირებულება აქვს მას: მეტი თუ ნაკლები სხვა მონეტასთან შედარებით.
- მაგალითად:

მეცადინეობა 34. „1,2,3... აფლატუნის მონეტები“

ეს 3 აფლატუნის მონეტა 1 აფლატუნის მონეტაზე მეტია თუ ნაკლები?

რამდენი 1 აფლატუნის მონეტა მჭირდება 2 აფლატუნის მისაღებად?

ბავშვები ჭგუფებად დაყავით და თითოეულს დაურიგეთ მონეტა. დარწმუნდით, რომ სხვადასხვა ღირებულების მონეტებს მისცემთ (მაგალითად, 1/2/3 აფლატუნის).

აუხსენით, რომ ახლა ერთად ითამაშებთ თამაშს „ფასეულობები“. აჩვენეთ ბავშვებს ოთახში სხვადასხვა ღირებულების მონეტების პლაკატები. სთხოვეთ ბავშვებს, კარგად დააკვირდნენ მათ მიერ მოპოვებულ მონეტებს, გადავიდნენ პლაკატებზე და იპოვონ მონეტის შესატყვისი სურათი.

როდესაც ბავშვები დადგებიან შესაბამის მონეტის აფიშასთან, უთხარით რიგრიგობით დაასახელონ თავიანთი მონეტის ღირებულება, მაგალითად:

ჩვენ ვართ 1 აფლატუნის!

ჩვენ ვართ 3 აფლატუნის! და ა.შ.

დამატებითი მეცადინეობა უფროსი ბავშვებისთვის:

სთხოვეთ ბავშვებს, ყურადღება მიაქციონ 1 აფლატუნის მონეტას, რადგან მათ განსაკუთრებული დავალება აქვთ. ამ მონეტებიდან 2 ასეთი მონეტის დახმარებით შეგვიძლია შევცვალოთ 2 აფლატუნის, ხოლო 3 – ით - 3 აფლატუნის. დარწმუნდით, რომ ბავშვებს ესმით, რომ მონეტებს განსხვავებული ნომინალი და განსხვავებული ღირებულება აქვთ.

დაურიგეთ ბავშვებს მონეტები 3 აფლატუნის და 1 აფლანტუნის. თხოვეთ რომ 3 აფლატუნის ირგვლივ დადგეს 3 ბავშვი რომელსაც აქვს 1 აფლატუნის მონეტები. დავალების შესრულების დაწყებისას დაეხმარეთ რომ სწორად დადგნენ და შუაში იყოს 3 აფლატუნის მონეტის ბავშვი და ირგვლის იდგეს სამი ბავშვი 1 აფლატუნისით.

იგივე გააკეთეთ 2 აფლატუნის მონეტებითაც. თუკი საკმარისი ბავშვი არ არის 1 აფლატუნისით, მაშინ შეგიძლიათ შექმნათ სხვა ჭგუფი, მაგალითად 1 აფლატუნისით და 2 აფლატუნისით შექმნით 3 აფლატუნის.

უკუკავშირი:

20 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და და თხოვეთ ხელში დაიკავონ აფლატუნის მონეტები, რომლებიც თქვენ მიეცით.

როგორც კი ბავშვები თვლას ისწავლიან, სთხოვეთ მათ, რომლებსაც 3 აფლატუნის აქვთ ხელში, ადგნენ და ხმამაღლა დაიძახონ „სამი მონეტა“, როდესაც ლექსში იტყვიან 3-ს. კიდევ ერთხელ გაიმეორეთ რითმა, ამჯერად სთხოვეთ ბავშვებს, რომლებსაც აქვთ 2 მონეტა, დაძახონ სიტყვები „ორი მონეტა“. კიდევ ერთხელ გააკეთეთ ეს, ამჯერად 1 აფლატუნის მონეტით. მეცადინეობის დასრულების შემდეგ თხოვეთ ბავშვებს დაგიბრუნონ მონეტები და აუხსენით, რომ ის კიდევ დაგჭირდებათ სხვა მეცადინეობებზე. (მეცადინეობები 35, 37 და 39)

მეცადინეობა 35. „რისი ყიდვა შეიძლება აფლატუნის მონეტით“

მეცადინეობა 35. „რისი ყიდვა შეიძლება აფლატუნის მონეტით“

მეცადინეობის მიზანი:

ბავშვები რომ ფულს იყენებენ ისეთი ნივთების შესაძენად, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც ჩვენს მოთხოვნებს, ასევე ჩვენს სურვილებს.



უნარები:

▶ კოგნიტური



საჭირო მასალები:

- ▶ სხვადასხვა დასახელების აფლატონის მონეტები, რომელიც დამზადებულია 32-ე მეცადინეობაზე
- ▶ ცარიელი ფურცლები
- ▶ ჩანთები/კალათები
- ▶ გასაყიდი პროდუქტები 24 გაკვეთილიდან შექმენით თქვენი საკუთარი მინიმარკეტი (თუ ეს შესაძლებელია) ან ახალი პროდუქტები/ჟურნალიდან ამოჭრილი პროდუქციის სურათებით.
- ▶ კალმები/ფანქრები



ხანგრძლივობა:

15 წუთი

მეცადინეობის დაწყებამდე მოამზადეთ აფლატუნის მონეტები, რომელიც 32 მეცადინეობაზე დაამზადეთ. თუ არაა საკმარისი მაშინ დაამზადეთ. ასევე წინასწარ მოამზადეთ პროდუქტები, რომელიც გამოიყენეთ 24 მეცადინეობაზე. შეძლებისამებრ შექმენით მინიმარკეტი, ჟურნალებიდან ამოჭრილი პროდუქტებით. რამოდენიმე მონეტა დამალეთ ოთახში ისე, რომ ბავშვებმა ადვილად იპოვონ. ყველა პროდუქტი შეაფასეთ მონეტებით, რათა ბავშვებმა ისინი შეიძინონ. დარწმუნდით რომ საკმარისი რაოდენობის მონეტები გაქვთ, რადგანაც შესაძლოა ბავშვებმა ვერ იპოვონ დამალული მონეტები.

შესავალი:

უთხარით ბავშვებს, რომ ისევ ითამაშებთ თამაშს „ნადირობა მონეტებზე“. მათ უნდა იპოვონ დამალული მონეტები. როცა მორჩებიან დაითვალეთ ნაპოვნი მონეტები. თხოვეთ ყველამ მორიგეობით გითხრან რამდენი მონეტა იპოვეს, თუ ვერ დაითვალეს

5 წუთი

- უთხარით გაჩვენონ და თქვენ დაეხმარეთ დათვლაში.

ძირითადი ნაწილი: 30 წუთი

- თითოეულ ბავშვს მიეცით გარკვეული რაოდენობის მონეტები. აჩვენეთ მათ მინი მარკეტი და გაამახვილეთ ყურადღება ფასებზე. უთხარით, რომ მათ უნდა შეიძინონ პროდუქტები, მაგრამ თავიდან კარგად უნდა მოისმინონ რა უნდა შეიძინონ. ორი ბავშვი დანიშნედ გამყიდველად და თხოვეთ დადგნენ დახლთან. უთხარით ყველას რომ ისინი ითამაშებენ თამაშს „მე ვხედავ იმას რასაც თქვენ ვერ ხედავთ“. აუხსენით თამაშის წესები: მე წავიკითხავ წინადადებას და ჭკუფის ერთი წარმომადგენელი გადაწყვეტს რა პროდუქტზეა ლაპარაკი წინადადებაში, ხოლო შემდეგ შეიძენს ამ პროდუქტს თავისი მონეტებით. ბავშვები პროდუქტებს ყიდულობენ მორიგეობით, თქვენ კი სურვილისამებრ წერთ ქულებს სწორად შეძენილ პროდუქტებზე. დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად და ორივე ჯგუფს მიეცით კალათა/ჩანთა, რომ იქ ჩადონ შეძენილი პროდუქტები.

მეცადინეობა 35. „რისი ყიდვა შეიძლება აფლატუნის მოწიბით“

შეადგინეთ წინადადებები იმ პროდუქტების გათვალისწინებით, რომლებიც გაქვთ მინი მარკეტში. მაგალითად:

- მე ვხედავ იმას, რასაც თქვენ ვერ ხედავთ და ეს არის რაღაც მრგვალი და წითელი.
- მე ვხედავ იმას, რასაც თქვენ ვერ ხედავთ და ეს არის ის რაც შეიძლება დალიო
- მე ვხედავ იმას, რასაც თქვენ ვერ ხედავთ და ეს არის მწვანე

ყოველი შესყიდვის შემდეგ ბავშვებმა გადაითვალონ თავიანთი მონეტები, რათა იცოდნენ რამდენი დარჩათ. საჭიროების შემთხვევაში თამაშის დაწყებამდე გაავარჯიშეთ.

უფროს ბავშვებს შეიძლება აყიდინოთ პროდუქტი, რაზეც არ ყოფნით ფული. რათა მათ იფიქრონ ალტერნატივაზე როგორ შეიძინონ პროდუქტი. (მაგალითად გაააერთიანონ თავიანთი მონეტა და მეგობრის მონეტა და სხვა). ასევე გაათამაშებინეთ სიტუაცია, როცა საჭიროა გამყიდველმა დაბრუნოს ხურდა. გაათამაშებინეთ სხვადასხვა სიტუაცია, რომ გაეცნონ მონეტის კუპირებს.

როცა გაიყიდება ყველა პროდუქტი, თხოვეთ ბავშვებს გაჩვენონ თავიანთი ნავაჭრი. კითხეთ მათ შეიძინეს თუ არა ისეთი რამ, რომელიც არ წარმოადგენს „საჭიროებას“. ყველამ გაჩვენოთ რამდენი მონეტა დარჩათ ვაჭრობის შემდეგ.

უკუკავშირი:

15 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს, რომ ჩვენ ვიყენებთ მონეტებს, რომ ვიყიდოთ ის რაც გვჭირდება, მაგალითად, საჭმელი და ტანსაცმელი, ასევე ვყიდულობთ იმას რაც გვინდა, მაგალითად, მოკოლადი და კანფეტი.

- აუხსენით მათ, რომ ფული ეს არის რესურსი და სანამ მივიღებთ გადაწყვეტილებას რა ვიყიდოთ კარგად უნდა დავფიქრდეთ.
- შეადარე ეს მასალა 31 მეცადინეობას: წყალი -ჩვენი რესურსია.
- აუხსენით, რომ როგორც წყალს ისევე ფულსაც სჭირდება ეკონომია, ამიტომაც უნდა მოვიფიქროთ ეს როგორ გავაკეთოთ.
- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი დავხარჯოთ იმაზე რაც გვინდა, ასევე ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ფულის გონივრულად ხარჯვაზე.
- ჩვენ უნდა ვისწავლოთ არჩევანის გაკეთება იმაზე რა გვჭირდება და როგორ გონივრულად დავხარჯოთ ფული.
- ყველა ბავშვს დაურიგეთ ფურცელი და თხოვეთ დახატონ ის რისი ყიდვაც უნდათ აფლატუნის იმ მონეტებით რომელიც დარჩათ. თუ ყველა დახარჯეს მაშინ უთხარით დახატონ ის რაც იყიდეს მარკეტში.
- მეცადინეობის დასრულების შემდეგ მოაწერენ ხელს ნამუშევარს და ჩადებენ აფლატუნის ყუთში.



მეცადინეობა 36. ზღაპარი „წერო და მისი მეგობრები“



მეცადინეობა 36. ზღაპარი „წერო და მისი მეგობრები“

მეცადინეობის მიზანი:

ბავშვები გაიგებენ რომ ქურდობა ცუდია, ისწავლიან დააფასონ რესურსები, რომელიც სხვის მიერაა გამოიმუშავებული. გაიგებენ, რომ მნიშვნელოვანია იმეგობრონ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ მასზე.



უნარები:

- ▶ კოგნიტური
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ სურათი თეთრი წეროს გამოსახულებით
- ▶ ზღაპარი: „თეთრი წერო და მისი მეგობრები“ (161გვ)
- ▶ ფურცლები
- ▶ კალამი/ფანქრები



ხანგრძლივობა: 15 წუთი

აჩვენეთ ბავშვებს წეროს სურათი და კითხეთ: ვის ხედავთ? რას იტყვით მის ნისკარტზე? მის ფრთაზე? რა ფერია ის?

მოუყევით ბავშვებს, რომ ამ ფრინველს ქვია წერო და როგორც სხვა ფრინველები, ასევე წეროებიც დაფრინავენ ფრთებით. გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ წეროებს უყვართ წყალში ყვინთვა თევზის დასაჭერად და ზოგჯერ როცა ჩაყვინთავენ გამოცემენ ხმას „უ-უუხ“. თხოვეთ ბავშვებს დადგინონ გვერდიგვერდ და წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან წეროები, რომლებიც ცდილობენ თევზის დაჭერას.

ბავშვებს უჩვენეთ როგორ გააკეთონ ხელები თითქოს ფრთებია და როგორ გამოსცენ ხმა. შემდეგ თხოვეთ დაუბრუნდნენ თავიანადგილებს და მოუსმინონ ზღაპარს თეთრ წეროზე.

ძირითადი ნაწილი: 35 წუთი

ნაიკითხეთ ზღაპარი „თეთრი წერო და მისი მეგობრები“. კითხვის პარალელურად აუხსენით ბავშვებს რომ

„მოპარვა“ ნიშნავს აიღოთ ნებათვის გარეშე, რაც თქვენ არ გეკუთვნით.

კითხვის დასრულების შემდეგ კითხეთ ბავშვებს:

- რას ნიშნავს „მოიპარო“?
- რატომ განაწყენდა შავკისრიანი წერო (როცა თეთრმა წერომ მას თევზი მოპარა)?
- როგორ ფიქრობთ, შეიძლება მოპარო სხვას?
- მოგეწონებათ ვინმემ მოგპაროს ის რაც შენ გამოიმუშავე?
- რას ფიქრობთ წითელკისრიანი წეროზე? როგორ ფიქრობთ, ისინი არიან კარგი მეგობრები როცა თეთრ წეროს თხოვენ მოეპარა?
- გინდათ თუ არა იმეგობროთ ისეთ ადამიანებთან, რომლებიც გთხოვენ ჩაიდინოთ ისეთი საქციელი, როგორიც არ უნდა ჩაგედინა?
- რას იტყვით შავყელიანი წეროზე? მათ თეთრ წეროს აუხსნეს, რომ ქურდობა ცუდია, კარგ მეგობრებად მიიჩნევთ მათ?
- გინდათ გყავდეთ ასეთი მეგობრები, როგორებიცაა წითელყელიანი წერო? თუ გირჩევნიათ შავყელიანი?

მეცადინეობა 36. ზღაპარი „წერო და მისი მეგობრები“

გაახსენეთ ბავშვებს რომ შედიოდნენ მაღაზიაში, როგორ შრომობდა გამყიდველი, რომ გაეყიდა საქონელი. კითხვით ბავშვებს:

- კარგია, რომ მოიპარონ ის, რაც სხვებმა მძიმე შრომით მოიპოვეს?

გაადღიერეთ იმის გაგება, რომ ქურდობა ცუდია.

უკუკავშირი:

10 წუთი

დაუბრუნდით ზღაპარს და თხოვეთ ბავშვებს იფიქრონ თავიანთ მეგობრებზე - რატომ მოგწონთ ისინი? დაურიგეთ თითოეულ ბავშვს ფურცლები და თხოვეთ დახატონ თავიანთი თავი მეგობრებთან ერთად.

შეახსენეთ, რომ მეგობრები ერთმანეთზე ზრუნავენ და ძალიან მნიშვნელოვანია გყავდეთ ისეთი მეგობრები, რომლებიც არ განწყენინებენ და ცუდს არ გასწავლიან.

ხაზი გაუსვით იმას, რომ მეგობრები უნდა აარჩიოთ ისე როგორც გააკეთა თეთრმა წერომ, როცა დაუმეგობრდა იმათ ვინც არ აიძულებდა ქურდობას. მთავარია ავარჩიოთ ასეთი მეგობრები. როცა მორჩებიან ხატვას დაეხმარეთ მათ, რომ დააწერონ ნახატს „მე და ჩემი საუკეთესო მეგობრები“, ხოლო შემდეგ ჩადონ აფლატუნის ყუთში.



წერილის ნიმუში:

ძვირფასო _____

დღეს ჩვენ ვისაუბრეთ ქურდობაზე და იმაზე თუ როგორი ცუდია ქურდობა. ასევე ვისაუბრეთ მეგობრობაზე და იმაზე თუკი როგორ უნდა შეარჩიო ისეთი მეგობარი, რომელიც შენზე დადებით გავლენას ახდენს. ამ მოსაზრების გასაძლიერებლად ჩვენ წავიკითხეთ ზღაპარი „თეთრი წერო და მისი მეგობრები“. ჩვენ დავურიგეთ ბავშვებს ფურცლები და ინსტრუქცია, როგორ გავაკეთოთ წერო ფურცლისგან. თქვენ შეგიძლია ეს გააკეთოთ ბავშვებთან ერთად.

წეროს დამზადების დროს, კითხეთ თქვენს შვილს ზღაპარზე. თქვენ შეიძლება ერთად იმსჯელოთ, რატომ არის ქურდობა ცუდი და დაეხმარეთ თქვენს შვილს ამის გაგებაში შეახსენეთ თქვენს შვილს, რომ დამზადებული წერო მიიტანოს ბაღში.

კატევისცემით _____



ზღაპარი „თეთრი წერო და მისი მეგობრები“

იყო და არა იყო რა, იყო სრულიად თეთრი წერო, რომელიც ეძებდა მეგობრებს. მას ყოველთვის უჭირდა საერთო ენის გამონახვა სხვა წეროებთან, ის არ მოსწონდათ მათ, რადგანაურ სულ თეთრი იყო. მაგრამ მას ძალიან სჭირდებოდა მეგობარი, რომ ერთად მოეპოვებინათ საჭმელი და ეფრინათ.

ის ერთხელ შეხვდა ძალიან ლამაზ, ნითელყელიანი წეროების გუნდს, რომლებიც იჭერდნენ თევზებს მდინარეზე. ჩამოფრინდა მათთან და კითხა შეიძლება თუ არა გახდეს მათი გუნდის წევრი. გუნდის ხელმძღვანელი დათანხმდა, მიუხედავად იმისა რომ ის იყო სულ თეთრი. მხოლოდ ერთი პირობით, თუკი მოიჭანდა თევზს, რომელსაურ მეორე ნაპირზე იჭერდნენ შავკისრიანი წეროები.

დასწყისში თეთრი წერო იყო წინააღმდეგი. მან უთხრა, რომ ის არ მოიპარავს თევზს. მაშინ ნითელყელიანმა წეროებმა უთხრეს, რომ მაშინ ის ვერ გახდება გუნდის წევრი. ყველა წერომ უნდა მოიპაროს თევზი, რომ შეუერთდეს გუნდს. თეთრმა წერომ იფიქრა, რომ ეს მისი ერთადერთი შესაძლებლობაა შეუერთდეს გუნდს, ამიტომაც დათანხმდა მოიპაროს თევზი.

• ის წავიდა მდინარის მეორე მხარეს, შავყელიან წეროებთან.
• უნებ შეამჩნია, სად იღო თევზები, რომლებიც მათ დაიჭირეს.
• შავყელიანი წეროები საუბრობდნენ და ვერ შეამჩნიეს როგორ
• აიღო თეთრმა წერომ თევზები ნისკარტით და ის იყო უნდა
• აფრენილიყო, რომ ერთმა წერომ ის დაიჭირა.

• „რატომ აიღე ჩვენი თევზი?“ – კითხა წერომ. თეთრი წერო
• მოუყვა, რომ არ უნდოდა მოპარვა, მაგრამ ეს ერთადერთი
• შესაძლებლობა მოხვდეს გუნდში.

• „ეს არასწორია. ვერაფერი ვერ გაამართლებს ქურდობას. შენ
• რომ გეთხოვა ჩვენ მივიღებდით გუნდში.“

• მიხვდა თეთრი წერო როგორ შეერდა, გადმოყარა თევზები
• მინაზე და ზოღიში მოიხადა ქურდობაზე. შავყელიანმა წეროებმა
• აპატიეს და მიიღეს გუნდში. მიიღეს ისეთი როგორიც ის არის,
• მიუხედავად იმისა რომ ის აბსოლუტურად თეთრია და ამისთვის
• არაა საჭირო ქურდობა.

მეცადინეობა 37. „ვზოგავთ, ვხარჯავთ, ვუნაწილებთ“

მეცადინეობა 37.

„ვზოგავთ, ვხარჯავთ, ვუნაწილებთ“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან ცნებების - „განაწილება“, „დაზოგვა“, „ხარჯვა“ - მნიშვნელობას
- ივარჯიშებენ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაზე დახარჯონ ფული



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ ემოციური
- ▶ კოგნიტური
- ▶ შემოქმედებით



საჭირო მასალები:

- ▶ სხვადასხვა ნომინალის აფლატუნის მონეტები, რომელიც გაკეთდა 32 მეცადინეობაზე (თითოეულ ბავშვზე 5 მონეტა)
- ▶ კალათა/ყუთი
- ▶ თაბახის ფურცელი წარწერით „იყიდება“ და ფასების იარლიყები
- ▶ ფერადი ილუსტრაციები „ვზოგავთ, ვხარჯავთ, ვუნაწილებთ“ (თითო ნაკრები, თითო ბავშვზე)
- ▶ ფანქრები/სანერკალამი
- ▶ სხვადასხვა სიტუაციის ამსახველი სურათები თემაზე: „დახარჯე, დაზოგე და გაუნაწილე“
- ▶ დამხმარე მასალები 24-ე მეცადინეობიდან - „ვაკეთებთ მინიმარკეტს“ - ნახატი მომღიმარე სახით, ნახატი სევიდიანი სახით.



ხანგრძლივობა: 55 წუთი



დღის სიტყვა:

▶ ხარჯვა, დაზოგვა, განაწილება

****მეცადინეობის დაწყებამდე აიღეთ მასალები, რომლებიც გამოიყენეთ 24 მეცადინეობისთვის: "ვემნით მინიმარკეტს" ან მოამზადეთ ახალი. დაგჭირდებათ ჟურნალის ნაჭრები, რომლებიც გამოიყენეს მეცადინეობაზე „რა შეიძლება იყიდოთ ხურდებით“*

განსაზღვრეთ ფასები თითოეული პროდუქტისთვის (მაგალითად, 1 აფლატუნის, 2 აფლატუნის, 3 აფლატუნის და ა.შ.) თუ მუშაობთ უფრო პატარა ასაკის ბავშვებთან, შეგიძლიათ დახაზოთ ერთი წრე ან ორი წრე, რაც დამოკიდებულია პროდუქტის ფასზე, ღირებულების რიცხვითი მნიშვნელობის გარეშე

განათავსეთ ნივთები ყუთში / კალათაში, წარწერით "იყიდება" და ქვემოთ დაამატეთ გასაყიდი სიმბოლო. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ფულის ხელი. დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი აფლატუნის მონეტები 32-ე მეცადინეობიდან „საიდან მოდის ფული“.

შესავალი:

10 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ აფლატუნის მონეტები ახლა მათ ძალიან გამოადგებათ. დარწმუნდით, რომ გაქვთ მონეტების სხვადასხვა ნომინალები.

მიეცით ბავშვებს რამდენიმე მონეტა.

უთხარით ბავშვებს, რომ მათ უნდა ამოიღონ ერთი ნივთი კალათიდან, რომლის ყიდვას ისურვებენ. ახსენით, რომ თითოეულ ნივთს აქვს განსხვავებული ფასი და რომ თქვენ

მეცადინეობა 37. „ვხარჯავთ, ვაგროვებთ, ვინაწილებთ“

შეგიძლიათ აირჩიოთ - დახარჯოთ ყველა აფლატუნიკო თუ დაზოგოთ რამდენიმე მონეტა.

ასევე უთხარით ბავშვებს, რომ თუ მათ ძვირადღირებული ნივთის შექენა სურთ, შეუძლიათ მეგობრების ფული დაამატონ თავიანთ მონეტებს და ერთად შეიძინონ მათთვის სასურველი ნივთი. თქვით, რომ თქვენ გამყიდველი იქნებით. დააყენეთ ბავშვები კოლონაში და უთხარით, რომ შეუძლიათ რიგრიგობით აირჩიონ და შეიძინონ მათთვის სასურველი ნივთები ყუთიდან/კალათიდან.

ძირითადი ნაწილი:

30 წუთი

დასვით ბავშვები წრეში და სთხოვეთ აჩვენონ რა იყიდეს. აუხსენით, რომ რასაც ამჟამად აკეთებენ, ეწოდება “ფულის დახარჯვა”, რაც ნიშნავს ფულს რაღაცის შესაძენად გამოყენება. კითხეთ:

- რამდენმა დახარჯა ყველა აფლატუნიკოს მონეტები?
- ვის დარჩა ფული?

სთხოვეთ იმ ბავშვებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ მონეტები, განათავსონ ისინი თავიანთ აფლატუნის ყულაბაში. აუხსენით, რომ ყულაბაში ფულის შენახვით ისინი ზოგავენ ფულს. ასევე უთხარით, რომ ფულის დაზოგვა ნიშნავს მისი მომავალში გამოსაყენებლად, ასე რომ თქვენ შეგიძლიათ შეაგროვოთ მეტი და შეიძინოთ ძვირიანი რამ.

- შეახსენეთ ბავშვებს, რაზეც ისაუბრეთ 31-ე მეცადინეობაზე: წყალი ჩვენი რესურსია. როდესაც შეისწავლეთ, თუ როგორ შეგიძლიათ დაზოგოთ წყალი, ეს პროცესი შევადარეთ ფულის დაზოგვასთან და დაზოგვის ერთი გზა არის ბანკში ფულის შეტანა.

დასვით შეკითხვა:

- ვინ გაუზიარა მონეტები მეგობრის რაიმე ძვირადღირებული ყიდვისთვის?

აუხსენით რას ნიშნავს ფულის “გაზიარება”. უთხარით, რომ გაზიარება ნიშნავს - მისცე უფლება სხვას აიღოს და გამოიყენოს თქვენი ნივთები.

შეახსენეთ ბავშვებს, როგორ უზიარებდით განსაკუთრებულ ნივთებსა და სათამაშოებს 30 გაკვეთილზე: ზღაპარი, ჭიანჭველასა და ჭრიჭინას შესახებ. შეადარეთ ეს იმას, თუ როგორ უზიარებენ მშობლები ან მეურვეები შვილებს ფულს. დაკიდეთ ნახატი გაღიმებული სახით ერთ კუთხეში, ხოლო მეორეზე ნახატი მოწყენილი სახით. გააფრთხილეთ ბავშვები, რომ ახლა მათ აჩვენებთ სხვადასხვა სურათს და გააკეთებთ განცხადებებს. თუ ისინი თვლიან, რომ სიმართლეს ამბობთ, მაშინ ისინი უნდა მივიდნენ ნახატთან გაღიმებული სახით. თუ ბავშვები თვლიან, რომ სიმართლეს არ ამბობთ, მაშინ სთხოვე, მივიდნენ ნახატთან მოწყენილი სახით.

მეცადინეობა 37. „380გავით, 3ხარჯავით, ვუნაწილებით“

რიგრიგობით აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციის ამსახველი სურათები თემაზე: „დახარჯე, დაზოგე და გაუნაწილე“ ერთმანეთის მიყოლებით:

ბავშვი ყიდულობს, ბავშვი დებს ფულს აფლატუნის ყულაბაში, ვილაცა დგას რიგში იმისათვის, რომ ჩადოს ფული ბანკში, ბავშვი ყიდულობს მაღაზიაში რაღაცეებს, დედა აძლევს ფულს შვილს, ბავშვი უზიარებს სხვას საკუთარ სათამაშოს.

ნახატების დემონსტრირებისას დასვით შემდეგი შეკითხვები:

- რას ხედავთ ნახატზე?
- რას შვება ეს ადამიანი?

დარწმუნდით, რომ ბავშვებს ესმით თუ რა ახატია სურათებზე. შემდეგ აწიეთ ერთი ნახატი და გაახმოვანეთ შემდეგი ქმედება:

- ადამიანი უზიარებს საკუთარ რესურსებს სხვას;
- ადამიანი ზოგავს საკუთარ რესურსებს;
- ადამიანი ხარჯავს საკუთარ რესურსებს.

როდესაც ბავშვები აირჩევენ შესაბამისს ნახატს მომლიმარე ან მოწყენილი სახეებით, კითხეთ რატომ შეარჩიეს ესა თუ ის პოზიცია.

დასვით შემდეგი კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რატომ უნაწილებს ადამიანი რამეს სხვას? რას ფიქრობთ?

როდესაც მორჩებით ყველა ნახატის დემონსტრირებას, დაურიგეთ თითო ნახატი ბავშვებს და სთხოვეთ გააფერადონ. დამთავრებისას სთხოვეთ ბავშვებს (თუ საჭიროა დაეხმარეთ თქვენ) მიანერონ სახელები და განათავსონ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.

უკუკავშირი:

15 წუთი

განიხილეთ ბავშვებთან ის სიტუაციები როდესაც მათ მოუწიათ რამეს ყიდვა, კითხეთ:

- რა იყიდეთ?
- ვინ იყო თქვენთან?

შემდეგ დაელაპარაკეთ დაზოგვაზე - ეკონომიაზე. კითხეთ:

- რამე დაგიზოგიათ თუ არა ადრე?
- რა დაზოგეთ?
- რამდენი დაზოგეთ?

შემდეგი საკითხი დისკუსიისთვის:

- ოდესმე მიგიციათ თუ არა ვინმესთვის ფული?
- ვის მიეცით?
- რატომ?

თუ ბავშვებს ეს ქმედებები არ გაუკეთებიათ ადრე, კითხეთ:

- რისთვის დაზოგავდით?
- ვინმეს გაუნაწილებდით თუ არა თქვენს ფულს?

მეცადინეობა 37. „ზოგავთ, ხარჯავთ, ვინაწილებთ“



საპარჯიშო ოჯახთან ერთად:

სთხოვეთ ბავშვებს გაიგონ რაზე ხარჯავენ და რაზე ზოგავენ (თუ ზოგავენ) მათი მშობლები ფულს და დახატონ მშობლებთან ერთად ეს ნივთები/საგნები. შემდეგ ეს ნახატები უნდა მოიტანონ მეცადინეობაზე და ანახონ სხვებს. მშობელთან წერილისთვის გამოიყენეთ მეცადინეობის ბოლოს მოცემული ნიმუში.

წერილის ნიმუში:


ძვირფასო _____


დღეს ჩვენ გვეკონდა ძალიან მნიშვნელოვანი მეცადინეობა რომელზეც განვიხილეთ თუ რას ნიშნავს „ხარჯვა, დაზოგვა და განაწილება“. კარგი იქნება, თუ ამ საკითხს სახლშიც განიხილავდით. გაუზიარეთ თქვენ შვილს ყოველდღიურ ცხოვრებაში რაზე ხარჯავთ ფულს და რაზე ზოგავთ. ბავშვთან ერთად აირჩიეთ ერთი რამ და დახატეთ ეს ნივთი/საგანი.

შეახსენეთ ბავშვს, რომ ნახატი არ დაავინყდეს შემდეგი მეცადინეობისთვის.

პატივისცემით _____










• ბანკი •





მეცადინეობა 38. „ვემზადებით ჩვენი ბაზრობისთვის. როგორ ვხარჯავთ ჩვენს ფულს“

მეცადინეობა 38.

„ვემზადებით ჩვენი ბაზრობისთვის. როგორ ვხარჯავთ ჩვენს ფულს“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას თუ როგორ დაზოგონ, დახარჯონ და გაუნაწილონ რესურსები
- მოაწყობენ გამოფენას ან/და ბაზრობას, სადაც მოახდენენ თავიანთი „საქონლის“ დემონსტრირებას/გაყიდვას



უნარები:

- ▶ სოციალური
- ▶ კოგნიტური



საჭირო მასალები:

- ▶ მასალები აფლატუნის გამოფენისთვის (იხილეთ ინსტრუქციაში)
- ▶ დაფა/ფლიფჩარტი
- ▶ ფანქრები
- ▶ ცარიელი სტიკერები ფასების მისათითებლად
- ▶ სხვადასხვა „ნივთები“ გაკეთებული ფერადი ქაღალდებიდან
- ▶ ბავშვების მიერ გაფერადებული ნახატები 37-ე მეცადინეობიდან
- ▶ საშუალო ზომის სუფთა ფურცლები (დამატებითი მეცადინეობისთვის)



ხანგრძლივობა: 60 წუთი

***ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ 2 აქტივობა, რომელიც არის შემოთავაზებული, შეიძლება ჩატარდეს ერთად და იყოს უფრო ხანგრძლივი ვიდრე ერთი დღე. ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ ერთ-ერთი, თუ დრო არის შეზღუდული.*

შესავალი:

10 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს გამოიტანონ აფლატუნის მოგზაურობის ყუთიდან ნახატები 37-ე მეცადინეობიდან.

დასვით ბავშვები წრეზე და სთხოვეთ რიგრიგობით ანახონ მათი არჩეული ნახატები, სხვებს კი გამოიცნონ თუ რას აკეთებს ადამიანი ნახატზე: ხარჯავს, ზოგავს, უნაწილებენ.

ძირითადი ნაწილი:

35 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს, რომ აფლატუნთან მოგზაურობის ბოლო ეტაპზე იქნება ორგანიზებული არაჩვეულებრივი ღონისძიება: აფლატუნის ბაზრობა, სადაც ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა დაპატიჟონ მათი ოჯახის წევრები, მეგობრები იმისათვის, რომ ყველამ ნახოს თუ რა კარგი იყო აფლატუნთან მოგზაურობა და ის, რომ ბევრი საინტერესო რამ ისწავლეთ.

აუხსენით ბავშვებს, რომ ამ ღონისძიების განმავლობაში მათ ასევე შეუძლიათ მიიღონ აფლატუნისკოს მონეტები მათი ხელნაკეთობების გაყიდვით და/ან მათი შემოქმედებითი ნამუშევრების ჩვენებით. ღონისძიების ბოლოს მათ საშუალება ექნებათ დახარჯონ თავიანთი მონეტები. აუხსენით ბავშვებს, რომ კარგი იქნება, თუ უკვე დაინწყებენ ფიქრს იმაზე, თუ რა სურთ უფრო მეტად: გაუზიარონ თავიანთი მონეტები, დაიწყონ მათი დაზოგვა ან დახარჯვა.

მეცადინეობა 38. „ვეფხისტყაოსნით ჩვენი ბავშვებისთვის. როგორ ვხარჯავთ ჩვენს ფულს“

იმისათვის, რომ ბავშვები არ დაიბნენ, შესთავაზეთ კონკრეტული ვარიანტები: ერთია როგორ უნდა გაანაწილოთ ფული, მეორე როგორ დაიწყონ დაზოგვა, და მესამე - როგორ უნდა დახარჯონ მონეტები.

- განაწილება/გაზიარება: მიუსაფარი ბავშვებისთვის ტანსაცმლის ყიდვა
- ხარჯვა: ტორტის ყიდვა მთელი ჯგუფისთვის
- დაზოგვა: მიიტანონ მონეტები სახლში, დათვალონ მშობლებთან ერთად და ჩადონ აფლატუნის ყულაბაში.

იმისათვის, რომ ბავშვებს გაუადვილონ წარმოდგენა, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი ფულის საშუალებით, შეგიძლიათ ეს ვარიანტები დახატოთ დაფაზე/ფლიფჩარტზე. აუხსენით, რომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება და ამისთვის სთხოვეთ ბავშვებს დადგინონ იმ ვარიანტის წინ, რომელიც აირჩიეს. საბოლოოდ არჩეულ იქნება ის ვარიანტი, რომელსაც აირჩევს ბავშვთა უმრავლესობა. აუხსენით, რომ ჩვენი პროგრამის დასრულების შემდეგ, მთელი ჯგუფი მიჰყვება მიღებულ გადაწყვეტილებას და განკარგავს მონეტებს, ისე როგორც აირჩია უმრავლესობამ.


თუ ფრე იქნება, სთხოვეთ ორ ბავშვს (სასურველია ბიჭი და გოგო) იმ ჯგუფიდან, ვინც ყველაზე ნაკლებად პოპულარული ვარიანტი აირჩია, იყვნენ „მსაჯები“ და გადანყვიტონ რომელი ვარიანტი იქნება აღიარებული საბოლოოდ.

უკუკავშირი:

15 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს, რომ ისინი გამართავენ აფლატუნის ბავშვობას პროგრამის ბოლო დღეს და უნდა მოემზადონ მისთვის (მომზადონ ბავშვობის დახლები, და სხვა დეკორაციები) დაუსვით კითხვა ბავშვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მოვამზადოთ ბავშვობა? შეგიძლიათ ცოტა დაეხმაროთ ბავშვებს იდეებით, მაგალითად გასაყიდი ნივთების ფასების დაწერა და ა.შ.



მეცადინეობა 38. „ვეფხვებით ჩვენი ბაზრობისთვის. როგორ ვხარჯავთ ჩვენს ფულს“

****ლონისძიების ვარიანტები და დავალებები.*

1. გამოფანა.

თითოეულმა ბავშვმა აარჩიოს სამი ხელნაკეთობა აფლატუნთან მოგზაურობის ყუთიდან იმისათვის, რომ გამოფინონ თავიანთ “მუზეუმში”. ამრიგად, თითოეულ ბავშვს ექნება ექვსი ექსპონატი - სამი თავად ბავშვმა აირჩია, ხოლო კიდევ სამი - ოჯახის წევრებმა 26 -ე ოჯახთან ერთად შესასრულებელ სავარჯიშოს დავალებიდან გამომდინარე - „რა მჭირდება სინამდვილეში“.

სთხოვეთ ბავშვებს, დაგეხმარონ საგამოფენო ოთახის მომზადებაში.

ასევე სთხოვეთ ბავშვებს გააკეთონ აფლატუნის დიდი დროშა, გამოფენის პოსტერები/პლაკატები და ბანერები საგამოფენო სტენდებისთვის.

შესთავაზეთ ბავშვებს გააკეთონ „ექსპონატების“ აღწერაც, დაასათაურონ და მიაწერონ მათი სახელები (საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ). გამოფენისთვის ბილეთებიც გააკეთებინეთ თვითონ ბავშვებს.

2. ბაზრობა

თითოეულმა ბავშვმა აარჩიოს სამი ნივთი აფლატუნთან მოგზაურობის ყუთიდან იმისათვის, რომ გაყიდონ. ამრიგად, თითოეულ ბავშვს ექნება ექვსი რამ გასაყიდად - სამი თავად ბავშვმა აირჩია, ხოლო კიდევ სამი ოჯახის წევრებმა 26 -ე ოჯახთან ერთად შესასრულებელ სავარჯიშოს დავალებიდან

- გამომდინარე - „რა მჭირდება სინამდვილეში“.
- სთხოვეთ ბავშვებს, დაგეხმარონ ბაზრობის დახლების მომზადებაში.

- ასევე სთხოვეთ ბავშვებს გააკეთონ აფლატუნის დიდი დროშა, მაღაზიის გაფორმებისთვის პოსტერები/პლაკატები და ბანერები. თუ თქვენ არ დაგრჩათ პლაკატები, რომლებიც ბავშვებმა 24-ე მეცადინეობაზე გააკეთეს - „ვქმნით ჩვენ მინიმარკეტს“ - გააკეთეთ ახალი. დააწერინეთ ბავშვებს ფასები წინასწარ მომზადებულ ქარალდებზე. შეგიძლიათ ასევე კითხოთ ბავშვებს, როგორ შეიძლება ეს ღონისძიება გახდეს უფრო შთამბეჭდავი.



დამატებითი სავარჯიშო:

სთხოვეთ ბავშვებს, გააკეთონ სანიშნები სტუმრებისთვის. ასევე პატარა ქალაქებზე ბავშვებს შეუძლიათ დაწერონ “მადლობა” ან დახატონ ნახატები. თითოეულ ბავშვს წაახალისეთ, გააკეთოს ერთზე მეტი სანიშნე, რომ საკმარისი იყოს ყველა ვიზიტორისთვის.

მეცადინეობა 39 ა. „ბაზრობის დღე“

მეცადინეობა 39 ა. „ბაზრობის დღე“

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
- გამოამუშავებენ ორგანიზაციულ უნარებს პრაქტიკაში და შეიძენენ ყიდვა/გაყიდვის გამოცდილებას.



უნარები:

- ▶ კოგნიტური
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ ყველაფერი, რაც სჭირდება „ბაზრობას“
- ▶ აფლატუნის მონეტები
- ▶ ფანქრები
- ▶ ქალაქი ფასების მისაწერად
- ▶ კონვერტი (თითო - თითო ჯგუფისთვის)
- ▶ წერილი მშობლებს.



ხანგრძლივობა:

125-150 წუთი,
გადანაწილებული 3 დღეზე

*****დანებამდე თავი მოუყარეთ ყველა იმ მასალას, რომლებიც ბავშვებმა წინა მეცადინეობებზე გააკეთეს. უპირველეს ყოვლისა, დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი აფლატუნის მონეტები, დახლების გაფორმებისთვის სხვადასხვა ბანერები, სუფრები, პლაკატები, რომლებიც ბავშვებმა 24 გაკვეთილზე გააკეთეს: “ვემნით ჩვენ მინიმარკეტს” (ან წინა გაკვეთილზე). ასევე დარწმუნდით, რომ თითოეულ ბავშვს აქვს ექვსი ნივთი/ნამუშევარი (შერჩეულია წინა საქმიანობაში და 26-ე საოჯახო აქტივობაში - „რა მჭირდება პირველ რიგში?“).**

დღე 1.

შესავალი: 15 წუთი

შეახსენეთ ბავშვებს როლური თამაში „მინიმარკეტი“ და ჰკითხეთ: გახსოვთ რა გავაკეთეთ? აუხსენით ბავშვებს, რომ ხვალ განსაკუთრებული დღეა, რადგან თქვენ საკუთარ მაღაზიას მოაწყობთ და მშობლები საყიდლებზე მოვლენ. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ამ ღონისძიების დროს ყველა ბავშვს

- შეეძლება ფულის გამომუშავება მათ მიერ არჩეული ხელნაკეთობების/ნივთების გაყიდვით. ასევე განმარტეთ, რომ ამჯერად ბავშვები ფულს თავიანთ აფლატუნის ყულაბაში არ ჩადებენ.
- ამის ნაცვლად, ისინი რეალიზაციიდან მიღებულ ყველა მონეტას ერთად შეკრიბავენ, რათა მათ გამოიყენონ თანხები, როგორც ეს გადანყვიტეს 38-ე მეცადინეობაზე - „ჩვენი ბაზრობისთვის მზადება: როგორ დავხარჯოთ ფული?“

ძირითადი ნაწილი: 30 წუთი

- დაყავით ბავშვები ისე, რომ თითოეულ ჯგუფში იყოს ოთხ-ოთხი ბავშვი.
- დაავალეთ თითოეულ ჯგუფს მოემზადონ ბაზრობაზე ვაჭრობისთვის. დაეხმარეთ მათ ჩამოკიდონ დეკორაციები და ბანერები, რომლებიც მათ მოამზადეს 24-ე მეცადინეობაზე - “ჩვენ ვემნით მინიმარკეტს” და 38 -ე მეცადინეობაზე.
- დაალაგეთ ნივთები დახლებზე, ურჩიეთ ბავშვებს როგორ მოათავსონ ისინი ისე, რომ მიმზიდველად გამოიყურებოდნენ.
- 38-ე მეცადინეობაზე მომზადებულ ნიშნებზე დააწერინეთ ნივთების დასახელებები და ფასები.

მეცადინეობა 39 ა. „ბაზრობის დღე“

თითოეულ ჯგუფს მიეცით კონვერტი და სთხოვეთ, გაალამაზონ იგი. აუხსენით, რომ ამ კონვერტში ბავშვები აფლატუნიკოს მონეტებს ჩადებენ, რომლებსაც ისინი ხელნაკეთობების გაყიდვით მიიღებენ.

უთხარით მათ, რომ ხვალ ისინი ყველანი გამყიდველები იქნებიან და ექვს შერჩეულ ნივთს გაყიდვას, რისთვისაც მიიღებენ აფლატუნიკოს მონეტებს. ერთ ან ორ ბავშვს სთხოვეთ ითამაშონ განსაკუთრებული როლი - მოლარეობა. მოლარეები დაეხმარებიან გამყიდველებს შეაგროვონ გაყიდული საქონლისგან მიღებული აფლატუნიკოს მონეტები და განათავსონ ისინი სპეციალურ ლამაზ კონვერტში. ბავშვების მეშვეობით გაუგზავნეთ წერილი მშობლებს. წერილში აუხსენით რომ მათ შეუძლიათ შესასვლთან მცირე ფულის გაცვლა აფლატუნიკოს მონეტებში (მაგალითად, 10 თეთრი = 1 აფლატუნიკო, 20 თეთრი = 2 აფლატუნიკო და ა.შ.). აუხსენით სტუმრებს, რომ მიღებულ თანხას ბავშვები გამოიყენებენ დახარჯვის, დაზოგვის ან გასაზიარებლად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ვარიანტი აირჩიეს 38-ე მეცადინეობაზე.

დღე 2.

ბაზრობა:

35-40 წუთი


სანამ სტუმრები მოვლენ, სთხოვეთ ორ ბავშვს დაგეხმაროთ - დამსწრეებს აუხსნან, რომ იარონ დახლებს შორის და სხვადასხვა ჯგუფის ბავშვების ნამუშევრები შეიძინონ. ღონისძიების დაწყებამდე სტუმრებს დაურიგეთ აფლატუნიკოს

მონეტები და აუხსენით მათ, რომ საყიდლებზე მხოლოდ აფლატუნიკოს მონეტები უნდა გამოიყენონ. თუ გადანყვეთ მხოლოდ ერთი ღონისძიების ჩატარებას და არ აპირებთ გამოფენის ჩატარებას, მაშინ, როდესაც ღონისძიება დასრულდება, დაავალეთ ერთ-ერთ ბავშვს, რომ წიგნების სანიშნეები დაურიგოს ვიზიტორებს

უკუკავშირი:

10 წუთი

სტუმრების წასვლის შემდეგ, ბავშვებს უთხარით, რომ შეამოწმონ, ყველაფერი ხომ არის ადგილზე. დაეხმარეთ ბავშვებს შეაგროვონ დარჩენილი ნივთები და განათავსონ ისინი აფლატუნთან მოგზაურობის ყუთებში. შეახსენეთ ბავშვებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია აფლატუნიკოს მონეტების შენახვა სპეციალურ ადგილას, მაგრამ ამჯერად ყველა მონეტა უნდა ერთად შეაგროვოთ, ვინაიდან ისინი უნდა დაიხარჯოს ერთობლივად მიღებული



მეცადინეობა 39 ა. „ბაზრობის დღე“

გადაწყვეტილების შესაბამისად (წინა მეცადინეობიდან გამომდინარე). მოლარეებს სთხოვეთ მოიტანონ კონვერტები აფლატუნიკოს მონეტებით და თქვენთან ერთად დაითვალეთ ყველა მიღებული მონეტა. ჩადეთ მონეტები კონვერტში და მოათავსეთ ყუთში.

დღე 3:

15 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს, გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები. ჰკითხეთ, მოეწონათ თუ არა გამყიდველების როლში ყოფნა და მუშაობა ვიზიტორებთან/მყიდველებთან:

შეკითხვები:

- ადვილი იყო შენთვის? რატომ კი? რატომაც არა?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად ამ როლში?
- ბედნიერი ხარ, რომ ამდენი აფლატუნის მონეტა მიიღეთ?

შეასხენეთ მათ 38-ე მეცადინეობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ მიღებული ფული.



მეცადინეობა 39 ბ. „გამოფენის დღე“

მეცადინეობა 39 ბ.
„გამოფენის დღე“.

მეცადინეობის მიზანი:

- მეცადინეობის დროს ბავშვები:
- ისწავლიან როგორ დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ გამოფენას
 - მოაწყობენ გამოფენას
 - გამოფენის დროს მოიხსენებენ სხვადასხვა როლებს და ასევე გაუზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს აფლატუნის პროგრამის შესახებ.



უნარები:

- ▶ კოგნიტური
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ მასალები გამოფენისთვის
- ▶ აფლატუნის მონეტები
- ▶ საწერი/ფანქრები
- ▶ ქაღალდი ფასების დასაწერად
- ▶ წერილი მშობლებისთვის



ხანგრძლივობა:

125 წუთი,
3 დღის განმავლობაში.

***დანებამდე თავი მოუყარეთ ყველა იმ მასალას, რომლებიც ბავშვებმა წინა მეცადინეობებზე გააკეთეს.

უპირველეს ყოვლისა, დარწმუნდით, რომ გაქვთ საკმარისი აფლატუნის მონეტები, დახლების გაფორმებისთვის სხვადასხვა ბანერები, სუფრები, პლაკატები, რომლებიც ბავშვებმა 24 მეცადინეობაზე გააკეთეს:

„ვემნით ჩვენ მინიმარკეტს“ (ან წინა გაკვეთილზე). ასევე დარწმუნდით, რომ თითოეულ ბავშვს აქვს ექვსი ნივთი/ნამუშევარი (შერჩეულია წინა საქმიანობაში და 26-ე მეცადინეობის - ოჯახთან ერთად შესრულებულ სავარჯიშოს დროს - „რა მჭირდება პირველ რიგში?“).

თუ გადაწყვიტეთ ორივე ღონისძიების ჩატარებას - მარკეტის დღე და გამოფენა - შესაძლებელია ბავშვებმა უკვე გაყიდეს მათი ხელთნაკეთობები წინა მეცადინეობაზე. ამიტომ, თხოვეთ აარჩიონ მათი აფლატუნთან მოგზაურობის ყუთიდან კიდე რამდენიმე ნივთი, იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოვიდეს 6 თითოეულ ბავშვზე.

დღე 1.

შესავალი:

20 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ ხვალ განსაკუთრებული დღეა. თქვენ ერთად ჩაატარებთ გამოფენა-მუზეუმს და თქვენი სტუმრები ნახავენ თუ რა გასაოცარი ხელნაკეთობები გაქვთ გაკეთებული წლის განმავლობაში. აუხსენით, რომ ეს ღონისძიება ჰგავს ტალანტების შოუს, სადაც შეგეძლება ანახოთ ყველას საკუთარი ხელებით გაკეთებული ნივთები. აღნიშნეთ, რომ ამ მშვენიერი აქტივობის დროს, ბავშვებს ექნებათ ფულის შოვნის საშუალება გამოფენაზე შესასვლელი გადასახადების მიღებით. ასევე განმარტეთ, რომ ამჯერად ბავშვები თითოეულ მონეტას არ ჩაიდენენ აფლატუნ ყულაბაში. ამის ნაცვლად, ისინი ყველა მონეტას, რომელიც გაყიდვიდან მიიღებენ, ერთად შეაგროვებენ, რათა გამოიყენონ თანხები ისე, როგორც გადანყვიტეს 38-ე მეცადინეობაზე: „ჩვენი გამოფენისთვის მზადება: როგორ დავხარჯოთ ფული?“.

მეცადინეობა 39 ბ. „გამოფენის დღე“

გაანანილეთ როლები. თქვენ დაგჭირდებათ მუზეუმის გიდი, ბილეთის გამყიდველები შესასვლელთან, მუზეუმის სტენდის დეკორატორები, ბავშვები, რომლებიც გადასცემენ სუვენირებს, რომლებიც მომზადებულია 38 - ე მეცადინეობაზე და სხვა დამხმარეები.

ქირითადი ნაწილი:

20-30 წუთი

დაეხმარეთ ბავშვებს გამოფენის მომზადებაში: დაკიდეთ მათ მიერ არჩეული ნახაზები ოთახის სხვადასხვა ნაწილში, განათავსეთ რამდენიმე საჩვენებელი სტენდი (მაგიდა), რათა გამოიტანონ თავიანთი ხელნაკეთობები.

დარწმუნდით, რომ ყველა ნივთი ხელმონერილია. განათავსეთ მაგიდა შესასვლელთან, სადაც ბავშვები სტუმრებს შეხვდებიან. ჩამოკიდეთ აფლატუნის დროშა/პლაკატი და ნახეთ, გაქვთ თუ არა აფლატუნისკოს მონეტები.


ბავშვების მეშვეობით გაუგზავნეთ წერილი მშობლებს. წერილში აუხსენით რომ მათ შეუძლიათ შესასვლელთან მცირე ფულის გაცვლა აფლატუნისკოს მონეტებში (მაგალითად, 10 თეთრი = 1 აფლატუნისკო, 20 თეთრი = 2 აფლატუნისკო და ა.შ.). აუხსენით სტუმრებს, რომ მიღებულ თანხას ბავშვები გამოიყენებენ დახარჯვის, დაზოგვის ან გასაზიარებლად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ვარიანტი აირჩიეს 38-ე სესიაში.

გამოფენის დღე.

დღე 2:

გამოფენა: 30 წუთი

- სთხოვეთ ბავშვებს დაიკავონ თავიანთი ადგილები, იმისდა მიხედვით, თუ ვის როლს ასრულებენ.
- სტუმრების ჩამოსვლისთანავე მოკლედ მოუყევით მათ ღონისძიების მნიშვნელობაზე.
- სთხოვეთ ბავშვებს ერთად იმღერონ აფლატუნის სიმღერა.
- წარადგინეთ საგამოფენო გიდები და აუხსენით, რომ ისინი დაეხმარებიან ვიზიტორთა ჯგუფებს.



მეცადინეობა 39 ბ. „გამოფენის დღე“

ვიზიტორთა ჯგუფებს მიეცით საშუალება გაეცნონ თითოეულ სტენდს. სთხოვეთ გიდეებს ისაუბრონ იმ მეცადინეობებზე, რომელზეც ბავშვებმა გააკეთეს სხვადასხვა ნივთი, ასევე რა ისწავლეს ამ მეცადინეობებზე.

გამოფენის დროს მიეცით ბავშვებს ინიციატივის საშუალება. დაეხმარეთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და სთხოვეთ ბავშვებს, უთხრან სტუმრებს თავიანთი ხელთნაკეთი ნივთების შესახებ.

სტუმრების წასვლის წინ შეახსენეთ ბავშვებს, რომ მათ გადასცენ სამახსოვრო სუვენირები.

უკუკავშირი: 15 წუთი


ღონისძიების დასრულების შემდეგ, სთხოვეთ ბავშვებს, გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გამოფენაზე. შეახსენეთ, რომ ჩვენი კარგი აფლატუნი ყოველთვის ასუფთავებს, ალაგებს როდესაც ამთავრებს საქმიანობას. სთხოვეთ ბავშვებს შეაგროვონ თავიანთი ნახატები და ხელნაკეთობები და განათავსონ აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.

დღე 3: 20 წუთი

სთხოვეთ ბავშვებს, აფლატუნთან ერთად მოგზაურობის დამთავრებისას გააკეთონ შემაჯამებელი სუვენირი. დაავალეთ დახატონ ის, რაც მოსწონთ აფლატუნის პროგრამაში. დაუთმეთ დრო თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად და ჰკითხეთ:

- რა ისწავლეთ?
- რა ისწავლეთ აფლატუნთან მოგზაურობისგან?

სთხოვეთ ბავშვებს, განათავსონ თავიანთი ნახატები აფლატუნთან მოგზაურობის ყუთში.



მეცადინეობა 40. „ვხარჯავთ აფლატუნიკოს მონეტებს“



მეცადინეობა 40. „ვხარჯავთ აფლატუნიკოს მონეტებს“

მეცადინეობის მიზანი:

მეცადინეობის დროს ბავშვები:

- ისწავლიან თანხების სხვებისთვის განაწილებას
- შეაჯამებენ აფლატუნიკოს პროგრამის დროს შეძენილ უნარებს



უნარები:

- ▶ კოგნიტური
- ▶ სოციალური



საჭირო მასალები:

- ▶ ერთად შეგროვილი აფლატუნიკოს მონეტები
- ▶ კონვერტი ან ყუთი ფულის გადატანისთვის/შენახვის
- ▶ სანერკალამი/ფანქრები
- ▶ თაბახის ფურცლები (თითოეულ ბავშვზე)+ქაღალდი დამატებითი მეცადინეობისთვის
- ▶ მაკრატელი
- ▶ ქინძისთავი
- ▶ სკოჩი



ხანგრძლივობა:
60 წუთი

შესავალი:

10 წუთი

დასვით ბავშვები წრეზე და ერთად იმღერეთ აფლატუნიკოს სიმღერა. თითოეულ ბავშვს სთხოვეთ თქვენ თავიანთი აზრი, თუ რა მოეწონათ აფლატუნიკოს პროგრამაში.

ძირითადი ნაწილი:

40 წუთი

უთხარით ბავშვებს, რომ დღეს თქვენ დახარჯავთ ან დაზოგავთ მთელ ფულს, რომელიც აფლატუნიკოს ბაზრობის დროს მოიპოვეთ.

დაითვალეთ აფლატუნიკოს მონეტების რაოდენობა. შეახსენეთ ბავშვებს ზოგადი გადანყვეტილება, თუ როგორ უნდა მართონ ფული, რომელიც გააკეთეს 38-ე მეცადინეობაზე - „ჩვენი ბაზრობისთვის მზადება: როგორ დავხარჯოთ ფული?“

თუ ბავშვები გადანყვეტენ ფულის დახარჯვას, მოაწყვეთ მოგზაურობა ადგილობრივ მაღაზიაში, რათა გააკეთონ საჭირო შესყიდვები. თუ ბავშვები ფულის შენახვას გადანყვეტენ, ჩადეთ ყუთში, რომელსაც ერთად

• აიღებთ და საქველმოქმედო ფონდში (ან სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციაში) წახვალთ. თუ ბავშვებს სურთ ფული დაზოგონ, თითოეულ ბავშვს დაურიგეთ თანაბარი რაოდენობის მონეტა. მონეტები ბავშვებმა უნდა ჩადონ აფლატუნიკოს ყუთში და წაიღონ სახლში. დასკვნის სახით, უპირიანი იქნება მშობლებისთვის წერილების მიწერა, თუ როგორ იშოვეს მათ შვილებთან ერთად ეს ფული და სთხოვეთ წახალისონ ბავშვები ფულის დაზოგვაში აფლატუნიკოს ყუთის შევსებით.

• თუ გადისხართ გარეთ დარწმუნდით, რომ დამხმარე ზრდასრული ადამიანების რაოდენობა არის საკმარისი. ასევე ბავშვებს ჰკითხეთ, ახსოვთ თუ არა ქუჩაში ქცევის წესები და სთხოვეთ, გაახმოვანონ.

უკუკავშირი:

10 წუთი

• მიეცით ბავშვებს ცარიელი ფურცლები და სთხოვეთ, გააკეთონ აფლატუნიკოს კაცუნა ხელის მტევნის გამოყენებით, ამოჭრან როგორც სამკერდე ნიშანი (დაეხმარეთ საჭიროების შემთხვევაში) და ქინძისთავის გამოყენებით მიამაგრეთ ტანსაცმელზე

მეცადინეობა 40. „ვხარჯავთ აფლათუნისკოს მონეტებს“

მივულოცოთ ბავშვებს აფლათუნის პროგრამის და აფლათუნთან ერთად მოგზაურობის დასრულება.

შეახსენეთ ბავშვებს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგაც გააგრძელონ დაზოგვა, ხარჯვა და განაწილება.



დამათავიტი სავარჯიშო:

სთხოვეთ ბავშვებს, პროგრამაში აქტიური მონაწილეობისთვის, ასევე გააკეთონ სამკერდე ნიშნები/სერთიფიკატები მათი მშობლებისთვის.

